„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე



# ლიტერატურული მესხეთი

№13 (316)
დეკემბერი
2024 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეექვსე წელი "LITERATURULI MESKHETI"

# ტაო-კლარჯეთის მონატრება

## დალი მაზმიშვილი

შუა ქართლი ადგილია
ღმერთთან ლოცვის,
გულნატკენი გმირთა დედა,
დგას ღვთის კართან,
ქვემო ქართლი – ბოლნისური დედაბოძი,
მკერდშეჭრილი საქართველო
ზემო ქართლთან!
მონატრების გვირილები
მაწვიმს, მათოვს,
ვერ გივიწყებ, მიყვარხარ და
გსახავ ჩემად,
ტკივილი ხარ, სამშობლო ხარ
ზემო ქართლო,
ქართველობის ჭირთთმენა და გადარჩენა!
მტკივა მკერდში ჩარჩენილი ჩანაბზარი,
დაკარგული ცა და მიწა
დამდევს დარდად,
ვარ კარწახის, ოთხთას,
პარხლის თანამგზავრი,
რატომ ვკარგავთ, რაც გვიყვარს და
რაც გვიყვარდა!
რა თბილია მშობლიური ზეცის კალთა,
სიწმინდეთა ნაფეხურებს უნდა ვდიო,
ვერ ვიბრუნებთ ვერასოდეს
რასაც ვკარგავთ,
ო, ტკივილო, გულში როგორ დაგიტიო!



ფიქრები კი თითქოს
უტყვი მდევრებია,
ქართულ მიწას აქაც შვენის
ბალი შრომშნის,
ჩუქურთმებში სხივნადენი მტევნებია,
ძველმესხური ჯიშისაა,
დრო ვერ მოშლის!

ორსარკმლიან ოშკის თავზე
არწივი ზის,
შორეული სიდიადის მოწმე ვხდები,
ხაზთა ხვეულს სინატიფე
აქვს პირიმზის,
ვარ მდიდარი სამწერლობო მონასტრებით!
მიტომ სცხია აქ ყველაფერს
უფლის მადლი,
დრო ვერ ჯობნის სიყვარულით
მოსმულ ყალამს,
მთებს მირონი მთვარიანში



თვითონ დასდით,
გულში ისევ ჭრილობა ჭირს
მთელ ქვეყანას!
გადარჩენილ ლაზარესთან მუხლზე ვდგები,
მიწა სხვაგან ანბანით თუ თბება ასე,
ასომთავრულს გაუშლია ფართოდ ფრთები,
უკვდავია უფლის ქმნილი სილამაზე!
დავიწყების ქარიშხალი უკან იხევს,
ვინ კვეთავდა, ვინ ქარგავდა
ნუკას საყდარს,
კლდეს შეზრდილი მარგალიტი არას გვიმხელს,
გზა-გზა ასეთ მარგალიტებს
დღესაც ვკარგავთ!
გუმბათები, საოცარი ჩუქურთმები,
ლაჟვარდისფრად იმზირება
იშხნის დილა,
ჯვრათ სიმრავლე, მშობლიური
ციდან ხმები,
საგალობლად ანგელოზნი მოფრენილან!
ღვარნადენი ლოდებიც კი
მადლს ივანებს,
დედაღვთისამ აქ ილოცა, იმწუხარა,
არ იკარებს დავიწყების



მდევარ ქარებს,
ღირსებაა, სიმაღლეა ჩვენთვის ბანა!
არტაანი, არტანუჯი შვენის მთა-ველს,
ჯოჯოხეთის კანიონთა ვითვლი წყებას,
ვიდრე ზეცის გუმბათს ამკობს
მზე და მთვარე,
არ იქნება, ამ სამოთხის დავიწყება!
ყველის ციხევ, სათლის ციხევ,
დედა ციხევ,
როგორ მინდა სიამაყით დგომა თქვენთან,
ჭრილობებსაც აღარ ითვლით,
აღარც იხვევთ,
დგახართ ზეცის კარიბჭესთან,
მზესთან ერთად!
გულს არ აკლდა ტკივილი და
მდუღვით ძგერა
მისტიროდა გამეტებულს, ბედგამწყრალი,
ხელმეორედ აედევნა ბედისწერა,
ტაო-კლარჯეთს, წლობით ნაშენს,
ფარავს წყალი!
ფარავს წყალი უმოწყალოდ, უნუგეშოდ,
კავკასიძის ფიქალებზე სისხლი წვეთავს,
ხელმეორედ გაუხდიათ სათარეშოდ,
ფიქრები და ოცნებები მამაც ძეთა!
ხეობები აუვსია ჭოროხს დარდით,
ენადა და ვერ მიაგნო ხსნის სხვა წამალს,
ფსკერს ჩარჩენილ სიწმინდეთა
უხვი მადლი,
დედამიწას გაარღვევს და ცაში წავა!
მესიზმრები, მენატრები, სადაც დავალ,
ხანცთა, ტბეთი, ბასიანი, ცა ხახულის,
მიწა ცრემლით ულტობია აქ დიდ თამარს,
უკვდავი ხარ, მზედ დაგვნათის შენი სული!
შუა ქართლი ადგილია ღმერთთან ლოცვის,
გულნატკენი გმირთა დედა, დგას ღვთის კართან,
ქვემო ქართლი - ბოლნისური დედაბოძი,
მკერდშეჭრილი საქართველო
ზემო ქართლთან!



„სამშობლოს სიყვარულს საყველპუროდ და საარშიყოდ ნუ გაიხდით, მთვრალს რომ მოგენატრება და მაშინ გაიხსენებ, სამშობლო ტაძარია სალოცავი. მუხლზე დაჩოქილი უნდა იდგე მის საკურთხეველთან, ცალი ხელით პირჯვარს უნდა იწერდე, მეორეთი კი ხმალს იქნევდე, ეშმაკები რომ არ დაეპატრონონ... და კიდევ ერთი, შესაწირავის მიტანა ვერავინ ვერ უნდა მოგასწროს ამ ტაძართან.“

ნოდარ დუმბაძე

დავით ხარატიშვილი

# ცელოფნები ჩემი ახლობლისა

„ლობიანი ლორით... ლობიანი ლორით...“ – გულში ვიმეორებ და სამზარეულოსკენ ჩქარი ნაბიჯით მივემართები.

მართალი იყო რუსუდანი, აქ მთელი დღე საჭმლის გარეშე ვერ გავძლებდი. არადა, ჩემი საყვარელი გამოთქმაა: „შიმშილს კაცი არ მოუკლავს“. ეს ახალი სამსახური მარტო კუჭს მიღლის, სხვა არა მიშავს. თავიდან ფეხები მტკიოდა სიარულისგან, თუმცა კუნთები მალევე მიეჩვივნენ ყოველდღიურ დატვირთვას. მთელი დღე, წინ და უკან, „გადი-გამოდი“ გვაქვს. თან, აბა, მიდი და ნაბიჯი შეანელე, უმალ ჯიბე შეგითხელდება. ასე უნებებია ჩვენი ფარმაცევტული კომპანიისა და ამ საწყობის შემოქმედს. აქ მუშაობა, ფიზიკურ შრომასთან ერთად, კაზინოში შესვლას ჰგავს, რულეტკასავით ტრიალებს ზედდებულის მაძიებელი ჭრელი დისკო და თუ არ გაგიმართლა, დაემშვიდობე ოთხნიშნა ხელფასს...

ოთხნიშნაო... სამნიშნაც სანატრელი მქონდა და, საერთოდაც, ეს ჩემი პირველი ოფიციალური სამსახურია. იქამდე თვითდასაქმებული ვიყავი, ჩემი პროფესიით ვცდილობდი ფონს გასვლას, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. კლიენტები ანაზღაურებას მიგვიანებდნენ, ზოგი თავს მაცოდებდა, ზოგიც ჩემით მეცოდებოდა. დაარტყამდა მოსამართლე ჩაქუჩს, გაისტუმრებდა ბრალდებულს ციხეში და მერე ელოდე იმის გამოსვლას... ისედაც თავზარდაცემულს, მის ოჯახსაც ხომ ვერ შევაწუხებდი და ისეც არ ენაღვლებოდათ... არა, ამის თავი არ მქონდა!

სხვაც ბევრი ვეცადე, სტაბილური სამსახური მეშოვნა, მაგრამ აქაც არაფერი გამომივიდა. ჩვენთან ხომ, სახელმწიფო სამსახურში, სერთიფიკატებზე მეტად, გენეალოგიური ხის დალმავალი და განივი შტოების კვლევას ითხოვენ, მე კიდევ მეზარება ეს წარსულის ქექვა და ხელის გადაწვდომები, ამიტომაც სამუშაოს ძიებაში შემთხვევითობის სტრატეგიას მივმართე, რამაც სრულიად უცხო კომპანიაში მომიყვანა, დილით გაგზავნილმა რეზიუმემ საღამოს „ეიჩარის“ ზარი გამაგონა. მეორე დღეს უკვე გასაუბრებაზე ვიყავი, მესამეზე – სამსახურში. მარტივად და გენიალურად.

ფიზიკური შრომა ჩემთვის ახალი და მწარე ხილი აღმოჩნდა. როგორც ვთქვი, ამას მალე მივეჩვიე. აი, შიმშილის გრძნობა კი, რომელსაც იქამდე ხელის გულზე გამოჭერილი მწერივით ვათამაშებდი, პრეისტორიულ გიგანტ მხეცად გადამექცა და საათების მიხედვით, დაბარებულივით დამიწყო პამპულაობა.

პირველ დღეს ვიუარე, თავი გამოვიდე, შიმშილი რას დამაკლებს-მეთქი, თან ჩემი საყვარელი გამოთქმაც მოვიშველიე და რუსუდანს, ჩემს ახალ უფროსს, თავმომწონედ გადავხედე. თვითონაც ასე მიყურებდა და ეცინებოდა, შეუკვეთე რამე, თორემ, მართლა ვერ გაძლებო, მართალს ამბობდა.

„ლობიანი ლორით... ლობიანი ლორით...“ - ისევ ვიმეორებ გულში და საწყობის სივრციდან გასასვლელ დაცვის ბარიერს გავდივარ. ახალგაზრდა და ლამაზი ქალი ზის, ზედაც არ მიყურებს, ხელის ფრჩხილებზე მანიკურის ფერს მოჭუტული თვალებით ლანდავს.

ჰეჰ! გამომეტანა პროტეინებით გამდიდრებული შოკოლადები, ვინ რას გაიგებდა?! კამერებით ყველგან როდი წვდებიან! ნამდვილად გაუმართლა ჩემში კომპანიას, ვფიქრობ და სამზარეულოს ვუახლოვდები, თუმცა „სამზარეულო“ გადაჭარბებით არის ნათქვამი. აქ მხოლოდ წყლის ონკანი, ელექტრომადუღარა და მიკროტალღური ღუმელი გვაქვს და მართლა თუ მოგინდა კაცს მზარეულობა, ვერაფერს გახდები. თანამშრომლების რაოდენობას თუ გავითვალისწინებთ, ვიწრო ოთახში ორი დიდი მაგიდა და რამდენიმე სკამი დგას. ყველა შეკვეთა ერთდროულად მოდის, ამიტომ დამჯდარი მშვიდად ჭამას ცოტა თუ ახერხებს, ლოდინიც როგორი ძნელია მოშიებულზე... ერთი საათი გაჭირვებით გადავაცილე და ახლა ცარიელი სკამის იმედით სამზარეულოში შევდივარ. მიმართლებს!

მაგიდაზე მაინც ბლომად ყრია ცელოფანში გახვეული შეკვეთები. ჯერ კიდევ იცდის კომპანიის ენერგია. ალბათ, ყველა თავისუფალი სკამის იმედად იკავებს თავს. ვუახლოვდები და ქექვას ვიწყებ. დახვავებულ ცელოფნებში, რომელთაც ქაღალდის მართკუთხედი ნაგლეჯები აკრია, ჩემი გვარი უნდა ამოვიკითხო. ყელზე ნერწყვმომდგარი ვიწყებ გადარჩევას:

„წიკლაური, ქისტაური, გიგაური.“

ოჰო! როგორ გაურითმავს მთიულებზე... ალბათ, ესენი ერთად უკვეთავენ, ერთად ელოდებიან ცარიელ სკამებს და მერე ერთად შეექცევიან ერთნაირ საჭმელს. ცელოფნებში სალათის კონტეინერებია გახვეული. ნამდვილად ასე იქნება, ვასკვნი და ძებნას ვაგრძელებ:

„გულუა, ყურუა, რურუა.“

სამეგრელოს კი ერთობა არ გაუჭირდებოდა. სადაც არ შემხვედრიან, ყველგან თავიანთი პატარა ავტონომია აქვთ ჩამოყალიბებული. სად არ გაიგონებს კაცი მათ ჰაეროვან ენას, ასე რომ ამრავალფეროვნებს ქართულ, ეთნიკურ ეგზოტიკას. თან არც ის მინდა, ჩვენი კვების კურიერს შემოქმედებითი ნიჭი დავუკარგო, ასე ოსტატურად რომ გაურითმავს ცელოფნებზე მიკრული გვარები. თვითონ ის კი არ იცის, ლექსებს რომ ვწერ და ჩემთვისვე მოსაწონი ჯერ ვერაფერი შევქმენი, არავის ვაკითხებ, არც თეთრი გამომდის, არც – ფერადი, თავში კი ათასი ფიქრი დამიქრის... ვითომ დამცინის?

ისევ გვარებს მივყვები:

„ღლონტი, დოლიძე, საღარეიშვილი.“

გურიამ აურია, თუმცა გურული სისხარტით რომ წარმოთქვა, შეიძლება გაირითმოს, მაგათ რას გაუგებ?! ერთი კი ნათელია – აქ ნამდვილად კუთხურ-კლანური გაერთიანებები აქვთ. კარგად უნდა ვეძებო! ქართლი მჭირდება და მათგან – ვერლიბრი... ძებნას ვაგრძელებ:

„მაისურაძე, კანდელაკი, ელისაშვილი.“

სულ აურია კურიერმა და ჩემი საჭმელიც არ ჩანს. ცელოფნებს თავიდან ვქექავ, მაინც არ არის. მშიერი ვრჩები, ვერ გადავრჩები!

– დაურეკე! – ვიღაც ქალი ცდილობს ჩემს დამშვიდებას, თუმცა არა მგონია, სახეზე შფოთი და მღელვარება მეტყობოდეს.

არაფერს ვპასუხობ და არც მისი იდეა მხიბლავს. რომ დავურეკო, რა ვუთხრა? ვუსაყვედურო? გავლანძღო? ამით რას მოვიგებ? მაინც მშიერი ვარ! რომ მითხრას, გამოგიგზავნე, კარგად მოძებნეო, რა ვუპასუხო? დუმილი ჩამოწვება, უხერხულია... არადა, როგორ მშია, მოვკვდები ალბათ...

– ხდება ხოლმე, მეც მომსვლია, – მეუბნება ვიღაც ბიჭი და უკვე დანაყრებული სამზარეულოდან გადის. დამამშვიდა...

არა! აქ ასე ვერ გავქაჩავ! ფიზიკური შრომისას სხეულს ენერგიით შევსება სჭირდება და თუკი ხშირად მაშიმშილებენ, შეიძლება სადმე დავეცე. აღარ ღირს აქ გაჩერება! ავდგები და წავალ! ვითომც არც მიმუშავია, ერთი თვეც არ გასულა. ნამდვილად წავალ! ახლავე გავალ და განცხადებას დავწერ... მაგრამ ამ შიმშილს რა მოვუხერხო, ახლა რომ მკლავს? სხვის საჭმელს ხომ არ შევჭამ?! შევჭამ? არა! ასეთი ბოროტიც არ ვარ. სამზარეულოს კამერები აკონტროლებენ. ნეტავ, თუ ჩართულია? არა! ვერ ვაპატიებ საკუთარ თავს, ამას სიკვდილი მიჯობს... მაგრამ შიმშილს ხომ კაცი არ მოუკლავს, მტკიცედ ვეუბნები საკუთარ თავს.

ელექტრომადუღარასთან მივდივარ და ყავას ვიმზადებ, იქნებ, მიშველოს... ყავას ხომ არ ვსვამ, მაგრამ ვინ იცის... სავსე პოლიეთილენის ჭიქას ვიღებ. ხელი მეწვება. მეორე ჭიქაში ვდებ და ისე მიმაქვს. განცალკევებულ ადგილზე ვჯდები. ყავა ცხელია, გაცივებას ველოდები და გარშემო ვიწყებ ყურებას – თანამშრომლებს ვათვალიერებ...

ეხლაღა ვამჩნევ ბიჭს ჩემს პირდაპირ, სახელი არ მახსოვს. ერთად ვიყავით გასაუბრებაზე, აქ ერთად მოვედით, მისი სახელი კი ვერ დავიმახსოვრე. ისედაც ბევრი სიახლეა ჩემს ცხოვრებაში, მიჭირს ყველაფრის აღქმა. საყვედურით მიყურებს, ალბათ, გვერდით რომ არ მივუჯექი. მეგობარს ეძებდა ჩემში, ვიგრძენი, ჩვენ ხომ ერთად მოვედით, ერთად დავიწყეთ ცხოვრების ახალი ეტაპი – ახალი სამსახური... თუმცა მას არ მოსწონს ეს სამუშაო, გამიმხილა, მე კიდევ თვითონ ის არ მომწონს, ბევრს ლაპარაკობს და ყველაფრით უკმაყოფილოა:

– აქ მე აღარ გავჩერდები! – ისე მეუბნება, თითქოს მე დავაწყებინე მუშაობა, ამას წინათ გამომიჭირა და მელაპარაკა, – დაგვცინიან ეს მათხოვრები... უნდათ, რომ მონურად გვამუშაონ... მთელი დღეები, აქ რვა საათი ძაღლივით უნდა ვირბინო და ოთხას ლარზე მეტს ვერ მოგცემთო, ღორები! პირველი თვეა და ჯერ უნდა ისწავლოო... არადა, მეც ხომ ვირივით ვმუშაობ და თუ ჯერ ჩქარა ვერ ვაკეთებ, ჩემი შრომა შრომა არ არის?! არა, ამის მოთმენა არ შეიძლება! უკვე შევუთანხმდი, განცხადება დავწერე. ამ თვეს ჩავამთავრებ, ხელფასს ავიღებ და მივდივარ... შენ რას აპირებ? – ამჩნევს, რომ არაფერის თქმას ვაპირებ და თვითონ მეკითხება.

– მე, ჯერჯერობით, დავრჩები, ვცდი მაინც, თითქოს გამომდის კიდეც, პატარა ბონუსზეც გავდივარ, – ფრთხილად ვპასუხობ, უკვე ვხვდები, რომ ვაღიზიანებ.

– პირველ თვეს? – მეკითხება და თვალები შუბლზე ასდის.

– ჰო, უკვე ზღვარს გადავცდი, – ვპასუხობ და ორივე ვჩუმდებით. იმას აღარ ვუმხელ, რითაც კიდევ უფრო მომხიბლა ამ სამსახურმა. აქ ყველა თავის საქმეს აკეთებს. ინდივიდუალურად ვშრომობთ, მხოლოდ საკუთარ თავზე ვართ დამოკიდებული და თუ ერთმანეთს ვეხმარებით, ან ველაპარაკებით, ეს ისევ ჩვენი სოციალური ბუნებიდან მოდის. მეც ჩავღუნავ თავს ჩემს ფაქტურაში და ხელი საქმეს თავისით აკეთებს, გონება კი მუზებთან დაქრის.

– ბოლო-ბოლო უნივერსიტეტში ვსწავლობდი! ამათ ხომ არ შევაკლავ თავს?! – ვხვდები, უნივერსიტეტში თსუ-ს გულისხმობს, თორემ ყველა უნივერსიტეტი უნივერსიტეტია. ეს ტერმინი კომუნისტებისგან შემორჩა, რომ უნივერსიტეტი მხოლოდ თსუ-ა. კიდევ კარგი, არ ვუთხარი, მეც იქ რომ ვსწავლობდი.

– რა პროფესია გაქვს? – მაინც ვინტერესდები.

– გეოდეზიაზე გსმენია რამე? – ჰგონია, რომ ჩამჭრელ კითხვას მისვამს, მაგრამ ვერ მივართვი.

– გამიგია, – ამაყად ვპასუხობ, – ეგ ის არაა, სამფეხზე რომ შეაყენებენ ფოტოაპარატივით რაღაცას და მერე მთელი წელი ჰორიზონტს ზომავენ?

– ყველაზე მაღალანაზღაურებადი პროფესიაა! – თავმომწონედ მეუბნება, თაყვანისცემას ითხოვს.

– მერე, არ გიცდია, პროფესიით გემუშავა? – ვცდილობ არ ვაგრძნობინო ჩემი ეჭვები მისი პროფესიონალიზმის მიმართ.

– აქ ხომ იცი, როგორც ხდება?! – იმედგაცრუება ეტყობა სახეზე, – ყველგან ახლობლობით და ნათესაობით იღებენ, მით უმეტეს, ასეთ მაღალანაზღაურებად სამუშაოზე მე, უპატრონოს, ვინ მიმიღებდა?! ამ ქვეყანაში აზრი არაფერს აქვს, რაც გინდა მაგარი იყავი საქმეში, თუ კაცი არ გყავს, დამთავრდა შენი ამბავი...

– სამწუხაროა, – ვეთანხმები და საკუთარი გამოცდილება მახსენდება, თუმცა მოყოლას არ ვაპირებ, ისედაც ვცდილობ დავივიწყო და ახალი სამსახურით დავკმაყოფილდე.

– არადა, ჯგუფში საუკეთესო სტუდენტი ვიყავი, – უცებ ენთება და თვალები უბრწყინდება, ამაყობს, – სწავლა უმაღლესი ქულებით დავამთავრე, ბაკალავრიატიც და მაგისტრატურაც... ჩემი ლექტორი მპირდებოდა გერმანიაში დასაქმებას, უამრავი ნაცნობი ყავდა... იქ კიდევ, ხომ იცი, ევროპაა, უფრო მეტს გადამიხდიდნენ, ვიდრე აქ...

– მერე, რატომ არ წახვედი? – ვუბრაზდები. თვითონაც ფრთხება და მშვიდდება, სიამაყე სახიდან უორთქლდება.

– ენა არ ვიცოდი, – უკვე სრულიად მშვიდია, დამწუხრებული, ბრძოლაში დამარცხებულ ფალავანს ჰგავს, აღარაფერს ამბობს და ვხვდები, საუკეთესო დროა მისგან თავის დასაღწევად.

– არა უშავს, გული არ გაიტეხო, რაღაც გამოჩნდება! – დავცინი, მაგრამ ეჩვენება, რომ ვამხნევებ და სასოებაჩამდგარ თვალებს მაყოლებს, უგულოდ ვეცლები, სხვა გზა არც მაქვს.

ახლა კი ზის ჩემს პირდაპირ, ბოლო ლუკმებს ითვლის, მადიანად შეექცევა. გაუმართლა, სადილი შეხვდა, მე კი ცხელი ყავის ორთქლი ცხვირში მიღიტინებს. თვის ბოლოს ოთხას ლარს გადაკეცავს და წავა, არც ღირდა მასთან დაახლოება, მაინც მიდის... მაგრამ მეც ხომ მივდივარ, ასე ვერ ვიშიმშილებ. ყავას დავლევ და უფროსთან შევალ... სამუშაო ადგილების მეტი რა არის... სხვა უკეთეს რამეს ვნახავ... ჩვენთან ხომ დუღს ეკონომიკა... დგება და მიდის გეოდეზისტი, ზედაც არ მიყურებს... ან რას ველოდი...

ჩემი მაგიდის გრძელ გვერდზე გოგოები სხედან – ქალები, სამნი არიან. ერთი ახალია, ვცნობ, ორიოდე დღით დავასწარი აქ მოსვლა – დიდი სატრაბახო საქმეა... დანარჩენები ძველები ჩანან, ჩვენთან შედარებით...

– რა გეჩქარება, ქალო, დაჯექი ცოტა ხანს!

– არა, ქალო, უნდა შევიდე, იქნებ რამე ავიღო ნორმალური...

– მაინც წამლებში ხარ, რა გენაღვლება?! აბა, მე წყლები უნდა ვზიდო...

– ჰოდა, წამლებში რომ ვარ, იმიტომ უნდა შევიდე, ხომ უნდა დავაგროვო რაღაც?! გადავალ მეც წყლებში და მერე აქ დავჯდები“. – ორივეს ეცინებათ, პირზე ხელებს იფარებენ, თითქოს სამარცხვინო რამ ეთქვათ. ახალი ჯერ ხმას არ იღებს, არც ეცინება, სადილს მადიანად შეექცევა.

– მიდი, მიდი, ქალო, იმუშავე! – აცილებს სამზარეულოდან შედარებით გამხდარი და ახლა ახალს უბრუნდება. ეტყობა, თვითონ დაამთავრა სადილი, მაგრამ ლაპარაკი ვერ ეთმობა, – ჰოდა, ქალო, ასეა, სანამ წამლებში ხარ, უნდა გამოიყენო დრო და რაც შეიძლება მეტი დააგროვო, საღამოსაც დარჩე და ადრეც მოხვიდე, სხვანაირად არაფერი გამოვა...

– ჰო, ვიცი, ჯერ პირველი თვეა, ნელ-ნელა ავუღებ ალღოს...

ოჰო, „ქალო“ არ უხსენებია, ეტყობა ახალია და ჯერ ვერ გაითავისა. აქ ყველა ქალს ეგ სიტყვა აკერია პირზე, ასე მიმართავენ ერთმანეთს. ახალგაზრდებიც და ხანში შესულებიც, დედაკაცებიც და ყმაწვილებიც, მართლა ქალებიც... თან სიტყვას სიმწრის ირონიას აყოლებენ, ღიმილით ნიღბავენ, ვითომ იგდებენ, თუმცა მათ თვალებში ვხედავ, რამხელა სევდა იმალება მის უკან. ფიზიკურად შრომობენ, კაცებს ტოლს არ დაგვიდებენ, არაფერში ჩამოგვრჩებიან და ამ სიტყვას ატრიალებენ, რომ არ დაავიწყდეთ, ვინ არიან, არ დაკარგონ სქესობრივი იდენტობა, რომ ნაზი და მგრძნობიარე არსებები არიან და საქმით გაუხეშებულნი შინაგანად პეპლის ფრთებით დაფარფატებენ, ნარნარი ფრენით დაჰყურებენ ნაოცნებარ სამყაროს, რომელიც მიუწვდომელი რეალობიდან იმზირება, მაგრამ წარმოდგენაც ხომ მთელი სამყაროა... სინამდვილეში კი ერთი საფიქრალი აქვთ – შვილებს ლამაზი მომავალი შეუქმნან, მისცენ ის, რაც თავად მოაკლდათ. თითოეულის თვალებიდან გამოსჭვივის ის სიმწარე, რაც თავს გადახდენია, ბუნდოვნად, მაგრამ მაინც იკითხება მათი თავგადასავალი – ბნელი დრო რაც ჩვენმა საზოგადოებამ გადაიტანა, შიმშილი, გაჭირვება, შიში... ზოგს ქმარში არ გაუმართლა, ზოგს მშობლებში, ზოგსაც მეგობრებში, თუმცა, ვინ იცის, ცხოვრებამ ყველა ათას გზაზე აპამპულავა და ეს ერთი სიტყვა დარჩათ ერთმანეთისთვის სათქმელად – „ქალო“. დარბიან მთელი დღეები კურდღელს გამოდევნებული მწევრებივით, რომ ორი კაპიკი მოაგროვონ ხელფასისთვის და ამ სირბილ-სირბილში ერთმანეთს თავიანთი შვილების ამბებით ახარებენ. ზოგს მართლა უხარია, ზოგი იტყობს სიხარულს...

„ჩემი შვილი წელს აბარებს, აბიტურიენტია...“

„ჩემმა შვილმა შარშან ჩააბარა, ას პროცენტიანი გრანტი აიღო...“

„ჩვენ ჩემპიონები გავხდით, პირველი ადგილი ავიღეთ...“

„ჩემ შვილს ვერ გავაგებინე, რომ სპორტს ცეკვა ჯობია, იდგეს და სდიოს ბურთს...“

„ჩემი შვილი ჯერ მეორე კლასში გადავიდა, დედა ენაცვალოს...“

და ასე უხარიათ და სტკივათ თავიანთი და ერთმანეთის შვილები, ხოლო ამ სირბილში, ხშირად, საკუთარი თავი ავიწყდებათ. „ქალოს“ გადაუგდებენ ერთმანეთს, ლ-ს ოდნავ დაარბილებენ, რომ ღიმილმა სიმწარე კარგად დამალოს და არ დაავიწყდეთ ვინ არიან. თან ამბობენ, ჩვენ საქმეში ქალი და კაცი არ არსებობს, ეს პროფესია თავად არის ცალკე სქესიო და ასე დავქრივართ საწყობში ერთსქესიანები...

„ქალო, რა ფაქტურა აიღე? ქალო, ბრუნვა რამდენი გაქვს? ქალო, სად გეჩქარება? ქალო, დამელოდე! ქალო, დაიღალე? ყავა არ დავლიოთ, ქალო? ქალო, ხელფასი სწორად დაგერიცხა? ქალო! ქალო! ქალო! ქალის გაჩენა დაიწვა...“

– კარგი, შევედი, ქალო! – დგება გამოცდილი და ახალს დროებით ემშვიდობება, – წავიდე, თორემ, გადამდგავს რუსო, – ამბობს და თვალებს მაღლა ქაჩავს.

– მიდი, ქალო, მეც მალე შემოვალ! – ახალმაც გაიმდიდრა ლექსიკონი აქაური სიტყვით.

მარტო რჩება. მის წინ, მაგიდაზე, ცელოფნებისა და ქაღალდის პაკეტებია დახორავებული, კარგად დანაყრებულან. ცისფერი თვალები და ქერა თმები აქვს, თუმცა საღებავის კვალი ეტყობა, ფერი ხელოვნურია. ცისფერ თვალებსაც აჩყვია დედაშვილობისა და წარსული მიჯნურობის ვნებათაღელვა, გაცრეცილან, თეთრ გარსში განზავებულან.

გაგრძელება გვ.10 ▶



# მიმოზა ცანავა

## ჩემო მაფშალია

სულის სარკმელს ლეწავს ქარი აშარია,
აღარ ენდო ქარებს, ჩემო მაფშალია!
თითქოს იმედის ტბა ისევ დამშრალია,
ამიტირდა გული, ჩემო მაფშალია,
შემიცვალა წერამ თალხად თავშალია,
მაინც ფეთქავს მაჯა, ჩემო მაფშალია!
იხარხაროს ეშმამ, მისთვის არ მცალია,
ამიკვნესდა სული ლექსად მაფშალია!
მწუხარებისაგან ცრემლიც დამშრალია,
დარდი ვერ წამაქცევს, ჩემო მაფშალია!
ნუ შეგაკრთობს ქარი, ქაარი აშარია,
იგალობე, ისევ, კოლხო მაფშალიავ!

## მიშველე დედა!

დაჭრილი სული მიცახცახებს, ამტკივდა ნერვი,
არ ვიცი, არა, სად გამრიყავს მაცდური ტალღა,
მიშველე დედა, გველეშაპმა ჩამჭიდა ხელი,
შემფარვებელი არავინ არ მყავს!
ერთგულებისთვის დამიშინეს ტყვიების წვიმა,
სიყვარულისთვის ჩამცეს სულში მწარედ მახვილი,
მიშველე დედა, მეშინია ყივჩაღთ ყივილის,
ნუთუ არ გესმის ჩემი ძახილი?!
სევდამ წალეკა ჩემი ბაღი, დამენგრა ბუდე,
და სულს სწყურია შენი სითბო, შენი ალერსი,
შემომეშველე შენებურად, დამანუგეშე,
ფრთებშეკვეცილი დაღმართს დავეშვი!..
დამისნეულდა სული მწარე მწუხარებისგან,
დამენგრა ჩემი ოცნებების თეთრი კარავი,
შემომაგებე, დედავ, შენი ერთგული ხელი,
შენებრ სიწმიდით არ დამინდობს ქვეყნად არავინ!

## სიზმარი

დედავ, დიდო ქართლისავ, ამოგვიშრე თვალები,
ააშორე შენს შვილებს შური, ღვარძლი წვალება,
გეყოს, რაცკი გყოლია შვილნი გადაკარგული,
იავნანა გვიმღერე, იავნანა ქართული!
შეხე, როგორ ცახცახებს საბა წვერმოშვებული,
უცხოს შეჰკედლებია წინაპარი ქებული.
შეხე, შეხე, აჩრდილებს, ქარიშხალი მძვინვარებს,
დედავ, ვერსად წააწყდი, სახეს მღიმარს, მცინარეს?!
შენალოცი სურები მოგვაწოდე შენს შვილებს,
თორემ მალე იხილავ შიშნარევებს, შეშლილებს...
დედავ, თეთრი მანდილი დააფარე შენს მხარეს,
შენი წმინდა ვალია, საქართველო გავალებს!
დედავ, ხომ შემორჩებათ სიძლიერე არწივებს,
ასე რამ ჩაგაფიქრა, საქართველო გატირებს?!
არა, ნუ გეშინია, ნუ მოჰკვდები გოდებით,
სიზმრად ვნახე, ხმელ წიფელს გაეშალა ტოტები...
ვაჟას ნაფეხურებში ია ამოსულიყო
და მღეროდა აკაკი გულსაკლავად სულიკოს...
ჩვენი გალაკტიონი მუზით გალაღებული,
თითქოს ცხადად ვიხილე ცამდე ამაღლებული.
იდგა დიდი ილია წიწამურთან გმირებით,
იარას უშუშებდნენ ღირსეული შვილები!..
დაფნის გვირგვინს უწნავდნენ გმირნი თავდადებულნი
და ჰყვაოდა ათასფრად ჩვენი მხარე ქებული.
ყორნებს ძალა წაერთვათ, ვერ ჩხაოდნენ ვერაგნი,
ტურებსა და მელიებს ვეღარ ცნობდა ვერავინ,
სოროში შემძვრალიყვნენ შურით დაქანცულები,
შიშით უკანკალებდათ გესლიანი გულები.
ცაზე ცისარტყელების იყო ფერთა ნათება,
ვიცი, ჩემი სიზმარი, ვიცი, კარგად ახდება,
დედავ, დიდო ქართვლისავ, კვლავაც ნახავ ნანახსა,
აღარ დაეკარგება ფასი იავნანასა!
საქართველო ისევ შობს შოთას, ვაჟას, ილიას,
ჩვენ ყოველთვის წვალებით, მაგრამ რწმენით გვივლია!
ქართვლის დედა კვლავ გაზრდის საარწივეს, საჩოხეს,
ძალას ვერვინ წაგვართმევს, ვერა, ვერ დაგვაჩოქებს!!...
დედავ, ნუ გეშინია, თმენა კოცონს ანთებს და
გოლგოთას გზა ყოფილა თურმე ბედი ქართველთა!
ღვთისმშობელის წილნაყარს უფალი არ გასწირავს,
არწივი იარწივებს და დარჩება არწივად!
კერა აღარ მოშალო, კალო აღარ გათელო,
ტოტებს გაშლის ძლიერად ბერმუხა საქართველო!
გულმართალი, ალალი, სიკეთესთან იწყვილებს,
გაიმრთელებს ჭრილობებს, საქართველო იბრწყინებს!

## თბილისო

რა ჯადო გაქვს ასეთი ზამთარშიაც ივლისობ,
საოცნებო, გულუხვო, ჩვენო დედა თბილისო!
ამდენ სითბოს ვით იტევ, შე, მთასავით ამაყო,
ხელგაშლილი მასპინძლობ ყველას, დედაქალაქო!
ქართვლის დედა დაგცქერის თასით წელგამართული,
ნათელ სახეს უმშვენებს ეგ ლეჩაქი ქართული.
სიყვარულით გინდა, რომ მოიშუშო იარა,
ასე გულის გულამდე ერი შეკრა მთლიანად.
ბევრი ტყვედ უქცევია შენს მომხიბვლელ ღიმილსო,
ჩემო ასიმღერებავ, მზის ქალაქო თბილისო!
გულზე კვალად გატყვია წინაპართა სულების
ვაჟას ნატერფალი და გალას ნაფეხურები!
სევდიანი ნიკალას ჯადოსნური ხელები,
ფუნჯთან ღამენათევი, ფერთა მონაფერები.
კინტო-ყარაჩოღელი ყელს იღერებს, თილისმობს,
ის ხიბლი, რაც შენა გაქვს, არავის აქვს, თბილისო!
ჭადრის ლამაზ ხეივანს დღე მასპინძლობს მზიანი,
საიათნოვას ბაიათს კვლავ აკვნესებ სიამით.
გულს იარად შემორჩა წარსულ დღეთა ტკივილი,
იმედიც დაგმსხვრევია ტბაში დაშლილ ტივივით.



ჰეი, ჩემო მეარღნევ, კვლავ აკვნესე თარები,
ღმერთმა ნუ მოგიშალოს მოტრფიალე, ფანები!
კურთხეულო, დაგნათის ღვთიურ ძალის ნათელი,
შენი კალთის მადლს ლოცავს, მადლიანი ქართველი.
რა ჯადო გაქვს ასეთი, ზამთარშიაც ივლისობ,
შენი ერთადერთობა ალალ იყოს, თბლისო!

## დედი, მაპატიე!

დედი, სევდიანი გაზაფხული
თმაში მონატრების მიწნავს იებს,
ვეღარ ჩამოვდივარ შენს საფლავთან,
დედი, გევედრები, მაპატიე!
ფატა გაცრეციათ დროისაგან
ბაბუაწვერებს, ამ ფანტიებს,
ლოცვებს ნაჩურჩულევს ვატან მტრედებს,
მე ვერ მოვაღწიე, მაპატიე!
შხუის ქარიშხალი თავგანწირვით,
თავს არ მანებებენ, ამტანს მდიეს,
დღეებს ნატკივილარს გულში ვიკლავ
დედი, შემინდე და მაპატიე!
ახლაც თვალწინ მიდგას ეგ ღიმილი,
დარდის გორები გულს ვეღარ დავატიე,
მოვალ, უსათუოდ მოვალ შენთან,
შემაგვიანდა და მაპატიე!

## ისე გასუსულან ოსანები

სევდის ლაბირინთში ვიკარგები,
თითქოს იმედებიც გამქრალია,
ირგვლივ წყვდადია, საშავეთი,
ზეცის კაბადონი რა მკრთალია!...
დარდის ქარავანი რად მიბირებს,
გზები იბორკება, ბინდი ფარავს,
ძალით ვერეკები სუსტი მხრებით,
ჩემი იმედების ფიქრთა ფარას...
თითქოს იბურება მოწყენილი დღე
და მახვილს იცემს გულში ჩუმად,
სადღაც გაკრეფილან ოსანები,
ჩემი დობილები ისევ დუმან.
მყუდრო იდილია სადღა არის,
თითქოს დაზაფრულა დედამიწა,
ჩემი სავარდეთი, საგოგმანო,
ასე ულმერთოდ ვინ შემიბილწა?!...
მწუთხე, ფიქრიანი დღეთა ჯარი მკაწრავს,
დაუნდობლად ძალას მაცლის,
სადღაც მოთათბირე ბედისწერა
ბეწვის ხიდზე გავლით ასე რად მცდის?!
დარდი მოარული ითავცემებს,
მე კი ვევედრები არ გამგუდოს,
რატომ შემესია ეჭვთა ჯარი,
ნეტავ რამ გამხადა ასე უნდო?!
ასე გამიჯნება გაზაფხულთან.
როგორ შეიძლება როგორ?
ვხედავ საკუთარ თავს გავურბივარ,
როგორც ჭირვეული ჭინჭყლა გოგო!
შესაჭირვებელი არ ილევა,
და დღე ინერტული მაცლის ძალას,
ისე გასუსულან ოსანები,
ნუთუ მიპირებენ ისევ ღალატს?!

## ფრთხილი ნაფეხურები

წუხელ მესიზმრა, გარდავიცვალე,
მწვანე ბალდახინს რთავდნენ ვარდებით,
შავ საქორწილო კაბას მიქსოვდნენ,
მკაწრავ-მქანცავი ეკალ-ბარდები!
სიკვდლის მერეც სიკვდილს ვნატრობდი,
ტანჯვის გორები სუსტ მხრებზე მაწვა,
და მწუხარება წვიმის წვეთივით
ცრემლად ეკიდა მარაო წამწამს!...
ტკივილის ზარი მაზანზარებდა,
საკუთარ სხეულს ვჭირისუფლობდი,
გაყრილი იყო სული სხეულთან
და მაინც ვგრძნობდი მწირი,
სულს ვფლობდი!..
ჩემს მოთმინებას ცდიდა სატანა
და დაფლეთილ სულს შანთით შანთავდა,
ბედის იდუმალ მრგვალ გორგოლაჭზე
გზა და გზა დღეებს უხმოდ ართავდა...
ციდან ტკარცალი მომესმა უცებ,
დარაზმულიყვნენ ანგელოზები,
ხელში ეჭირათ ბედნიერების
თასი, თილსმის ზღვა მიმოზებით..
სულ სათითაოდ შემომაცალეს
ეკალ-ბარდები სათნო ხელებით,
მერე კი ფრთები შემომაშველეს,
წამომაყენეს ფერებ-ფერებით.
მზისფერ ყვავილთა კონით მომირთეს
ის საცალფეხო ვიწრო ბილიკი,
ხელის აქნევით წამში გააქრეს
ავი დემონი ქილიკ-ქილიკით!...
ხელში მეჭირა მზე ხარისთვალა,
ახალისებდა სახეს ხურებით
და ივსებოდა იმედის სხივით
ეგ ჩემი ფრთხილი ნაფეხურები!

## წერტილი

რა პატარა ხარ, წერტილო,
ზოგი ვერც გამჩნევს უჩინოს,
ცდილობ ხმაურის გარეშე
ადგილი, რომ მიუჩინო
ყველას, ვინც ზომა არ იცის,
უსაზღვროების ზღვარს ცდება,
უმტკივნეულოდ აგვარებ
ერთ წამში, ირგვლივ, რაც ხდება!
გონზე მოსვლასაც არ აცლი,
არც სიტყვებს ეძებ ხმაურით,
არ გიყვარს წივილ-კივილი,
ქოთქოთი, აურ-ზაური!
უჩუმრად ასე პატარა,
უმალ აგვარებ ყველაფერს,
სხვა სასვენ ნიშნებს არ ჰგავხარ,
ყველა სიტყვას რომ ველად ჰფენს..
პაწაწინა ხარ, სულ მცირე,
მაგრამ დიდი გაქვს მესია,
არავის მოეწონება,
ეგ ხასიათი ხისტია!..
რას იზამ, წერტილად გაჩნდი,
მაგრამ  ძალა გაქვს მთებური,
შენებრი დიდი ბუნების
არა, არავინ მეგულვის!
სიცოცხლე ხმაურიანი,
არც გიღირს წლები დათვლადა,
სულ ერთ წერტილში მოამწყვდევ,
გამოჩნდები და დამთავრდა!
რა საჭიროა სიტყვები,
ან გრძელი, ანდა წყვეტილი,
უმალ ასრულებს ყველაფერს
ერთი პატარა წერტლი!

**ვახტანგ გურული**

(დასაწყ. წინა ნომერში)

# გიორგი XII
## (მეფობის უკანასკნელი პერიოდი)

1800 წლის 26 ნოემბერს ბატონიშვილებმა იულონმა, ვახტანგმა და ფარნავაზმა წერილი გაუგზავნეს კავკასიის ხაზის მთავარსარდალ გენერალ-ლეიტენანტ კარლ კნორინგს. ბატონიშვილები გენერალს სწერდნენ, რომ დავით ბატონიშვილი რუსეთის ჯარის დახმარებით მათი სამშობლოდან განდევნას ცდილობდა. ისინი აცხადებდნენ, რომ არ იცოდნენ როგორ გამოსულიყვნენ შექმნილი ვითარებიდან: დავით ბატონიშვილის წინააღმდეგ ბრძოლით რუსეთის იმპერატორს განარისხებდნენ, ხოლო თუ ბრძოლაზე ხელს აიღებდნენ, მაშინ სამშობლოს დატოვება მოუწევდათ. იულონ, ვახტანგ და ფარნავაზ ბატონიშვილები კნორინგს სთხოვდნენ, თუ პეტერბურგიდან პასუხის მიღებამდე მეფე გიორგი გარდაიცვლებოდა, სამეფოს მართვა-გამგეობა ან პირადად ჩაებარებინა, ან ლაზარევისათვის დაევალებინა. 1800 წლის 14 დეკემბერს ბატონიშვილი ვახტანგი კნორინგს სწერდა, რომ მისი სურვილი იყო ალექსანდრე ბატონიშვილის დაბრუნება და ყოველნაირად ეცდებოდა მიზნის მიღწევას. თუ ალექსანდრე ბატონიშვილის დაბრუნება შესაძლებელი გახდებოდა, ვახტანგ ბატონიშვილის აზრით, ერეკლე მეფის ანდერძის თანახმად, ძმებს უფროს-უმცროსობის კვალობაზე მორიგეობით უნდა ემეფათ. ბატონიშვილი აცხადებდა, რომ ტახტის მემკვიდრეობის ერეკლესეული წესის დარღვევის შემთხვევაში რამდენიმე ბატონიშვილს სამშობლოდან გადახვეწა მოუხდებოდა. 1800 წლის დეკემბერში ვახტანგ ბატონიშვილის წერილის შინაარსი სხვა ამბებთან ერთად კნორინგმა იმპერატორ პაველ I-ს გააცნო. კნორინგის წერილის პეტერბურგში ჩატანის დრო დაემთხვა დედაქალაქში გიორგი XII-ის ელჩების ჩასვლას.

1799 წლის 7 სექტემბერს გიორგი XII-მ ხელი მოაწერა რწმუნების სიგელს, რომლის მიხედვითაც რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის მეფის წარმომადგენლებს გარსევან ჭავჭავაძეს, გიორგი ავალიშვილს და ელიზბარ ფალავანდიშვილს მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინათ რუსეთის ხელისუფლებასთან. 1800 წლის 24 ივნისს თბილისში შედგა ნოტა, რომელიც შეიცავდა გიორგი XII-ის სათხოვარ პუნქტებს რუსეთის იმპერატორისადმი. ეს ნოტა ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიან წარმომადგენლებს (ელჩებს): გარსევან ჭავჭავაძეს, გიორგი ავალიშვილსა და ელიზბარ ფალავანდიშვილს უნდა წარედგინათ რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიაში. გიორგი XII-ის ელჩები პეტერბურგში 1800 წლის ნოემბერში ჩავიდნენ და 1800 წლის 24 ივნისს ნოტა გადასცეს რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიას. ცხადია, ნოტა თბილისში გიორგი XII-ის უშუალო მონაწილეობით შედგებოდა, არ არის გამორიცხული, რომ მის შედგენაში პიოტრ კოვალენსკიც და ივან ლაზარევიც მონაწილეობდნენ, თუმცა ნოტას ხელს გიორგი ავალიშვილი და ელიზბარ ფალავანდიშვილი აწერდნენ (გარსევან ჭავჭავაძე პეტერბურგში იმყოფებოდა და, როგორც ჩანს, ნოტის დედანს და რუსულ თარგმანს მან პეტერბურგში მოაწერა ხელი). ნოტა, ცხადია, ქართულ ენაზე შედგა, ხოლო რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიაში მისი რუსული თარგმანი იქნა წარდგენილი. ნოტის რუსულ თარგმანსაც ქართლ-კახეთის მეფის სრულუფლებიანი წარმომადგენლები აწერდნენ ხელს. ჩვენ ციტირებას რუსული თარგმანიდან მოვახდენთ, რადგან პეტერბურგში ნოტის შინაარსზე სწორედ რუსული თარგმანის მიხედვით მსჯელობდნენ. ნოტაში აღნიშნულია, რომ გიორგი XII-ს ჯერ კიდევ მამის, მეფე ერეკლეს, სიცოცხლეშივე ჰქონდა გაუმჟღავნებელი (საიდუმლოდ დაცული) სურვილი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მონარქის ,,სრულ დამოკიდებულებაში და ქვეშევრდომობაში“ შესვლის შესახებ (რუსულ თარგმანში: „вполную зависимость и подданство“). გიორგი XII-ის 1800 წლის 24 ივნისის ნოტაში გამჟღავნებული ერეკლე II-ის სიკვდილისწინა სურვილი არანაირი წყაროთი არ დასტურდება. როგორც ჩანს, პიოტრ კოვალენსკიმ და ივან ლაზარევმა ავადმყოფი მეფე დაიყოლიეს და ნოტაში რუსეთის იმპერიის ხელისუფლებისათვის სასურველი ფაქტი შეატანინეს. რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ფაქტს ან მთლიანად ნოტას რუსეთისათვის? 1800 წლის 24 ივნისის ნოტა რუსეთის ხელისუფლებას შეეძლო გამოეყენებინა როგორც საფუძველი 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის შესაცვლელად. ახალი ხელშეკრულებით, ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი გახდებოდა, რაც პრაქტიკულად, სუვერენიტეტის სრულ დაკარგვას მოასწავებდა.


დავით ბატონიშვილი

შესავლის შემდეგ ნოტაში ჩამოყალიბებულია ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის ,,სათხოვარი პუნქტები“:

1. მეფე გიორგის მემკვიდრეებთან, სამღვდელოებასთან, დიდებულებთან და ყველა თავის ქვეშევრდომთან ერთად სურდა, რომ სამუდამოდ მიეღო რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობა (რუსულ თარგმანში: „навсегда принять подданство Всероссийской Империи“). მეფე გიორგი პირობას დებდა, რომ პირადად იგი და მისი ქვეშევრდომები სრულად შეასრულებდნენ ყველა იმ მოვალეობას, რაც რუსეთის ქვეშევრდომებს ეკისრებოდათ, დაიცავდნენ რუსეთის იმპერიის ყველა კანონს და შეასრულებდნენ რუსეთის იმპერატორის ყველა ბრძანებას, რადგან რუსეთის იმპერატორს მიიჩნევდნენ თავიანთ ხელმწიფედ და თვითმპყრობლად (რუსულ თარგმანში: „обещаясь свято исполнять все то, что исполняют Россияне, и не отказываясь ни от каких законов и повелении, по принятому обычаю в его царстве и народе, что только будет повеленно по благоусмотрению Всероссийскаго Императора как наследственнаго (природнаго) своего государя и самодержца“);

2. მეფე გიორგი ითხოვდა, რომ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში ქართლ-კახეთის სამეფოს შესვლის შემდეგ, რადგან ქართლ-კახეთის სამეფო ნებაყოფლობით შევიდა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში, მისთვის შეენარჩუნებინათ მეფობა (რუსულ თარგმანში: „чтобы вместе с принятием его царства был поставлен царем“), ხოლო მის შემდეგ მისი მემკვიდრეები დაემტკიცებინათ მეფეებად (რუსულ თარგმანში: „... а после него и наследники его навсегда на престоле с утверждением в царском звании“). გიორგი XII ასევე ითხოვდა, რომ მეფეებს ქართლ-კახეთის სამეფოში ჰქონოდათ უმაღლესი (უპირველესი) ხელისუფლება (რუსულ თარგმანში: „и чтобы цари те имели первенствующую власть в своих царствах“);

3. მეფე გიორგი, როგორც ეს აღნიშნული იყო ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლებისათვის 1799 წლის 7 სექტემბერს მიცემულ რწმუნების სიგელში, ითხოვდა რუსეთის იმპერატორისაგან ჯამაგირის დანიშვნას და რუსეთში სოფლების ბოძებას;

4. მეფე გიორგი ითხოვდა, რომ მისი სათხოვარი პუნქტების განხილვამდე, იმპერატორის მიერ მათ დამტკიცებამდე და ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის ახალი ხელშეკრულების დადებამდე გაზრდილიყო ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი რუსეთის ჯარის რაოდენობა, რათა მტერს სამეფოზე თავდასხმის სურვილი არ გასჩენოდა;

5. მეფე გიორგი რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიას სთხოვდა სასწრაფოდ განეხილა ნოტაში ჩამოყალიბებული სათხოვარი პუნქტები და წარედგინა იგი იმპერატორისათვის;

6. ქართლ-კახეთის მეფეს, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კიდევ ჰქონდა სათხოვარი, რომელიც რუსულ მხარეს გადაეცემოდა მას შემდეგ, რაც ნოტაში ჩამოყალიბებული სათხოვარი პუნქტები განიხილებოდა და იმპერატორი დაამტკიცებდა.


ვახტანგ ბატონიშვილი

1800 წლის 24 ივნისის ნოტაში ჩამოყალიბებული გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტები გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წლის 24 ივლისი) პირობებიდან პრინციპულ უკანდახევას წარმოადგენდა. ერეკლე II რუსეთის იმპერატორის მფარველობაში შევიდა, ხოლო გიორგი XII რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომობას ითხოვდა. მფარველობა (Покравительство) და ქვეშევრდომობა (Подданство) ორი განსხვავებული ცნებაა. მფარველობა ქართლ-კახეთის სამეფოს სუვერენიტეტის შენარჩუნების შესაძლებლობას იძლეოდა, თუმცა, გარკვეული შეზღუდვებით. ქვეშევრდომობა ძირითად სუვერენულ უფლებებზე ხელის აღებას ნიშნავდა და ფაქტობრივად, ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის ნაწილი ხდებოდა. ყურადღებას იმსახურებს ერთი არც-თუ უმნიშვნელო დეტალი. გიორგი XII ქვეშევრდომობას ითხოვდა. რუსულ ოფიციალურ დოკუმენტებში ქვეშევრდომობა ითარგმნებოდა Подданство-დ, თუმცა ხშირად ქვეშევრდომობა ითარგმნებოდა არა როგორც Подданство, არამედ, როგორც Владычество. რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა, მათ შორის გარსევან ჭავჭავაძემ, შეიძლება არც კი იცოდნენ, თუ რას ნიშნავდა ქართულად Владычество. ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონში Владычество რამდენიმე ქართული შესატყვისით არის წარმოდგენილი: მეუფება, უფლება, სუფევა, მთავრობა, მფლობელობა, სამფლობელო. რუსი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეები Владычество-ს სწორედ მფლობელობის და სამფლობელოს მნიშვნელობით იყენებდნენ, ისინი მიიჩნევდნენ, რომ გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტები ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერატორის მფლობელობაში გადასვლას, რუსეთის იმპერატორის სამფლობელოდ გადაქცევას გულისხმობდა.

რატომ გადაწყვიტა გიორგი XII-მ ქვეყნისათვის დამღუპველი ნაბიჯის გადადგმა? – ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო სამხრეთ კავკასიაში შექმნილი ურთულესი სამხედრო-პოლიტიკური ვითარებით – ქართლ-კახეთის სამეფოს ირანის, ოსმალეთისა და კავკასიის მთიელების შემოსევებისაგან თავის დაცვა აღარ შეეძლო. ამას ემატებოდა სამეფო სახლის წევრებს შორის გაამწვავებული დაპირისპირება – ბრძოლა სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებისათვის. სამეფო სახლის ორად გაყოფამ თავადებისა და სამღვდელოების ზედაფენის ორად გაყოფა გამოიწვია, მთელი ქვეყანა შინააშლილობაში აღმოჩნდა ჩათრეული. სიცოცხლის ბოლო თვეების განმავლობაში გიორგი XII-ს პიოტრ კოვალენსკისა და ივან ლაზარევთან ერთადერთი სათხოვარი ჰქონდა: მისი გარდაცვალების შემდეგ ტახტზე დავით ბატონიშვილის აყვანა. მართალია, დავით ბატონიშვილი პაველ I-ის მიერ ტახტის მემკვიდრედ ოფიციალურად იყო დამტკიცებული, მაგრამ ავადმყოფ მეფეს ეს დამშვიდების საშუალებას არ აძლევდა. ბოლოს მეფე გიორგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დავით ბატონიშვილის ტახტზე ასვლა სამეფოს შინააშლილობისაგან ვერ იხსნიდა, დაპირისპირება სამეფო სახლის წევრებს შორის ისევ ძველებურად გაგრძელდებოდა. უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილი, დიაბეტის რთული ფორმით დაავადებული, დედინაცვლისა და ნახევარძმების დაუსრულებელი ინტრიგებით თავმობეზრებული გიორგი XII, სრულიად ბუნებრივია, რომ გამოსავალს ეძებდა. სამეფოსათვის საბედისწერო ჟამს მეფის გვერდით არათუ თანამოაზრეთა ჯგუფი, არამედ ერთი მეტ-ნაკლებად კომპეტენტური მრჩეველიც კი არ იდგა. მეფესთან იშვიათად შედიოდნენ ბატონიშვილი დავითი და თავადი სოლომონ ლიონიძე, სამაგიეროდ, მეფის საწოლ ოთახში ხშირად იმყოფებოდნენ: ქართლ-კახეთის სამეფოს კარზე რუსეთის იმპერიის სრულუფლებიანი წარმომადგენელი (მინისტრი) პიოტრ კოვალენსკი, საქართველოში მყოფი რუსეთის ჯარის მეთაური გენერალ-მაიორი ივან ლაზარევი, რუსეთის ჯარის ეგერთა პოლკის მეთაური გენერალ-მაიორი ვასილი გულიაკოვი და მეფის მიერ დაქირავებული ლეკთა რაზმის მეთაურები. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ რუსების აქტიური მონაწილეობით იქნა შედგენილი გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტები. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ დავით ბატონიშვილმა სათხოვარი პუნქტების შინაარსი არ იცოდა, შინაარსი არც დედოფალმა მარიამმა იცოდა.

1800 წლის 24 ივნისის ნოტის (გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტების) განხილვა რუსეთის მთავრობაში და მისი შედეგები.

აპოლოს მუსინ-პუშკინს აზრი გამოუთქვამს 1800 წლის 24 ივნისის ნოტაში ჩამოყალიბებული გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტების შესახებ და იმპერატორისათვის ქართლ-კახეთის მეფის სათხოვარი პუნქტების დაკმაყოფილება ურჩევია. მუსინ-პუშკინის გარდა, იმპერატორს იმავეს ურჩევდნენ სხვა გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწეებიც.

რუსეთის საიმპერატორო კარმა პოლიტიკური და სამხედრო ელიტის რჩევის საფუძველზე გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტების დაკმაყოფილება გადაწყვიტა. იმხანად არც არავის დაუმალავს, რომ გადაწყვეტილების მიღებისათვის ძირითად მოტივს წარმოადგენდა არა ქართლ-კახეთის სამეფოს გადარჩენა, არამედ რუსეთის იმპერიის მისწრაფება სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებისაკენ. ყურადღება მახვილდებოდა ოთხ მთავარ ფაქტორზე:

1. ჩრდილო კავკასიაში არსებული გამაგრებული ხაზი (კავკასიის ხაზი) ვერ უზრუნველყოფდა მთიელთა წინააღმდეგ წარმატე-

ბულ ბრძოლას. თუ ასეთივე ხაზი სამხრეთ კავკასიაშიც (საქართველოშიც) შეიქმნებოდა, მთიელები ორმხრივი დარტყმის ქვეშ მოექცეოდნენ. თუ მთიელები მაინც არ დანებდებოდნენ, მაშინ მორჩილებას მათ შიმშილით აიძულებდნენ. იმ დროისათვის კავკასიის მთიელები კვებისათვის აუცილებელ პროდუქტს ან ჩრდილო კავკასიაში (ძირითადად მოზდოკში) ან საქართველოში (ძირითადად თბილისში) ყიდულობდნენ.

2. საქართველო მდიდარი იყო წიაღისეულით, რომლის დამუშავება რუსეთისათვის ეკონომიკურად მეტად ხელსაყრელი იყო;

3. ქართლ-კახეთის სამეფო ირანისა და ინდოეთისაკენ მიმავალ სავაჭრო გზაზე მდებარეობდა და, ამდენად, ამ რეგიონში ფეხის მოკიდებით რუსეთი დიდ მოგებას ნახავდა;

4. ოსმალეთთან ომის შემთხვევაში, შავი ზღვის სამხედრო ფლოტით, მცირე აზიის სანაპიროზე ჯარის გადასხმასთან ერთად, ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსეთის ჯარები შეიძლებოდა შეჭრილიყვნენ ოსმალეთის ჩრდილოეთ პროვინციაში და დაეკავებინათ ანატოლია, რითაც მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებდნენ ოსმალეთს. პირიქით, თუ ოსმალეთი მოახერხებდა საქართველოს ტერიტორიის და მათ შორის ქართლ-კახეთის ტერიტორიის დაკავებას, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა კავკასიის ხაზი, შესუსტდებოდა რუსეთის პოზიციები ყირიმში.


პაველ I

ამ მოსაზრებებს ანგარიში გაუწია რუსეთის საიმპერატორო კარმა, როდესაც გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტების დაკმაყოფილება გადაწყვიტა.

ზემოთ ხსენებულ მოსაზრებებთან ერთად აპოლოს მუსინ-პუშკინი, ასევე სხვა პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეები იმედს გამოთქვამდნენ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღების შემდეგ იმავეს მოითხოვდა იმერეთის სამეფო და, ამრიგად, მთელი საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდებოდა.

ცხადია, რუსეთის საიმპერატორო კარს გათვალისწინებული ჰქონდა ისიც, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის ქვეშევრდომობაში (მფლობელობაში) გადასვლას შეიძლება გართულებები მოჰყოლოდა. რუსებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ გართულების შემთხვევაში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭებოდა კავკასიის ხაზიდან (გეორგიევსკიდან, მოზდოკიდან) თბილისისაკენ მომავალი გზის დაცვას, რათა რუსეთის ჯარის მოძრაობა არ შეფერხებულიყო. ამ გზის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი არაგვის ხეობაში ვახტანგ ბატონიშვილის საუფლისწულოზე გადიოდა. რუსეთის საიმპერატორო კარს იმედი ჰქონდა, რომ გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ ვახტანგ ბატონიშვილის მიმხრობას შეძლებდნენ.

მოლაპარაკება პეტერბურგში.

1800 წლის 24 ივნისის ნოტით (გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტებით) პეტერბურგში ჩასულ ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი წარმომადგენლების გიორგი ავალიშვილისა და ელიზბარ ფალავანდიშვილის, ასევე პეტერბურგში მყოფი გარსევან ჭავჭავაძის მიღება და მათთან მოლაპარაკების წარმოება დაევალა იმპერატორ პაველ I-ის ფავორიტს, რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის ფაქტობრივ ხელმძღვანელ ფიოდორ როსტოპჩინს და პაველ I-თან დაახლოებულ პირს, ცნობილ დიპლომატს, საიდუმლო მრჩეველ სერგეი ლაშქარევს. შეხვედრა შედგა 1800 წლის 14 ნოემბერს. ფიოდორ როსტოპჩინმა ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიან წარმომადგენლებს განუცხადა, რომ იმპერატორი პაველ I თანახმა იყო მეფე გიორგი XII და მისი ხალხი მიეღო ქვეშევრდომობაში. ქვეშევრდომობაში მიღებისათვის იმპერატორმა ერთი პირობის შესრულება მოითხოვა: ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი წარმომადგენლებიდან ერთ-ერთი თბილისში უნდა დაბრუნებულიყო და მეფისა და ხალხისათვის უნდა ეცნობებინა პაველ I-ის თანხმობის შესახებ. თუ ამის შემდეგ გიორგი XII და მისი ხალხი მეორედ ითხოვდნენ ქვეშევრდომობაში მიღებას და საგანგებო სიგელსაც მოაწერდნენ ხელს, ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში იქნებოდა მიღებული.

პარალელურად, რუსეთის საიმპერატორო კარმა შეკითხვა გაუგზავნა კავკასიის ხაზის მთავარსარდალ გენერალ-ლეიტენანტ კარლ კნორინგს. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა გაერკვია, დამატებით რა რაოდენობის ჯარი უნდა გაეგზავნათ ქართლ-კახეთის სამეფოში:

1. მეზობელი სახელმწიფოებისა და ხალხების თავდასხმისაგან სამეფოს დასაცავად;

2. სამეფოში შინაგანი წესრიგის დასაცავად და ახალი მმართველობის დასამყარებლად.

1800 წლის ნოემბრის შუა ხანებისათვის რუსეთის საიმპერატორო კარზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

1. გიორგი XII-ს სიკვდილამდე შეუნარჩუნდეს მეფობის უფლება;

2. გიორგი XII-ის სიკვდილის შემდეგ მისი უფროსი ვაჟი, რუსეთის იმპერატორის მიერ ტახტის მემკვიდრედ ცნობილი დავითი, დამტკიცდეს საქართველოს (ქართლ-კახეთის სამეფოს - ვ. გ.) გენერალ-გუბერნატორად და ამასთან ერთად შეუნარჩუნდეს მეფის ტიტული (დავით გიორგის ძის გენერალ-გუბერნატორად დანიშვნა დიდ სირთულედ არ იქნა მიჩნეული, რადგან დავითი რუსეთის იმპერატორის სამსახურში იმყოფებოდა, მინიჭებული ჰქონდა გენერლის სამხედრო წოდება და ერთხანს მსახურობდა რუსეთის ჯარში);

3. ქართლ-კახეთის სამეფო მიემატოს რუსეთის იმპერიის გუბერნიების რიცხვს ,,საქართველოს სამეფოს“ სახელით.

თავდაპირველად რუსეთის საიმპერატორო კარს არ სურდა ქართლ-კახეთის სამეფოს შინაურ მმართველობაში ჩარეულიყო. გადაწყდა თბილისში გაგზავნილიყო ერთი რუსი მოხელე, რომელიც გიორგი XII-ს დაეხმარებოდა სამეფოში წესრიგის დამყარებაში და თვალყურს ადევნებდა მართლმსაჯულებას. პაველ I ქართველებს ჰპირდებოდა, რომ ყველა თანამდებობა (სამოხელეო, სასამართლო, საეკლესიო) შენარჩუნებული იქნებოდა, რუსეთის ჯარი კი მეზობელი სახელმწიფოებისა და ხალხებისგან სამეფოს დაცვას უზრუნველყოფდა. რუსეთის იმპერატორმა ასევე გადაწყვიტა: გიორგი XII-ს და მის ოჯახს, ასევე სამეფო სახლის წევრებს ჯამაგირი ქართლ-კახეთის სამეფოს შემოსავლებიდან უნდა მიეღოთ. თუ სამეფო სახლის წევრები საცხოვრებლად რუსეთში გადავიდოდნენ, მათ უბოძებდნენ მამულებს და მათი ღირსების შესაფერის წოდებებს.

გიორგი XII-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურესად გაუარესებისა და მეფის მოსალოდნელი გარდაცვალების გამო, რუსეთის საიმპერატორო კარმა მოქმედების საგანგებო გეგმა შეიმუშავა. 1800 წლის 15 ნოემბერს კავკასიის ხაზის მთავარსარდალმა, გენერალ-ლეიტენანტმა კარლ კნორინგმა პაველ I-ის რესკრიპტი მიიღო, თუ როგორ უნდა ემოქმედა მეფის გარდაცვალების შემთხვევაში. კავკასიის ხაზის მთავარსარდალს ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობისათვის უნდა გამოეცხადებინა, რომ მას პეტერბურგიდან ტახტის მემკვიდრის, დავით გიორგის ძის მეფედ გამოცხადების ბრძანება არ ჰქონდა მიღებული. 1800 წლის 15 ნოემბერს კნორინგმა იმპერატორის მეორე რესკრიპტიც მიიღო. პაველ I კავკასიის ხაზის მთავარსარდალს უბრძანებდა ქართლ-კახეთის სამეფოში დამატებით გაეგზავნა დრაგუნთა ერთი და ქვეითთა სამი პოლკი. კნორინგს ასევე ებრძანა ახალი რესკრიპტის მიღებისთანავე თვითონაც გამგზავრებულიყო ქართლ-კახეთის სამეფოში ან გაეგზავნა ერთი გენერალი. იმპერატორი კნორინგს წერდა, რომ მას ,,პატივი ექნებოდა რუსეთისათვის შეეერთებინა ტერიტორია (რუსულ დედანში: „Область“), რომელსაც ემუქრებოდა ყველა მეზობელი ხალხი“. როსტოპჩინი კნორინგს სწერდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ ,,ბოლო მოეღებოდა მთიელთა თვითნებობას და კასპიისპირეთის მფლობელთა შფოთს“.

რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის სამეფოს ქვეშევრდომობაში მიღების თაობაზე პოზიციის შეჯერების შემდეგ გიორგი ავალიშვილი და ელიზბარ ფალავანდიშვილი თბილისში გამოემგზავრნენ. მათ თან მოჰქონდათ ფიოდორ როსტოპჩინის 1800 წლის 23 ნოემბრის წერილი. რუსეთის ხელისუფლების პირობების გაცნობის შემდეგ გიორგი XII-ს ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიეღო. თუ მეფე ქვეშევრდომობის მიღების თაობაზე რუსეთის ხელისუფლების პირობებს დასთანხმებოდა და საგანგებო სიგელსაც მოაწერდა ხელს, გიორგი ავალიშვილსა და ელიზბარ ფალავანდიშვილს ეს სიგელი პეტერბურგში უნდა ჩაეტანათ. პეტერბურგში გამგზავრებამდე მეფე გიორგის რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენლებისათვის ელჩები უნდა ეწოდებინა.

1800 წლის ნოემბრის ბოლოს გიორგი ავალიშვილი და ელიზბარ ფალავანდიშვილი პეტერბურგიდან თბილისში გამოემგზავრნენ. პეტერბურგში დარჩა მხოლოდ გარსევან ჭავჭავაძე. ქართველი ელჩები რუსეთის იმპერიის დედაქალაქში მხოლოდ 1801 წლის თებერვალში დაბრუნდნენ. 1801 წლის აპრილში კავკასიის ხაზის მთავარსარდალმა კარლ კნორინგმა ჯართან ერთად ქართლ-კახეთის სამეფოში გამგზავრების ბრძანება მიიღო.


სოლომონ ლიონიძე

ჯერ კიდევ 1800 წლის 26 ნოემბერს როსტოპჩინი კნორინგს წერდა: ,,აუცილებელია დრომდე ქართლ-კახეთის სამეფოში ყველაფერი პირვანდელი სახით დარჩეს. თავადებმა თქვენ უნდა გაცნობონ რამდენად სასარგებლოა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის რუსეთის მფარველობაში შესვლა. დაამშვიდეთ თავადები, რომ მეზობლებისა ნუღარ ეშინიათ. ამ თვალსაზრისით ყველაფერი წესრიგში იქნება და ჩვენ გვექნება ბედნიერება მონაწილეობა მივიღოთ იმ საქმის აღსრულებაში, რომელიც ღმერთსა და ხელმწიფეს ესათნოება“. კნორინგმა, იმპერატორ პაველ I-ის ბრძანების თანახმად, ქართლ-კახეთის სამეფოში გამოსაგზავნად მოამზადა: დრაგუნდა პოლკი (მეთაური გენერალ-მაიორი სემიონ პორტნიაგინი), გრენადერთა პოლკი (მეთაური გენერალ-მაიორი სერგეი ტუჩკოვი) და მუშკეტერთა პოლკი, რომელიც უშუალოდ კარლ კნორინგის დაქვემდებარებაში იყო. გარდა ამ სამი პოლკისა, ქართლ-კახეთის სამეფოში იგზავნებოდა მეხუთე საარტილერიო პოლკის ოთხი ზარბაზანი. როდესაც ზემოთ აღნიშნული პოლკები ქართლ-კახეთის სამეფოში ადრე გამოგზავნილ რუსეთის ჯარს შეუერთდებოდა, მთლიანად საქართველოში რუსეთის სამხედრო ძალების სერიოზული რაოდენობა მოიყრიდა თავს: ქვეითთა 8 ბატალიონი, კავალერისტთა 10 ესკადრონი, კაზაკთა 1 ასეული, 4 მძიმე ზარბაზანი, 15 საველე ზარბაზანი. ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი რუსეთის ჯარი ასე უნდა განაწილებულიყო: თბილისში – გენერალ-ლეიტენანტ კარლ კნორინგის მუშკეტერთა პოლკი, გენერალ-მაიორ ივან ლაზარევის ქვეითთა პოლკიდან 1 ბატალიონი, დრაგუნთა 2 ესკადრონი და მთელი არტილერია (4 მძიმე და 15 მსუბუქი ზარბაზანი); თელავში – გენერალ-მაიორ ვასილი გულიაკოვის პოლკის მუშკეტერთა 1 ბატალიონი, ეგერთა 1 ასეული და დრაგუნთა 2 ესკადრონი; ლორეში – გენერალ-მაიორ სერგეი ტუჩკოვის გრენადერთა პოლკის 1 ბატალიონი, ეგერთა 1 ასეული და დრაგუნთა 2 ესკადრონი; გორში – გენერალ-მაიორ სერგეი ტუჩკოვის გრენადერთა პოლკის 1 ბატალიონი, ეგერთა 1 ასეული და დრაგუნთა 2 ესკადრონი, დუშეთში - ეგერთა 1 ასეული. რუსეთის ჯარების განლაგებისას გათვალისწინებული იყო ის, რომ თბილისი ყოველი მხრიდან დაცული ყოფილიყო და საჭიროების შემთხვევაში ჯარებს შეუფერხებლად მოეყარათ თავი თბილისთან.

1800 წლის 15 დეკემბრის შემდეგ რამდენჯერმე გავრცელდა ხმა გიორგი XII-ის გარდაცვალების შესახებ. 20 დეკემბერს გორთან, სოფელ ჭალაში, შეიკრიბნენ ბატონიშვილები (დარეჯან დედოფლის ვაჟები) და მოწოდება დაუგზავნეს ქალაქ გორის მცხოვრებლებს, სამღვდელოებას და, საერთოდ, ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობას. მოწოდებაში აღნიშნული იყო, რომ ერეკლე II-ის მიერ დამტკიცებული ტახტის მემკვიდრეობის წესის თანახმად, გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ, ქართლ-კახეთის მეფე უნდა გამხდარიყო ძმებში უფროსი, ბატონიშვილი იულონი. ბატონიშვილებმა თავიანთი მომხრეები გორში მიიწვიეს, ვინც გორში არ გამოცხადდებოდა, დასჯით ემუქრებოდნენ. ბატონიშვილმა დავით გიორგის ძემ მცხეთაში შემავალი გზა გადაკეტა, ჩხრეკდნენ თბილისისაკენ მომავალ ადამიანებს, ეძებდნენ საიდუმლო წერილებს. ჩხრეკას თან სდევდა მგზავრების ძარცვა. გენერალმა ლაზარევმა დავით ბატონიშვილს ჰკითხა, თუ რატომ იდგა მცხეთასთან პიკეტი მაშინ, როდესაც ლეკების შემოსევის საშიშროება არ არსებობდა. დავით ბატონიშვილმა რუს გენერალს უპასუხა, რომ მას არავითარი პიკეტი არ დაუყენებია და ამიტომ არაფერი იცოდა, ღამით კი პიკეტი მოხსნა, თუმცა ბიძებთან ბრძოლაზე ხელი არ აუღია.

1800 წლის 22 დეკემბერს თბილისში ხმა გავრცელდა, რომ მძიმედ ავადმყოფმა მეფე გიორგიმ სიონის ტაძარში მოისურვა გადაყვანა, რათა ქვეშევრდომები ტახტის მემკვიდრე დავითის ერთგულებაზე დაეფიცებინა. სამეფო სახლის წევრების ნაწილი, თავადები და თბილისის მოსახლეობა სიონის ტაძრისაკენ დაიძრა. სიონისაკენ გაემართნენ რუსი გენერლები: ივან ლაზარევი და ვასილი გულიაკოვი. როგორც ლაზარევის 1800 წლის 25 დეკემბრის მოხსენებაშია აღნიშნული, სიონის ტაძარში დაფიცების ცერემონიალი არ ჩატარებულა. აღსრულდა მხოლოდ იმ წმინდანთა ნეშტთა აღმოყვანება, რომლებიც აღა მაჰმად ხანის შემოსევის დროს ტაძარში იყო გადამალული. ივან ლაზარევს ისიც დაუდგენია, რომ დაფიცების შესახებ ხმები დავით ბატონიშვილის მიერ ყოფილა გავრცელებული. თბილისიდან დავით ბატონიშვილი კახეთში გაემგზავრა. როგორც 1800 წლის 23 დეკემბერს კახეთიდან ლაზარევს აცნობეს, ბატონიშვილი დავითი და მისი მომხრეები კახეთის თავადებს, აზნაურებს, სამღვდელოებასა და, საერთოდ, მოსახლეობას მოუწოდებდნენ თხოვნა გაეგზავნათ ლაზარევისათვის, რომ დავით ბატონიშვილი მეფედ ეცნო. დავით ბატონიშვილის მომხრეები კახეთის მოსახლეობას არწმუნებდნენ, რომ თუ იგი სამეფო ტახტზე არ ავიდა, მეფე გიორგის ნახევარძმები (ერეკლე მეფისა და დარეჯან დედოფლის ვაჟები) სამეფოს ირანის შაჰის ქვეშევრდომად აქცევდნენ. ბატონიშვილის მომხრეებმა მიზანს მიაღწიეს – კახეთის მოსახლეობამ დავით გიორგის ძის ერთგულებაზე დაიფიცა.

სამეფო ტახტის მაძიებელ ბატონიშვილთა შორის ბრძოლას დასასრული არ უჩანდა. დაპირისპირებულმა მხარეებმა შეიტყვეს, რომ მალე თბილისში დაბრუნდებოდნენ პეტერბურგიდან წამოსული გიორგი ავალიშვილი და ელიზბარ ფალავანდიშვილი. ცხადია, ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენლების თბილისში ჩამოსვლის ზუსტი თარიღი არ იცოდა ივან ლაზარევმაც. ამ უკანასკნელს ჯერ

გაგრძელება გვ.7 ▶

# დიდოფალი სინდუხტარ ჯაყელი – დავით IX-ის მეუღლე და ბაგრატ დიდის დედა

## (ციკლიდან „დედოფლები ჯაყელთა დინასტიიდან“)

კახაბერ ჯაყელი

(დასაწყ. წინა ნომერში)

***

ამ ამბიდან ერთ წელიწადში, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში ჯვარი დაიწერეს მეფე დავით IX-მ და სინდუხტარ ჯაყელმა. დასახლდნენ თბილისს. მალე დედოფალი დაფეხმძიმდა და უფლისწული ბაგრატი შვა. ყველაფერი იმას მეტყველებდა რომ დავითისა და სინდუხტარის ცხოვრება ბედნიერად წარიმართებოდა, მაგრამ როდესაც ბაგრატ უფლისწული ერთი წლის გახდა, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმულ ბედნიერ, მდიდარ და უხვ ქვეყანას ირანის საილხანოს წინამძღოლი ანუშირვანი შემოესია. მტერმა შემახას გზა აირჩია და რამდენიმე ხანში საქართველოს საზღვრებთან დაიბანაკა.

ანუშირვანის წინააღმდეგ საბრძოლველად ქართველებმა ჯარი გაამზადეს. ქვეყნის ათაბაგად და ამირსპასალარად მჯდარმა აღბუღა ჯაყელმა შემოსეულ მტერთან დიპლომატიური მოლაპარაკებების გამართვა გადაწყვიტა. სამცხესა და თბილისში გაიხსენეს, რომ ირანის საილხანოს ამჟამინდელი მმართველი ანუშირვანი ყველაფერში ირანის მმართველს მალეკ აშრაფს ემორჩილებოდა. ეს მალეკ აშრაფი კი მონღოლთა ცნობილი ნოინის ჩოფანის შთამომავალი იყო. თუ ჩოფანთან ქართველები ადრეც მეგობრობდნენ, რატომ არ შეიძლებოდა ჩოფანის შთამომავალ – ღიასადენ მალეკ აშრაფთან ძველი მეგობრობა გაეხსენებინათ და მისი მონის – ანუშირვანის ლაშქარი უომრად უკან გაეხმოთ.

აღბუღა ათაბაგის ეს აზრი, დიპლომატიური მოლაპარაკებების და მოქნილი პოლიტიკური ქმედებების გამოყენების შესახებ მოეწონა თავად მეფეს. დავით IX, წინა და შემდგომ ბაგრატიონ მეფეთაგან განსხვავებით, საკმაოდ მშვიდი ადამიანი გახლდათ. მეფეს ანუშირვანთან ომის არ ეშინოდა, მაგრამ ხალხი ეცოდებოდა. აღბუღა ათაბაგმა მტერთან მოლაპარაკება დაიწყო. ანუშირვანს აგრძნობინეს, რომ ქართველები ძველ ჭრილობებს იშუშებდნენ და გარკვეული დათმობებისათვის მზად იყვნენ.

ერანის ბოლო ჩოფანიდ მბრძანებელთან, შაჰ მალეკ აშრაფ ჩოფან ოღლისთან მალემსრბოლი აფრინეს და მას ამ წერილში წინაპრების – სარგის და ბექა ჯაყელების დიდი მეგობრობა და ღვაწლი შეახსენეს მალეკის პაპასთან – მონღოლთა დიდ ჰულაგუ ყაენთან. ასევე დიდი მეფის, გიორგი ბრწყინვალეს ვეზირ ჩოფანთან ძმაკაცური დოსტობა ამოაქექვინეს მახსოვრობიდან, მისსავე უშვილო, მილევად შთამომავალს – მალეკ შაჰს.

წერილებს, რა თქმა უნდა, ურთიერთ დათმობებიც მოჰყვა. ერანის ჩოფანიდებს სჭირდებოდათ ბაგრატიონები. როგორც ჩანს, ბოლო ჩოფანიდმა შაჰ მალეკ აშრაფ ჩოფან ოღლიმ, საქართველოს დიდ და ძლიერ სამეფოსთან მშვიდობა არჩია და თავისი ერთგული ძაღლი ანუშირვანი შეაჩერა.

ანუშირვანის უზარმაზარი მხედრობა, რომელშიც ასი ათასი კაცი იყო გაერთიანებული, შედგა და გაურკვევლობაში გაირინდა. უეცრად ყველა დაიზაფრა ახალი ჭორით, რომელიც თითქოს სიმართლესაც წააგავდა – ეს იყო ანუშირვანის ჯარში შავი ჭირის გაჩენა.

ანუშირვანს როგორც კი აცნობეს შავი ჭირი ქართლშიც გავრცელდაო, იგი იმწამსვე მიხვდა, რომ მის ჯარს უბრძოლველად დაღუპვა ელოდა. ქართველები ციხესიმაგრეებში იყვნენ გამაგრებულები და ანუშირვანის შესევის შედეგად უამრავ ირანელს და მონღოლს გაავლებდნენ მუსრს. ცალკერძ შავი ჭირი დაღუპავდა იმათ, რომლებსაც არ იმსხვერპლებდა გურჯული ხმალი, ბასრი ხანჯალი და უმოწყალო სატევარი. 1350 წელს ერანის ილხანი, ყმა ჩოფანის დინასტიისა, შემოტრიალდა და თავისი ჯარით ნელ-ნელა გაემართა კასპიის ზღვის სანაპიროსაკენ, რომ როგორმე შავი ჭირით დაბინძურებულ ჰავას გასცლოდა და ზღვის პირას გამოეზამთრებინა.

საქართველო გადარჩა. მოთავეებმა ქვეყანა სასტიკი ომის მსახვრალი მახვილისაგან დიპლომატიით დაიხსნეს, მაგრამ შავი ჭირი კი ვერ შეაჩერეს.

მნიშვნელოვან წილად, დავით მეფისა და მისი დედოფლის სინდუხტარის პოლიტიკური ცხოვრება მშვიდად წარიმართა. მეფე ქვეყნის აღშენებისა და გამდიდრების დიდი შემოქმედი იყო. მის ხელში ყველა სიმაგრე და ციხე განახლდა, მეფის ბრძანებით შეკეთდა საქარავნო გზები და ხიდები, აიგო ქარვასლები და დედოფალმა სინდუხტარმა განსაკუთრებული ზრუნვა გამოიჩინა ქვრივ-ობლების მიმართ მწყალობლობასა და შემწეობაში.

დავით მეფე 1360 წელს, ორმოცი წლის ასაკში გარდაიცვალა, დაშთა დედოფალი სინდუხტარი უფლისწული ბაგრატით, რომელიც სიყმაწვილიდანვე მხნე და გამორჩეული მხედართუფროსი იყო. ასევე სინდუხტარ ჯაყელს ჰყავდა ქალიშვილები გულშარი, ქსნის ერისთავის მეუღლე და გულქან ხათუნი – ტრაპიზონის იმპერიის უფლისწულის მანუელ კომნენოსის თანამეცხედრე.

ბედნიერებასა და სამეფოს სიყვარულში განვლო მთელი თავისი სიცოცხლე დავით IX ბაგრატიონმა, რომელმაც ქვეყნის სიდიადის შენარჩუნება, თითქმის უბრძოლველად შეძლო და ვეებერთელა საქართველო დაუტოვა



თავის ვაჟს, ბაგრატ V ბაგრატიონს, რომელსაც წილად ხვდა, შებრძოლებოდა მსოფლიოს უდიდეს დამპყრობელს, სისასტიკით ცნობილ, მოჭრილი თავებით მინარეთების მაშენებელ თემურ ლენგს.

***

საფარასთან არსებული ათაბაგთა სამეფო სასწავლებელი გიორგი ბრწყინვალემ ათაბაგის მაღალი სახელო, თავის ბიძას – სარგის II ჯაყელს უწყალობა. ამ ტიტულით შემკული ჯაყელი სახელმწიფოს მართვის გარდა, ბატონიშვილის ანუ მომავალი მეფის აღზრდით იქნა დაკავებული. მეფე ბაგრატ V ბაგრატიონი რიგით მეორე დიდი ხელმწიფეა ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტზე, რომელიც სამცხეში, კერძოდ, საფარის ჯაყელთა რეზიდენციაში აღიზარდა და ქვეყნის მართვისათვის ზნეკეთილი და ყოველი ღირსებით შემკული შეიქნა. მეფე ბაგრატის სასახელოდ ისიც კი კმარა, რომ მან რამდენჯერმე დაამარცხა შემოსეული თემურ-ლენგის მხედრობა, არ დაემონა აზიის უდიდეს დამპყრობელს და ისტორიაში შევიდა როგორც გაუტეხელი მონარქი. ჯაყელ-ათაბაგთა რეზიდენციაში ბაგრატის, როგორც ბატონიშვილის, განათლებაზე მისი ბიძა, ივანე-ყუარყუარე ზრუნავდა. ბატონიშვილ ბაგრატს მესხეთში მოწვეულმა სწავლულებმა საფუძვლიანად შეასწავლეს მეფისათვის აუცილებელი სასულიერო და საერო ლიტერატურა, სამხედრო ხელოვნება, უცხო ენები, ისტორია და ფილოსოფია. მომავალ დიდ მეფეს მედიცინასაც ასწავლიდნენ. ასევე მას უნდა შეეცნო სამხედრო საქმისათვის აუცილებელი ასტრონომია, გეოგრაფია, იურისპრუდენცია და მშენებლობა. სამცხეში, ახალციხესა და საფარის სკოლაში დანერგილი „საკაცობრიო და სამხედრო აღზრდა“ – მეფეთა ჩამოყალიბებას ემსახურებოდა. ერთიანი საქართველოს დიდი მეფეები: გიორგი ბრწყინვალე, დავით IX, ბაგრატ V დიდი, ალექსანდრე დიდი – სწორედ ახალციხისა და საფარის სამეფო სასწავლებელში არიან აღზრდილები. ამ სასწავლებლის არაოფიციალურ დამაარსებლად შეიძლება მივიჩნიოთ სამცხის მთავარი ბექა მანდატურთუხუცესი, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელ ამოცანად მიიჩნევდა უფლისწულის საუკეთესო აღზრდას.

***

ბაგრატ მეხუთე-ბაგრატიონი რამდენიმე წელს იზრდებოდა მესხეთში. იგი აქ ეუფლებოდა მხედრულ მეცნიერებებს. განსაკუთრებით მიუვალი ციხეების აღება აინტერესებდა. ამ მიზნისათვის უფლისწულმა დედულეთის ერთ-ერთი ყველაზე შეუვალი „ქაჯეთის“ ციხესიმაგრე, რამდენიმეჯერ თავის რაზმით „დალაშქრა“. ქაჯეთის ციხე და მასში გამაგრებული აზნაურები გოგორიშვილების გვარიდან უფლისწულის მხედრობას განგებ დიდხანს „უძალიანდებოდნენ“, მაგრამ, ბატონიშვილის სისწრაფე, სიმხნევე და ძალმოსილება, კლდეზე ცოცვის ხელოვნება, მათაც აკვირვებდა.

ბაგრატ უფლისწულმა თავისი საზაფხულო ბანაკი განგებ მოაწყო ერთ-ერთ, შეუვალ „მგელციხეზე“ და შემდეგ თავისი ბიძაშვილი ბექა გამოიწვია პაექრობაში. ახალგაზრდა ბექა ჯაყელი ოქროს ციხეზე გამაგრდა. ორთავე ბიძაშვილს ას-ასი კაცი ახლდა. ოქროსციხიდან გადმოკიდებული ათაბაგთა ალამი-დროშა აღმართული კრავით, მგელციხიდან გადმოშვებულ ბაგრატიონთა ლომს ერკინებოდა. პირველ ღამეებში, როდესაც აცივდა, ბექას მესხმა „მეომრებმა“ დააპირეს მგელციხის კედლებზე აპარვა, მაგრამ თავად უფლისწული ფხიზლობდა, თურმე, ციხე-გოდოლზე და მან ბიძაშვილის „რაინდები“ ადვილად შეაპყრობინა. შემდგომ, ბაგრატ ბაგრატიონმა გადაირბინა ბექას მამულებში, დაელოდა ნისლიან ღამეს და ჭოკების მეშვეობით ოქროსციხის კედლებზე, ერთდროულად ოცი მოყმის შესხმა მოახერხა. გაუჭირდათ ბექას მოყმეებს. ბაგრატ ბატონიშვილი ბიძაშვილის ციხესიმაგრეში „შეიჭრა“ და გაიმარჯვა.

ამგვარი სამხედრო თამაშები, კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა სამცხის ქედებზე, რადგანაც გეგმაში იყო არზრუმის მისადგომებთან დიდი ბანაკის მოწყობა და მუსლიმანი რაინდების ბრძოლაში გამოწვევა. უეცრად საქართველოს მეფე დავითი გარდაიცვალა და უფლისწული ბაგრატი სამეფო ტახტზე ავიდა.

***

1361 წელს დაქვრივებული დედოფალი სინდუხტარ ჯაყელი სამცხეში, ბებიის მოსანახულებლად გაემგზავრა. ამ მგზავრობას დიდი ხანია ამზადებდნენ როგორც ახალციხეში, ასევე თბილისში. საქმე იმაში იყო, რომ სინდუხტარის ბებია – მარინე, ას წელს მიღწეული, რომელიც შოთა რუსთველის ყველა ლექსისა და პოემის ზეპირი ცოდნით გამოირჩეოდა, საფარაში სკრიპტორიუმის გამართვას აპირებდა.

სამცხეში მცხოვრები უძველესი გვარები, ქართულ ხელნაწერთა გადაწერით უხსოვარი დროიდან იყვნენ დაკავებულები. დიდ მთავართა ოჯახებში მუდამ არსებობდა კალიგრაფიისა და ორატორიის სკოლები, სადაც ოსტატობას იმაღლებდნენ ქართველი და უცხოელი კალმოსნები. ჩორჩანელთა ოჯახში, უძველეს ჩორჩანში ყვაოდა კალიგრაფიის ქართული სკოლა, რომელიც შემდეგ აქტიურად მუშაობდა ქართული ხელნაწერების შექმნაზე და ძველი ხელნაწერების გადაწერაზე.

„ახალ ჩორჩანელთა“ ანუ ჯაყელთა ხელნაწერების სტილი და ფორმა თავიდანვე შეიქმნა როგორც ჩორჩანელების ხელნაწერთა მიმდინარეობის გაგრძელება. დაკანონდა რამდენიმე ფორმა და მიმდინარეობა. შემუშავდა საიდუმლო სიტყვათა წყობაც, რომელსაც ძველ საქართველოში აქტიურად იყენებდნენ.

სამცხეში არსებობდა ვარძიის კალიგრაფიის სკოლა, რომელსაც ბადალი არ ჰყავდა მთელ საქართველოში, მაგრამ მონღოლთა შემოსევების შემდეგ ეს სკოლაც დასუსტდა და ახლა თავად სინდუხტარ დედოფალი, თავის ბებიასთან ერთად აპირებდა დაეარსებინა საფარის სკრიპტორიუმი. ხელნაწერთა გადაწერასთან ერთად, საფარის ლავრას უნდა შეეძინა ახალი მნიშვნელობა, სადაც შექმნიდნენ უნიკალურ მინიატიურებს სასულიერო და საერო ლიტერატურისათვის და ცეცხლივით აღაგზნებდნენ საფარისეულ სტილსა და ხელნაწერთა გასულიერების მეცნიერებას.

ამ დიდი მიზნიდან გამომდინარე, დაქვრივებულმა დედოფალმა, რომელსაც თავისი ცხოვრების მისიად ქართული სიტყვიერების განვითარების ხელშეწყობა ესახებოდა, უამრავი რამ მოამზადა თბილისში. მან თავი მოუყარა იშვიათ წიგნებს, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან გამოიძახა კალიგრაფები და ტახტზე ასულ შვილს ბაგრატს სთხოვა მისთვის რამდენიმე თვე მიეცა სამცხეში გასატარებლად.

ბაგრატი ძალიან განიცდიდა სათაყვანებელი დედის ასეთი დიდი ხნის ვადით თბილისიდან გამგზავრებას, მაგრამ რა უნდა ექნა. დაქვრივებულ დედას, როგორც ჩანს, ახალი ასპარეზი სჭირდებოდა. საქართველოს დედა-დედოფალს, სინდუხტარ ჯაყელს, სული და გული იქითკენ მიუწევდა, სადაც დაიბადა, სადაც აღზარდეს, დააფრთიანეს და სიბრძნე შეასწავლეს. ასევე იყო მეორე ფაქტორი ამ საქციელისა, დედა დედოფალს შვილისათვის პოლიტიკური გადაწყვეტილებების სრული თავისუფლება უნდოდა მიენიჭებინა.

***

გაუსაძლისი სიცხეები იყო, ამიტომაც დედა-დედოფალი ახალციხეში რომ არ შეეწუხებინა ხვატსა და უჰაერობას, მისთვის საფარის ბექასეული სასახლის მომზადება დაიწყეს. სასახლე ბექა მანდატურთუხუცესის აგებული იყო. მასში, ფაქტობრივად, სამცხის სპასალარის აქტიური საქმიანობა მიმდინარეობდა 1260 წლიდან 1306 წლამდე, სანამ მთავარი ბექა აღესრულებოდა. სასახლის შეკეთების დასრულების შემდეგ, დედა-დედოფლის სახლობა, რომელიც პირველი პირისა და რამდენიმე სეფექალისაგან შედგებოდა, საფარაში აბრძანდა და ბექას სასახლეში დასახლდა. სინდუხტარმა აივნიდან კვლავ იხილა ურაველის დატალღული ქედები მზის ამოსვლის დროს, დედოფალმა და მისმა სეფექალებმა სარგისის კოშკის ზევით, ტყეში გაისეირნეს, ფიჭვის სურნელში მოისვენეს, იქვე გაჩერებულ ირმებით აღფრთოვანდნენ და ტყეში, პოეტური დისპუტების მოწყობა დაიწყეს. 25 ივლისს, საფარის ტყეში მოსვენებით მჯდარი დედა-დედოფალი, მოხიბლული იხსენებდა თავის ბავშვობას, ხორბლის ყანებში სრბოლას, გადატყავებულ მუხლისთავებს, იებისა და ენძელების გვირგვინებს, პირველ გატაცებას, პირველ ლექსს და მთვარიან ღამეებს, მოოჭვილ ვარსკვლავებს სამცხის ცაზე.

კალიგრაფებთან, პოეტებთან, ხელნაწერის დიდოსტატებთან მოსაუბრე დედოფალი სულის სიმშვიდეს გრძნობდა და აღარაფერზე ფიქრობდა გარდა იმ წიგნებისა, რომელთა გადაწერას და შექმნას მიანდობდა გამოცდილ კალიგრაფ-მწიგნობრებს. დედოფალს ივერიის განათლების მზე მომავალს უნათებდა.

***

1361 წელს საქართველოს სამხრეთში თურქები შემოიჭრნენ. იქ სადაც არავინ მოელოდა, სწორედ სპერთან გაანგრიეს მათ დიდი კედელი, აშენებული ვახტანგ გორგასალის მიერ. ამოავსეს მრავალი არხი და უშიშრად შემოადგეს ფეხი მესხეთში. შემდეგ 12 რაზმად დაჰყვეს თავიანთი მხედრობა და ქვეყანას კალიებივით მოედნენ. ოლთისი იმავე დღეს აიღეს და ცეცხლს მისცეს, ყოველი მხრიდან ახალ-

ციხისაკენ დაიძრნენ, გზა და გზა ხოცავდნენ ყოველ ამბის წამღებს, ისე სწრაფად მოძრაობდნენ, რომ მესამე დღეს, ახალციხის კედლებთან გაჩნდნენ და ყოველი მხრიდან დაწყებული რკალი, ამ ქალაქის გარშემო შეკრეს. უბრალო შემთხვევამ დაიფარა ახალციხე თურქთა უეცარი შემოჭრისაგან. კარ-დაგმანული ქალაქი რომ ნახეს, თურქებმა კბილები გააღრჭიალეს, თავიანთი მშვილდები გამართეს, საშინელი ყიჟინა დასცეს და ცეცხლოვანი ისრები მასობრივად დაუშინეს ახალციხეს. შემდეგ კიბეებიც აღმართეს და ქალაქის გალავანზე ისე სწრაფად აიჭრნენ, რომ მეციხოვნეებმა ისრის სეტყვას თავი რომ ვერსად შეაფარეს, ერთიანად შეაწყდნენ, მოკაკვული მახვილებით შემომტევ მომხდურებს, რომლებმაც უსწრაფესად აიღეს დედო ციხე და ქალაქში სახლების აალებას შეუდგნენ. ახალციხის მიწა, მტვერში აზელილი გაფატრული სხეულებით, დაფანტული ნაწლავებითა და შედედებული სისხლით დაიფარა.

ახალციხე განწირულმა ძახილმა და ვაებამ მოიცვა, მოსახლეობამ, რა თქმა უნდა, იარაღი აისხა და თურქებს შეება, მაგრამ, როგორც ჩანს, მომხდურებს ახალ-ახალი რაზმები სწრაფად ემატებოდა და ქალაქის სხვადასხვა კუთხეში, თუ ადრე რამდენიმე ათეული მომხდური დავერანობდა, ახლა მათი რაოდენობა გაათმაგდა და ახალციხელებმა უსწრაფესად იწყეს თითოეული ქუჩისა და მოედნის ხიმინჯებით გადაკეტვა.

– „ცეცხლს ვებრძოლოთ თუ თურქებსო“ – ამბობდნენ ახალციხელები, მაგრამ ივანე ათაბაგმა თავისი „რჩეულიანნი“ შემოიყვანა ქალაქში. მოვერცხლილ აბჯარში გამოწყობილები დაერივნენ თურქებს და ახალციხის მოედნიდან განდევნეს, ახლა თურქებს მოუხდათ ხიმინჯების აღმართვა და მათ ზურგში, თავიანთი მშვილდოსნების დაწყობა.

– „არ ვაცადოთ წყობათა შინა გამაგრებაო!“ – შესძახა ივანე ჯაყელმა და თურქებს ხიმინჯებზე გადავლებით თავს დაესხა. ათაბაგს მიჰყვნენ რჩეულიანნი და მომხდურნი ქალაქის კარიბჭემდე განდევნეს. ათაბაგს და მის რჩეულიანს ომის ჩარხი ხელთ ეპყრათ. ამან ახალციხელები გაათმაგებული მხნეობით აღავსო და ყოველი მხრიდან კაცი თუ ქალი საკუთარი ქალაქის დაცვაში ჩაერთო. თურქებმა ამასობაში დამატებითი რაზმი შემოიყვანეს ქალაქში. მოედანი და მისი მოპირდაპირე სივრცე დასტა-დასტებად დაწყობილი რაზმელებით გადაიჭედა.

– „არ ვაცადოთ და კვლავ შევუტიოთ, მომყევით ახალციხელნო!“ – შესძახა ქალაქის აშუღმა სოლომონმა და უიარაღოდ, ცარიელი ხელებით ეცა შეჯავშნილ თურქებს, რომლებიც ერთი ხანი გაკვირვებული უყურებდნენ უიარაღო, განრისხებული პოეტის სიმამაცეს. აშუღი რომ წაიქცა, მაშინ კი იღმუვლა ხალხმა და ქალი თუ კაცი, ბავშვი თუ მეომარი, ხმლიანნი და კომბლიანნი, ქვით ხელში შემართული ახალციხელნი, ერთიანად გადავიდნენ შეტევაზე და თურქებს, რაც კი ხელთ მოხვდათ, იმისი გამოყენებით, სვრა და ხოცვა უწყო.

***

უეცრად აინთო მოდარაჯე კოშკები, გუშაგებმა ბუკსა სცეს, მთელი საქართველო მოთვალთვალე კოშკების ბანზე დანთებული კვამლით ატყობინებდა ერთიმეორეს ახალციხის განსაცდელს. ამ დროს მეფე ბაგრატი თბილისის გუშაგთა აღჭურვილობისა და მომზადების დათვალიერებით იყო დაკავებული. მასთან მიირბინა აზნაურმა გირშელ მორკვნელმა და მეფეს აუწყა – სათვალთვალო კოშკები გვაუწყებენ თურქთა დიდ ლაშქრის შემოსევას, მეფეო, განსაცდელშია ქალაქი ახალციხე!

ბაგრატს იმ წამსვე მოაგონდა მესხეთში გამგზავრებული დედა და მჭექარე ხმით გასცა ბრძანება – „ამირ-სპასალარს უხმეთო“! ამირსპასალარი დავით ერისთავიც მაშინვე ეახლა მეფეს.

– „სასწრაფოდ გაამზადეთ ლაშქარი, დაუყოვნებლივ მივდივართ ახალციხეში, უბრძანე კოლისა და არტაანის თემებს, გზა მოუჭრან უკან დახეულ თურქებს, მაგ ძაღლებს არ უნდა ვაპატიოთ სამცხეში შემოჭრა“ – ბრძანა ბაგრატმა და მანდატურთუხუცესს, მეხრმლეს, ამილახორს, მეჯინიბეთ უხუცესს, ქალაქის თავს, ამირბარს და ლაშქართ მოუხმო. გასხლტნენ და გაჭენდნენ მალემსრბოლნი სხვადასხვა მიმართულებით. აფრინეს მტრედები ქუთაისს. ბაგრატიონთა ციხეებში იწყეს საალყოდ მომზადება. – „ვინ იცის, იქნებ ეს ლაშქარი სხვა ლაშქრის შემოჭრის სამზადისია! – ბრძანა დავით ერისთავმა. – სამეგრელოსა და აფხაზეთის ლაშქარს უბრძანეთ მომზადება და, როგორც კი ვბრძანებ, მაშინვე გვეახლნენ. მხოლოდ 7 დღის ულუფა გამზადდეს სპასპეტის მიერ, – ცხენები დაამწყალობეთ. კვიცები მოამზადეთ წინმავალი რაზმისათვის. ჩემთვის კვიცი მომგვარეთო!“ ქალმა და კაცმა ჯაჭვ-აბჯარი აისხა. თბილისი სამხედრო წესებზე გადავიდა. ბაგრატ მეფეს წინასწარ ჰყავდა გაწვრთნილი თბილისის დამცველი სპა. ყველამ საკუთარი ადგილი დაიკავა ქალაქის ბასტიონზე და თბილისი შეიჯავშნა.

– „უთენიას გავდივართ ახალციხეს!“ – უბრძანა სპასალარმა თავის ნაცვლებს, მათაც თავიანთ მოადგილეებს მისწერეს განსაკუთრებული მალული ანბანით დაწერილი სამხედრო არზები, რომლებიც ჯარის სხვადასხვა მიმართულებით გადანაწილებას ეხებოდა. ბაგრატის ქვეშ საქართველო სწრაფად დაირაზმა და გამოცდილი სარდლის პირობებში ერთ მთლიანს შეერწყა და მთლიანი ერთს დაემორჩილა.

***

ბაგრატ მეფემ ახალციხის თურქთაგან განთავისუფლების სამხედრო საქმეში ის ოსტატობა და გენიალური ნიჭი გამოავლინა, რითაც მანამდეც და შემდეგაც აკვირვებდნენ მსოფლიოს ბაგრატიონთა გვარის შვილები. მეფემ რამდენიმე ადგილას დაუგო მახე თურქებს. ახალციხიდან უკანდახეულებს დავით ერისთავი გადაუდგა ვალესთან და თურქთა ჯარი ალყაში მოაქცია. ივანე ათაბაგი კვლავ დაეძგერა თურქ მომხდურებს, რომლებიც მიხვდნენ, რომ ხსნა აღარსად იყო და ტყეში შეცვივდნენ. სწორედ ახალციხის ბრძოლის მოგების გამო უწოდეს ბაგრატს მეტსახელად – „დიდი!“

ბრძოლის შემდეგ მეფე საფარაში აიჭრა და საკუთარ დედას, სინდუხტარ დედოფალს გადაეხვია. „თქვენი გმირობით ყველანი ვამაყობთ, მეფევ ბატონო!“ – უთხრა დედამ თავის გვირგვინოსანს შვილს. „დედავ ბატონო, სპერთან რომ გამეჩერებინა და იქვე გამეწყვიტა თურქნი, მაშინ ვიქნებოდი თქვენი შექების ღირსი, ახლა კი სირცხვილისაგან ვიწვი!“ – თქვა მართლაც აწითლებულმა ბაგრატმა, რომელიც მემატიანეს სიტყვით იგი იყო – „მჴნე, ახოვანი, ტანითა ძლიერი, მშუენიერებითა ჰაეროვანი, უცთური მოისარი, სამჴედროთა სრული, სამღუდელოთა პატივისმცემელი, მშჳდი, მოწყალე, შემმართებელი და ძლიერი.“

მეფე, საფარის ბექასეული სასახლიდან, ურაველის მთების ტალღებზე გაფრენილ არწივს შეჰყურებდა და მომავალ ბრძოლებზე ფიქრობდა. არ ასვენებდა დავით აღმაშენებლის მსგავსად საქართველოს მოწყობის აზრი. ფიქრობდა სამომავლო ამოცანებზე. ფარულად უჭვრეტდა „ახალი რუის-ურბნისის კრების“ იდეას და ქვეყნის ძირეულ გარდაქმნას. ენერგიითა და ძალით იყო სავსე. ლომს ჰგავდა და ისე გადაადგილდებოდა, როგორც ჯიქი. თავის ქვეყანა ისე უყვარდა, როგორც მგელს ოჯახი, არწივს მართვე, ძუ ლომს თავის ბოკვერი და მწყემსს თავის გზააბნეული ფარა. გრძნობდა მეფე, რომ დიდი ომები და სისხლისღვრა წინ ელოდა, რადგანაც იცოდა, რომ იმ ბილიკზე, რომელზედაც სამშობლო ეგულებოდა, მრავალი მტაცებელი იყო გამოსული.

# გიორგი XII

## (მეფობის უკანასკნელი პერიოდი)

დასაწყისი გვ.5 ▶

კიდევ გიორგი ავალიშვილისა და ელიზბარ ფალავანდიშვილის თბილისში ჩამოსვლამდე კარლ კნორინგისაგან მიღებული ჰქონდა საიდუმლო ბრძანება: ყველაფერი გაეკეთებინა იმისათვის, რომ გიორგი XII-ს თავისი წადილი აღესრულებინა, საჭიროების შემთხვევაში გენერალს შეეძლო რუსეთის ჯარიც გამოეყენებინა. კნორინგი ლაზარევს ასევე აცნობებდა, რომ ზამთრის მიუხედავად, იგი მზად იყო ჯართან ერთად კავკასიის ხაზიდან თბილისისაკენ დაძრულიყო.

1800 წლის დეკემბრის დამდეგიდან პეტერბურგში სხვადასხვა წყაროდან მიდიოდა ცნობები გიორგი XII-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურესად გაუარესებისა და უახლოეს ხანებში მეფის მოსალოდნელი გარდაცვალების შესახებ. პეტერბურგში ჩქარობდნენ. იმპერატორმა პაველ I-მა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების საკითხი განსახილველად გადასცა სახელმწიფო საბჭოს და თან უბრძანა შექმნილი ვითარების გამო საკითხის განხილვა დაეჩქარებინათ. იმპერატორი სახელმწიფო საბჭოს სწერდა, რომ იგი მოვალე იყო მფარველობაში მიღებულ ქვეყანაში უზრუნველეყო წესრიგი და მტრებისაგან დაცვა.

რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოში ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების საკითხი 1800 წლის 17 დეკემბერს განიხილეს. სახელმწიფო საბჭოში შიშობდნენ, რომ გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ ბატონიშვილებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყებოდა. შექმნილი ქაოსი ოსმალეთსა და ირანს საშუალებას მისცემდა დაეპყრო ქართლ-კახეთი, ხოლო ჩრდილო კავკასიის მთიელებს – განუკითხავად ეძარცვათ ქვეყანა. სახელმწიფო საბჭოს წევრებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ საქართველოში ოსმალეთისა და ირანის გაბატონება, ასევე ლეკთა და სხვა ხალხების განუკითხავი თარეში საფრთხეს შეუქმნიდა რუსეთის პოზიციებს ჩრდილო კავკასიაში. რუსეთის იმპერიასთან ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთების საკითხის განხილვისას სახელმწიფო საბჭოს წევრები პირველ რიგში ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვის აუცილებლობას კი არ ანიჭებდნენ გადამწყვეტ მნიშვნელობას, არამედ იმას, თუ რა სარგებლობას მოუტანდა ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთება რუსეთს. სახელმწიფო საბჭოს წევრებმა ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთებას შემდეგი მიზეზის გამო დაუჭირეს მხარი:

1. ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთების შემდეგ გამოირიცხებოდა სამხრეთ კავკასიაში ირანისა და ოსმალეთის დამკვიდრების საშიშროება და უსაფრთხო გახდებოდა იმპერიის სამხრეთი საზღვარი;

2. საქართველოში დამკვიდრების შემდეგ რუსეთს საშუალება მიეცემოდა მტკიცედ მოეკიდებინა ფეხი ჩრდილო კავკასიაში, გამოერიცხა ირანისა და ოსმალეთის მხარდაჭერა ჩრდილო კავკასიის მუსლიმი მოსახლეობისადმი;

3. ირანთან და ოსმალეთთან ომის შემთხვევაში საქართველოს ტერიტორია ჯარების თავმოყრისა და ირანისა და ოსმალეთის ტერიტორიაზე შეჭრისათვის გამოეყენებინა;

4. სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებით რუსეთს საშუალება მიეცემოდა დაეცვა რუსეთიდან ირანსა და ინდოეთში მიმავალი სავაჭრო გზის მნიშვნელოვანი მონაკვეთი;

5. რუსეთს საშუალება მიეცემოდა აეთვისებინა და გამოეყენებინა საქართველოს წიაღისეული სიმდიდრე.

სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებამ გავლენა იქონია პაველ I-ის პოზიციაზე. იმპერატორი აღარ დაელოდა პეტერბურგიდან თბილისში გაგზავნილი ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩების გიორგი ავალიშვილისა და ელიზბარ ფალავანდიშვილის დაბრუნებას და 1800 წლის 18 დეკემბერს ხელი მოაწერა მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთის იმპერიასთან შეერთების შესახებ. მანიფესტი დაუყოვნებლივ გაუგზავნეს კავკასიის ხაზის მთავარსარდალ კარლ კნორინგს. ამასთან ერთად, კნორინგმა მიიღო იმპერატორის ბრძანება, რომ მანიფესტი მხოლოდ გიორგი XII-ის გარდაცვალების შემთხვევაში გამოექვეყნებინა. თუ ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩების გიორგი ავალიშვილისა და ელიზბარ ფალავანდიშვილის პეტერბურგში ჩასვლის დროისათვის გიორგი XII კვლავ ცოცხალი იქნებოდა, კნორინგი მანიფესტის გამოქვეყნებისა და შემდგომი მოქმედების შესახებ ბრძანებას პეტერბურგიდან მიიღებდა. 1800 წლის 28 დეკემბერს თბილისში 54 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII. 26-27 დეკემბრის ღამე გენერალ-მაიორმა ივან ლაზარევმა მეფის რეზიდენციაში გაატარა. 27 დეკემბერს დილით გენერალი ისევ მივიდა მეფის სამყოფელში და მომაკვდავის მონახულების შემდეგ თბილისში განლაგებული რუსეთის ჯარის კომენდატურაში გამოცხადდა. ლაზარევმა ოფიცრებს საბრძოლო მზადყოფნა უბრძანა. კომენდატურიდან გენერალი მეფის რეზიდენციაში დაბრუნდა. მეფე გიორგიმ იკითხა, თუ როდის დაბრუნდებოდა პეტერბურგიდან გარსევან ჭავჭავაძე. ლაზარევმა უპასუხა, რომ გარსევან ჭავჭავაძე მალე ჩამოვიდოდა თბილისში. გენერალს მეფესთან ლაპარაკი ჯერ კიდევ არ დაესრულებინა, როცა მეფის საწოლში დავით ბატონიშვილი და თავადი სოლომონ ლიონიძე შემოვიდნენ. მეფე გიორგისა და ბატონიშვილ დავითის ურთიერთობა ბოლო ხანებში დაიძაბა. მეფე სახელმწიფო საქმეების თაობაზე უფრო ხშირად იოანე ბატონიშვილს ეთათბირებოდა, იოანეც ხშირად მოინახულებდა ხოლმე ავადმყოფ მამას. ამან ტახტის მემკვიდრე დავითი ძალზე გააღიზიანა და იგი ხშირად აღარ ჩნდებოდა მეფის რეზიდენციაში, იშვიათად შედიოდა მეფის საწოლში. მეფე გიორგიმ სოლომონ ლიონიძეზეც აიყარა გული, არ სიამოვნებდა, რომ დავით ბატონიშვილმა მრჩევლად ის გაიხადა. ბატონიშვილ დავითისა და სოლომონ ლიონიძის საწოლში შემოსვლა მეფეს არ ესიამოვნა. აშკარა იყო, რომ ივან ლაზარევისა და სოლომონ ლიონიძის თანდასწრებით მეფეს ტახტის მემკვიდრესთან საუბარი არ სურდა. სოლომონ ლიონიძემ მეფეს ჰკითხა:

– თქვენს უმაღლესობას ხომ არ სურს ტახტთან და სამეფოსთან დაკავშირებით რაიმე უბრძანოს მემკვიდრეს?

მეფემ სოლომონ ლიონიძის შეკითხვა უპასუხოდ დატოვა. ამის შემდეგ დავით ბატონიშვილი შეეკითხა მეფეს:

– როგორ არის თქვენი ჯანმრთელობა?

– ახლა მე ისე ჯანმრთელად ვარ, როგორსაც შენ არ ისურვებდი, – უპასუხა მეფემ ბატონიშვილს.

1800 წლის 27 დეკემბერს მეფე გიორგი აბსოლუტურად საღად აზროვნებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მის სხეულს სენი უკვე სრულად დაუფლებოდა. 28 დეკემბერს, დილის 11:00 საათზე ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII გარდაიცვალა. მეფის ანდერძის თანახმად, იგი უნდა დაეკრძალათ დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში. გიორგი XII ისე გარდაიცვალა, რომ დავით ბატონიშვილთან შერიგება ვერ მოასწრო. ყველამ კარგად უწყოდა, თუ რა დიდი დრო და ენერგია შეალია მეფემ დავით ბატონიშვილის ტახტის მემკვიდრედ აღიარებას და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ დავითი სამეფო ტახტზე ასულიყო. ამის სანაცვლო სიყვარული, ყურადღება და პატივისცემა მომაკვდავმა მეფემ მემკვიდრისაგან ვერ მიიღო. სიკვდილის სარეცელზე მიჯაჭვულ მეფეს სხვაც ბევრი რამ უკლავდა გულს. მან ვერ მიაღწია სამეფო სახლის წევრთა შორის თანხმობისა და სიყვარულის დამკვიდრებას, ძმებმა მრავალგზის დაარღვიეს მისთვის მიცემული ფიცი. სიკვდილის წინ დარეჯან დედოფალმა რამდენჯერმე მოინახულა მეფე. ერთხელ მის საწოლთან მისულ დარეჯან დედოფალს მეფე ხელზე ემთხვია და უთხრა: ,,მე დამნაშავე ვარ თქვენ წინაშე...“.

1800 წლის 30 დეკემბერს გიორგი XII-ის ცხედარი სიონში გადაასვენეს. 1800 წლის 31 დეკემბერს ივან ლაზარევი კარლ კნორინგს მოახსენებდა, რომ სამეფო სახლის წევრებთან, დიდებულებსა და თბილისის მოსახლეობასთან ერთად გადასვენების პროცესიაში მონაწილეობდა რუსეთის ჯარის 3 ბატალიონი. დედოფალი მარიამი ლაზარევს სთხოვდა არ დაეჩქარებინათ მეფის დაკრძალვა. გენერალმა დედოფალს თხოვნა შეუსრულა. მეფე გიორგის ცხედარი სიონის ტაძრიდან გამოასვენეს და პროცესია მცხეთისაკენ გაუდგა გზას. ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში, მამის, ერეკლე II-ის, გვერდით დაკრძალეს.

გიორგი XII-მ სამეფო იმაზე გაცილებით მძიმე მდგომარეობაში დატოვა, ვიდრე ერეკლე II-მ. ამჯერად არ ვგულისხმობთ მხოლოდ გართულებულ საგარეო ვითარებას, ირანის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დალაშქვრის საშიშროებას და არც განხეთქილებას სამეფო სახლში. ყველა ამ ფაქტორს ისიც ემატებოდა, რომ მეფემ თავისი ოჯახის მომავალზეც კი ვერ იზრუნა. ავადმყოფი დედოფალი მარიამი და უფლისწულები სრულიად უსახსრონი დარჩნენ.

# ასპინძა-ერკოტა

ჯულიეტა რუხაძე

## (ეთნოგრაფიული ჩანაწერები)

(დასაწყ. წინა ნომერში)

## 1942 წელი 12 ოქტომბერი

ბედნიერი დღე გაგვითენდა. მშივრები ვისხედით. ფანჯარაში ვიყურებოდი, თან მეორე დღის გაკვეთილს ვამზადებდი. უცებ თავი ავწიე და დავინახე, რომ ფანჯრის წინ ცხენოსანმა გაიარა, რომელსაც ხელში ჯამი ეჭირა. „ვაიმე! – ვიყვირე, – ეს ხომ პეტრე ბიძიაა.“ გავვარდი გარეთ და, მართლაც, ჩვენს საერთო შემოსასვლელთან ცხენიდან ჩამოსული პეტრე ბიძია (ნანა ვიგორბინას მამა) ვნახე, რომელმაც ერთი პატარა მომინანქრებული ჯამით ერბო მოგვიტანა. ჯერ მისი მოსვლით გავიხარეთ და მერე ძღვენით, რომელიც მაშინ ისეთი რამ იყო, ისე დაგვაპურა რამდენიმე დღე, რომ სიხარულით არ ვიცოდით რა გვექნა. ამიტომ ამას ხაზგასმით ვწერ. პეტრე ბიძიამ გამოგვკითხა, როგორ ვცხოვრობდით. პროდუქტებზე გაამახვილა ყურადღება და დაგვარიგა, გვიან შემოდგომისთვის და ზამთრის პირისათვის, როგორ მოვქცეულიყავით. ის ძალიან ჭკვიანი კაცი იყო, ბუღალტრად მუშაობდა. ყველაფრის ავი და კარგი იცოდა და აქ, ზველში, თავის ცოლ-შვილს ხშირად აკითხავდა.

## 16 ოქტომბერი

ძალიან გავიხარეთ, სრულიად მოულოდნელად, ბებო, ანა ჯავახიშვილი, ავთანდილის ბებია, დედის მხრიდან და ავთანდილის დედა რომ ჩამოვიდნენ ცხენებით. როგორ უყვარდა ბებოს თავისი შვილიშვილები, დიდი ამაგიც ჰქონდა მათზე. ავთანდილი პირველი შვილიშვილი იყო და მას განსაკუთრებული სიყვარულით ჩაიხუტებდა ხოლმე. ბებო დასარჩენად ჩამოვიდა, ცოტაოდენი ნუგბარი ჩამოიტანა და გაოცებული დარჩა ეს კარგად ნაცხოვრები ქალი, ასეთი პირობები რომ დახვდა. ჩვენ თავს ვევლებოდით მოხუცს, ეს ჩემი თვისებაა და, რაც შეგვიძლია, ყურადღებით ვართ, მაგრამ აქ გაუსაძლისი პირობებია არა მარტო ეკონომიური თვალსაზრისით, არამედ ჰიგიენური თვალსაზრისითაც. ახალგაზრდებსაც კი ძალიან გვიჭირდა. ბებომ გადაწყვიტა უკან დაბრუნება. ვიქირავეთ ცხენი და, როგორც ჩამოვიდა, ისე ამხედრებული გავისტუმრეთ. გამოვემშვიდობეთ. როგორი სიყვარულით გამოეთხოვა ავთანდილს, ამის წარმოდგენა ძნელია, მაგრამ რა ვქნა? ჭკვიანი ქალი იყო, დარბაისელი, გრძნობდა, რომ დარჩენით თვითონაც შეწუხდებოდა და ჩვენც შეგვაწუხებდა, თორემ რა სჯობდა ჩვენთან მის ყოფნას, მე მასწავლებელიც მეყოლებოდა შინ და ჭკუის დამრიგებელიც.

## 18 ოქტომბერი

სოფელი თანდათან დაგვიახლოვდა. პატივით გვექცეოდნენ, მაგრამ ყველას უჭირდა და ჩვენთვის ხელის გამართვა მაინცდამაინც არ შეეძლოთ.

განსაკუთრებით კარგად იყო ჩვენთან ერთი მასწავლებელი – მარო ბერიძე. ის ჩვენზე უფროსი იყო, მაგრამ ისე დაგვიახლოვდა, რომ ხშირად მოდიოდა ხოლმე. გვიცხობდა ბიშს ბატის ქონზე (ბატის ქონი პირველად მაშინ გავსინჯე და ძალიან მომეწონა), გვიკეთებდა თათარბერაგს. დაჭრიდა ცომს, მოხარშავდა, შეწვავდა რამე ცხიმში და მაწონს მოასხამდა. სხვა ცომეულსაც გვიკეთებდა, რაც ძალიან ეხერხებოდა.

## 20 ოქტომბერი

სოფლის ხალხი ორჯერ გაგვიმასპინძლდა. მათი სამზარეულო მრავალფეროვანია. რად ღირს მარტო რძის ნაწარმი – განთქმული კარაქი, არაჟანი. რად ღირს ან თაფლი, ერბოში ან ბატის ქონში მოშუშული მხალეული და სხვა კერძის დამზადება რომ იციან. აქ ყოველ კერძს თავისი დანიშნულება აქვს. შორს წასულ გლეხს სხვანაირი საჭმელი მიჰქონდა, შინ სხვას ჭამდა. ბერიძეების ერთ ოჯახში ოჯახის უფროსმა სატკივარი გამიზიარა, ცხოვრება თითქოს გაიოლდა, მაგრამ გაჭირდა კიდეც.



მიწა და საძოვარი ეხლა უფრო ცოტა გვაქვს. გზა როგორი გვაქვს, ხომ ნახეთ. ზამთარი გაუსაძლისი იცის ჩვენთან. გზები იკეტება და ქვეყნიერებას მოწყვეტილი ვრჩებითო.

მერე სხვა რამეც მოიგონა. ჩვენი სოფელი მეფუტკრეობითაც განთქმული ყოფილა, თანდათან ქვეითდება, რა იქნება ცოტა ხნის შემდეგ, ღმერთმა უწყისო.

მოხუცს შევბედე და ვკითხე, რატომ არის ერკოტაზე უფრო დაცული მეზობელი სოფელი ზველი. იქ ეკლესიაც არის ხელუხლები, საფლავის ქვებიც შემონახულია, პირობებიც უკეთესი აქვთ, რა არის მიზეზი, თუ შეგიძლიათ მითხარით-მეთქი. „ –რა ვიცი, ჩანს თათრები ამ სოფელს უფრო აწუხებდნენ, შეიძლება მაგ ტომის ხალხი ერკოტაში უფრო ბევრი ცხოვრობდა.“

იმავე ოჯახში ახალ წელთან დაკავშირებით მიამბეს: „როდესაც მეკვლე ტაბლას გამოიტანდა, ტაბლის მრგვალ პურს ჩამოაგდებდა ბანიდან. თუ პური წინ გაგორდებოდა, ბუხრისკენ, მაშინ იტყოდნენ: „ოჯახი წინ წამოვაო.“ თუ კარისკენ გაგორდებოდა, ცუდი იყო, თუ პური მრუდედ კიბისკენ დაეცემოდა, უკუღმა წავიდოდა ოჯახის საქმე. ახალ წელს რომ დავკლამდით ქათამს, მის ღაბაბს ან ქეჩოს ბუმბულს მივაკრამდით ცომით კარებთან ან კუთხეში, სადაც ბოძი იყო. თუ დააყენებდნენ ბღარები, წლამდე უნდა ყოფილიყო.

ბედობა დღეც ვიცოდით. მაშინ ტაბლა ტკბილი ბრინჯის საჭმელს – სუთლის – ვჭამდით. იმ დღეს ფულიან ქადასაც გავჭრიდით. ფული რომელსაც შეხვდებოდა, მეორე წლამდე უნდა შეენახა, ჯიბით უნდა ეტარებინა.

იმ დღეს ახალს შევკერამდით, ახალს გავჭრიდით. პურებ რო ვაცხობდით, ხაჭო-პურ ვაცხობდით. ეგ პატარა რბილი პური იყო, ჭამის დროს ერბოს უსვამ. იმ ჯვარსაც გადააყოლებდნენ მოსავლისთვის.

## 22 ოქტომბერი

სკოლიდან მოვდიოდი, წყაროსთან მოხუცი კაცები ჩამომსხდარიყვნენ. მათში იყვნენ ტივაძეები, ბერიძეები, ინასარიძეები და ერთი ხატიძე. ყველამ იცოდა, რომ ძველი ამბები მაინტერესებდა. „ – მობრძანდი, მასწავლებელო, მობრძანდი, რამე უნდა მოგიყვეთ,“ – დამიძახეს.

მივედი. მივესალმე და მათ გვერდით დავჯექი. ისინი ერთმანეთს მოყოლას არ აცდიდნენ. ვთხოვე, რიგრიგობით მოეყოლათ. ჩემმა თხოვნამ არ გაჭრა, მაინც ერთმანეთს ასწრებდნენ. ერთი რომ ყვებოდა, მეორე რაღაცას მოაგონებდა, მთავარ მთხრობელს პირდაპირ თავს ესხმოდნენ. ფანქარი და ქაღალდი მოვიმარჯვე, შევბედე: „თუ ცოტას მაცლით და ნებას მომცემთ, მინდა ჩავიწეროო.“ მაშინ სტეფანე ბერიძემ დაიწყო მოყოლა: „ბერიკას გვერდით ყავდა სამი ჩარხარაჯი (თათრ.) დამცველი, რომელიც რო ვირზე იჯდა, იმას დასდევდენ და იმ ქალს უყურებდნენ, ქალი არავინ გაგვიქციოსო (ბერიკაობა-ყეენობის დღესასწაულში მხოლოდ ახალგაზრდა კაცები მონაწილეობდნენ). ქალს პირი არ უჩანდა, ისე მოიხვევდა რამეს. ჩარხარაჯები ქალთან არავის უშვებენ. ვირით მოვდიოდით სხვის კარზე. ისიც გამოვიდოდა, ქუდ მოიხდიდა და მოგვცემდა ფქვილ. ვირს ხელს მივარტყამდით უკან და ვეტყოდით: „ამის ბარაქა შემოვიდეს შენ ოჯახში, მოწყალება მოგვეციო.“ მერე იმის წინ დაუკრამდენ რამეს, ვირზე ვინც იჯდა, ის ბერიკა იყო. ცეკვამდენ, მღეროდენ, დამცველები ამ ქალს გაითამაშებდნენ. ბერიკა მიულოცამდა: „მარხვა-ორმოცი, აღდგომა, მხიარულად გაგვითენოსო.“ მერე მალვით გააკეთებდნენ ლაფს ფქვილის ან ნაცრისას და მალვით ბანიდან გადმოგვასხამდნენ. უფრო ნამეტურად ბერიკას დაასხამდენ. ჩარხარაჯებ ძვლები ეკიდათ, როგორც ხმლები, ისე ხმლებიც ეკიდათ. თუ ვირი მოკურკლამდა, აიღებდა და იმას ჩიბუხში ჩატენიდა. ვირი რო დაუშვებდა სასქესო ორგანოს, იკითხამდა ხალხი: „ეს რა არიო?“ ბერიკა ეტყოდა: „ეს კონკილა არიო.“ ყოჩაღობა იყო ჩემი, თუ იმ ქალს მოვეხვეოდი. ხანდახან იმ ქალს მოპარამდენ კიდეც. ისინი, თუ ქალს მოვეხვეოდი, მცემდენ. ბერიკა წყნარად ლაპარაკობს, არიგებს ხალხს: „ამდენი უნდა გადაიხადო, ნალოგი მოსულაო.“ ბერიკა ყელზე ჩამოიკიდებს თივის თულოს, სახეზე თხის ტყავის წვერ-ულვაშს გაიკეთებს. ზოგ თეთრი ტყავი ქონდა, ზოგ – შავი, ზოგ კი წითელი ტყავი ქონდა აფარებული.

იმ აკრულს თვალები და ცხვირის ადგილი ამოჭრილი ქონდა, სულს იბრუნებდა. ბერიკას და მცველებს მუცელი ქონდათ, შიგ ჭინჭს ჩაიდებდენ, ზოგი – თივას, ფქვილ რო მოგვცემენ, გამოვხდიდით არაყს. ცხვარს რო დავკლამდით, შესაწირავ ყურს მოვხარშამდით. ფსონს ვაკეთებდით და იქ ვქეიფობდით. ოჯახის პატრონი ბეწვს გამოაგლეჯდა ცხვარს. იმას ქათმის და ბატის ბუდეში ჩადებდა, მრავალი გამოვიდეს ჭუჭულიო. დაცდილი ქონდათ კარგად. ბერიკა იმისთვინ იყო, რო მრავალი ჭირნახული მოგვივაო. თუ კარგი ფეხი აქ, გვალვა არ იქნებაო, სეტყვა არ მოვაო. წელიწადი კარგი მოვაო.“ ნესტორ ხატიძემ დაამატა: „ბერიკათ და ყეენათ ახალ ნეფეებს გამოვიყვანდით, ყველიერის კვირა სულ ჭიდაობისა იყო. იმ დროს ახალდაქორწინებულ ნეფეებს თავიანთი ტანისამოსით გამოვიყვანდით, იმათ „ნეფი ძველას“ ვეძახდით. ნეფე რა დღისით ზის პატარძლათ, იმ დღეს არის ნეფე და მერე „ნეფი ძველას“ ვეძახდით.“

## 26 ოქტომბერი

ერკოტა, როგორც მითხრეს, საზაფხულო საძოვრებით და სათიბებით მდიდარია. ცნობილია, რომ XIX საუკუნის 30-40-იანი წლებიდან ჯავახეთი გაიჩეხა და გადაიწვა, მას შემდეგ მთელი ფართობი სახნავ-სათიბად და საძოვრებად იქნა გამოყენებული. აქ ზამთარი საკმაოდ ხანგრძლივი და ცივია, დიდთოვლობაც ხშირად იცის.

ერთ ოჯახში მიამბეს: „აქ ადრე მარტო შეშას ხმარობდნენ, მერე ტყე გათხელდა და დაუწყიათ წივის გაკეთება. წივა კარგია, ტყეც არ იჩაგრება. წივა ბევრი გვქონდა, ეხლაც გვაქვს. შეშასაც ვხმარობთ. წივას ნაკლები სიმხურვალე აქვს, ფურნეს მეტი გახურება სჭირდება.

ზოგს ბუხარი ჰქონდა. ცხვრის წივის ნალვერდალი კარგა ინახებოდა. ცხვრის წივა ზამთარში მზადდება; ცხვარი სახლშია, ზაფხულში მინდორშია.

40 წული ხიზანი გვყავდა. მწყემსი გვყავდა დაქირავებული. ამას თვენახევარ, ორ თვეში ვწმენდით, სისქე ერთი ციდა გახდებოდა და გასქელდებოდა. აჭრიდა ბარით, ამას ხერძარით გამოიტანდა, სადაც მზე იყო, იქ ერთმანეთზე სამ რიგს დააწყობდნენ, ისინი ერთმანეთზე დაფერდებულად უნდა მიეწყოს. გაზაფხულზე მერე იმ წივას ყალაღათ დააწყობდნენ, ქვებ დააწყობდენ და იმაზე დამრეცად ერთმანეთზე მიაწყობდენ წივას, მერე ზემოდან ესეთივე წესით დააწყობდენ, მეორე რიგს, მერე მესამე რიგს, 1 მეტრის სიმაღლე მიეცემოდა. როცა გაშრებოდა, საბძელში ან თონის სახლში შეზიდავდენ.

ნაფხვენი რო დარჩება შეზიდვის შემდეგ, იმას ხუშკი ქვია. ეს არის ყანისთვინ, თონეშიც ჩაჰყრიან უფრო დიდ ხუშკებს, წვრილს ყანაში გაიტანენ, საქონლის და ბატების გასამშრალებლად, ე.ი. საცხვარეს გასამშრალებლად. გაზაფხულზე ცხვარი აჭოჭებს თავის სადგომს და ამიტომ სადგომს მოაყრიან.

საქონლის ნაკელს აგროვებენ ზამთარში, გარეთ გააქვთ ხელძარით, ის გააქვთ ტარდის ადგილზე. ყოველდღე გააქვთ და ერთათ აგროვებენ. გაზაფხულზე გაშლიან, ძირს ბზეს მოაყრიან, მერე ამ ნაკელს გაშლიან ლაფათქით, ნიჩბით, მერე იმას საგორავით დატკეპნიან. როგორც მორი, ისეთი იყო, ქვაც იყო. იმას ღონიერი ხალხი აგროვებდა. სახელური ქონდა, საბელ გამოვაბამდით, დავაგროვებდით. ცხვარს მარილ აალოკინებენ და ის ტკეპნის. ერთიორჯერ შედგებოდა ცხვარი სხვადასხვა დღეს და დატკეპნიდა. ზოგჯერ ადამიანებიც ტკეპნიდნენ. ასე იყო 20-30 დღე, მერე აჭრიდნენ ნიჩბით, ბარით და იქვე ნიჩფით მიაწყობდნენ, ამას წივის აშარველა ერქვა. 9 დღის შემდეგ ყალაღ დასდგამენ. სანამ თოვლი მოვიდოდა, მერე შეიტანდენ სახლში. ცხვრის წივა ფურნეს უფრო ჭირდებოდა.

იყო კიდევ საწვავი თეთენი. ის ძროხისა და ხარის ნაკელისაგან ზაფხულში კეთდებოდა. შიგ ხუშკს აურევენ, დააკრამენ ქვაზე, გახმება და იხმარენ. თეთენს ღობის ყორეზე აწყობენ. ის ორ კვირაში ხმება. რომ შეხმება, მერე გადააბრუნებენ. გამხმარს ინახავენ საბძელში. კარგ გამხმარს ცეცხლი ადვილად ეკიდებოდა. თეთენს სახუშკეში ინახავდენ. სახლშიც ინახავდენ. სახუშკე გარეთ იყო, ყალაღთან კედელთან იყო სახუშკე. წივას ერთმანეთზე დააწყობდენ და ისევ წივით გადახურავენ და ზევიდან გადალესავდნენ ნაკელით. თუ წივა გარეთ დარჩება, შეიძლება, ის ახალი ნაკელით გადაილესოს, თეთენს ადვილად ეკიდება და წივას გვიან, თეთენი უფრო გაახურებს.“

## 28 ოქტომბერი

ვწევარ, შუაღამე გადასულია. ყველას სძინავს, მე კი თვალს ვერ ვხუჭავ, ოთარ შვანგირაძეზე ვფიქრობ, ხან რა აზრი მომივა და ხან რა. ხან ორივენი მტკვრის სანაპიროზე მინდორში ვმეცადინეობთ. მე ვზივარ, ოთარი ბალახებში წევს და თავი ჩემს კალთაში უდევს. რა სიყვარული გვქონდა ერთმანეთის, როგორ უყვარდა ელიკო (ჩემი და), ჩემი ოჯახი – დედა და მამა. მისი სტუმრობა ჩვენთვის ბედნიერება იყო. ასევე იყო იმათთვისაც. როდესაც მე და ავთანდილი მივდიოდით მათთან კლარა ცეტკინის ქუჩაზე, 17 ნოემბერში, შურა დეიდა და ალექსანდრე ბიძია, ფრიად განათლებული ადამიანები და დიდი ინტელიგენტები, ისე გაიხარებდნენ ხოლმე, თითქოს დიდად საპატივცემულო ხანდაზმული სტუმრები მივსულიყავით.

ვწუხდი ოთარის ჯარში წასვლას, ალექსანდრე ბიძიას შეეძლო მისი განთავისუფლება, ის ხომ დედისერთა იყო, მაგრამ მან ეს შეგნებულად არ გააკეთა. ის უპატიოსნესი კაცი იყო და ე.წ. „საქმის გაკეთება“ არ უყვარდა. ასეთი საქციელი სხვისიც ეჯავრებოდა.

წერილით გაგებული მქონდა, რომ ოთარი მძიმედ დაიჭრა ქალაქ სლავიანსკთან ბრძოლებში 1942 წელს. შემდეგ მისგან წერილი მივიღეთ, რომ გამოკეთდა, დონის კაზაკთა ცხენოსან დივიზიაში ნაღმტყორცნელთა ოცეულის მეთაური იყო და თავის დივიზიასთან ერთად იბრძოდა, მაგრამ მე მაინც ძალიან განვიცდიდი მის ამბავს. მისგან უკანასკნელი წერილი მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ მივიღეთ. წერილი ახლაც თან მაქვს. მწერდა: „ჩემ მაგიერ ერთი მუჭა მიწა დააყარე აკაკი ბიძიას საფლავსო.“

თითქოს გული ცუდს მიგრძნობდა და ერკოტაში ოთარზე ვფიქრობდი.

ოთარი მალე დაიღუპა. 1944 წელს მისი ნეშტი თბილისში გადმოასვენეს და კუკიის სასაფლაოზეა დაკრძალული.

## 2 ნოემბერი

მარო ბერიძე დღესაც გვესტუმრა. ის ყოველმხრივ ცდილობდა ჩვენს დახმარებას. ბევრი რამე მაჩვენა და მიამბო. ერთი წისქვილი უკვე ვნახეთ. ახლა მე და მარო წავედით მეორე წისქვილის სანახავად. რა ლამაზია ეს პაწია ერთთვლიანი წისქვილი. ვიწროში ჩამავალ ღელეზე ამ წისქვილს, მიუხედავად იმისა, რომ, თითქოს, უფრო პატარაა, ვიდრე ის, რომელიც ადრე ვნახე, უფრო დიდი დოლაბი აქვს.

წისქვილიდან მინდორში გამოვიარეთ. მინდორი, ბორცვები, სოფლის მისადგომები ლამაზი ყვა-

ვილებით იყო აჭრელებული. მარომ რამდენიმე ყვავილი მოწყვიტა. ვთხოვე, რომ მეტი არ მოეკრიფა. დამენანა. ისე ამშვენებდნენ ისინი არე-მარეს. ყვავილები ქიქაში ლამაზად ჩავალაგე.

## 3 ნოემბერი

ნოემბრის დასაწყისია. ავთანდილის დედა ჩამოვიდა და, როგორც წინათ, ახლაც ამოიტანა „ფრენჩები" გადასაცვლელად. დედაჩემს ჩვენთვის ნობათი გამოეგზავნა. დედამ მეგობრების დახმარებით მამას გარდაცვალების შემდეგ რკინიგზის მაღაზიაში დაიწყო მუშაობა. ძალიან კარგი და სპეტაკი ადამიანი იყო და მაღალი რანგის რკინიგზელების ოჯახები მუდამ ხელს უმართავდნენ. მახსოვს არჩილ გიგოშვილის, გრიგოლ კიკნაძის, რუხაძის და სხვათა დახმარება. სამწუხაროდ, ყველას გვარს ვერ ვიხსენებ. თავიანთ ტალონებს ისინი დედას აძლევდნენ. ჩვენ ამ ტალონებით ვითქვამდით სულს, სხვა არაფერი გაგვაჩნდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ავთანდილის დედა თბილისში დაბრუნდა. როგორც შემდეგ თბილისიდან გავიგე, გზაში მგელი გადაყრია და ასპინძამდე ჯოხით მგელს იგერიებდა და შიშის კანკალით ძლივს ჩასულა.

## 8 ნოემბერი

ოლღა ბერიძეს ვესტუმრე. მითხრა: „მოდი, დაჯექი, მასწავლებელო, ერთ სასაცილო რამეს მოგიყვებიო. ბერიკაობაზე ახალგაზრდები აირჩევდნენ ერთ ბერიკას, რომელსაც ქალურად შეკაზმავდნენ. დუდუკები, ზურნა ჰქონდათ. შეკაზმულები იყვნენ გადმობრუნებული ქურქებით, მატყლი ზემოდან რო აქვთ, პირზე წაუსვიათ მური. 6 კაცი ასე იყო გამოწყობილი. თხის ბალნის ულვაშებს და წვერს იკეთებდნენ, მერე მოვიდოდნენ და დააბამდნენ ფერხულს 6 კაცი, ის პატარძალი და ბერიკა. მერე ბერიკას ხელს კრამდნენ და გადააბრუნებდნენ. ქალი შეკაზმული მიუჯდებოდა და ტიროდა. მერე ერთ ისეთ სიტყვას იტყოდა ქალი – „თავზე დ-იო", რო ყველა გაიცინებდა. ქალი ეხვეოდა იმ მკვდარს, გაიღვიძეო. ის ეხვეოდა და კოცნიდა, ვითომ იქითა ქვეყნიდან მოვედი და გავცოცხლდიო. ოჯახის პატრონი ამათ პატივს სცემდა, ან ნახევარ ლიტრ არაყს ან ხორბალს გამოუტანდა. გარეშე ხალხი წვერს აგლეჯდა იმ ბერიკას. ასე მოივლიდნენ მთელ სოფელს. მონაგროვი ამორჩეულს დაჰქონდა. ჯორი ჰყავდათ და ხორბალს ამით ზიდავდნენ. ისინი შეაგროვებდნენ 9-10 ფუთ ხორბალს, მერე გამოხდიდნენ არაყს და იქეიფებდნენ. ვის კარზეც მივლენ, იქ წაიქცევა ის ბერიკა. ეხვევა და კოცნის ის ქალი, მერე თავზე დააჯდებოდა და ცოცხლდებოდა ის მკვდარი. ეს რო ჩათავდებოდა, დიდმარხვა დგებოდა, ყეენობა.

ყეენად იმას აირჩევდნენ, ვისაც შეეძლო მხიარულობა. მერე მოგროვდებოდა ხალხი. 6 კაცი ზემოთ, 6 კაცი ქვემოთ ერთმამეთს მხრებზე დაადგებოდნენ. ერთი კაცი შევიდოდა იმათში, მერე დაიწყებოდა სიმღერა: „შავლეგოს ქამარ-ხანჯალი მღვდელს მივეც საწირავადო" და უვლიდნენ, როგორც ფერხულს. შემოუვლიდნენ შვიდჯერ, რამდენი კვირაც იყო მარხვა, იმდენჯერ უნდა შემოევლოთ. ყეენს მუცელში შედებული ჰქონდა რაღაც, კუზიც ჰქონდა აშვერილი მაღლა, თავზე თულოს იკეთებდა, დაგრეხილ თივას. თულოში იდებდნენ გრძელ ფრთას, ყეენი წვერს იკეთებდა და სახეს იმურავდა შავად.

ცოლმა რომ თხრობა დაამთავრა, ოჯახის უფროსმა უთხრა: „შენ დაგავიწყდა, რო ბერიკას მოკლე ხეს ჩამოკიდებენ, დარბოდა ყეენიც და ბერიკაც. ის ამ ჯოხს არაკუნებდა. ხალხი ქვას ან თოვლის გუნდას ესროდა."

ლექციაზე ეს საკითხი ზედაპირულად იყო განხილული, ამიტომ ცუდად მახსოვდა, რისთვის იყო ეს დღესასწაული გამართული, რა იყო მისი დანიშნულება, არ ვიცოდი, რასაკვირველია, ეს იმათაც არ იცოდნენ.

როგორც ჩანს, ეს დღესასწაული ყველაზე შთამბეჭდავი გასართობი იყო. ამიტომ თუ ვინმეს რამეს ვკითხავდი, ისინი ყოველთვის ამ დღესასწაულზე მიყვებოდნენ. მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ სწორედ ამ დღესასწაულის შესწავლაზე ვიმუშავებდი. სამწუხაროდ, ჩემს მონოგრაფიაში ამ დღიურიდან, თუ ამას დღიური ჰქვია, არაფერი მაქვს შეტანილი, მასალა კი ძალზე საინტერესოა.

## 15 ნოემბერი

სოფლის წყაროზე ერთ ბერიკაცს შევხვდი. ბევრი საინტერესო რამე მიამბო. შინ რომ მივედი, მაშინ დავწერე, რადგან მასთან საუბრის დროს ფანქარი და ქაღალდი არ მქონდა. ბერიკაცმა მითხრა, რომ ამ სოფელში ძირითადად ბერიძეები ცხოვრობენ, არიან ტივაძეებიც. ესენი სხვადასხვა დროს არიან მოსულიო.

***

ამ ჩემს დღიურს ვურთავ ზოგიერთ მნიშვნელოვან და ახლახან ახალციხიდან მიღებულ ცნობას.

თურმე თსუ ახალციხის ფილიალის დირექტორის – მერაბ ბერიძის პაპა ბერიებიდან – ერუშეთიდან იყო წამოსული, ბებია – აგარიდან, მერე დადეშში დასახლდნენ, ზოგიერთი ბერიძე იმავე ბერიებიდან ერკოტაში ჩავიდა (ეს ცნობა 2001 წლის 10 იანვარს ჩავიწერე). მერე კი ახალციხის ფილიალის თანამშრომელს ჩვენს ყოფილ დისერტანტს ქუქჩიშვილს ვთხოვე, არქივში გაეგო იქ მცხოვრებთა გვარები. მან ეს თხოვნა მაშინვე შემისრულა, რის გამოც დიდად დავალებული ვარ.

ამ მასალის მიხედვით, 1940-42 წლებში ამ სოფელში სულ 54 კომლს უცხოვრია, რომელთაგან ქართველები იყვნენ: ბერიძეები, ტივაძეები, ხატიძეები, ცალქალამანიძეები და ინასარიძეები. 4 კომლი იყო თათარი: ყარამან ასლან-ოღლი, ბინალ მამედ-ოღლი, მოზაფერ მამედ-ოღლი და ყოჩი ასლან-ოღლი. ჩვენ მხოლოდ ერთი მუსლიმის ოჯახში ვიყავით. მისი სახელი მეცნო. მგონი, ყარამანი ერქვა, კარგად მახსოვს. ეს ჩემი მთხრობელი ცოლშვილიანი იყო. ვერაფრით ამიხსნია ის, რომ მთხრობელის ვინაობა ჩაწერილი არა მაქვს. ხუთი ქართველი მთხრობელი მყავდა – ერთი ტივაძე, ერთი ხატიძე, სამი ბერიძე და ერთი თათარი.



ერთი მასალა კი სრულად მაქვს, იქ მთხრობელის ვინაობა და დაბადების წელიც ჩამიწერია. გამახსენდა, როდესაც ახალციხიდან მოწოდებულ მასალაში ეს სახელი და გვარიც იყო მოხსენიებული. ეს არის სტეფანე სოლომონის ძე ბერიძე, 1899 წელს დაბადებული. გაოცებული ვარ, ჩვენი მასწავლებელი – მარო ბერიძე არსად არის ნახსენები. იგი განსაკუთრებულად გვექცეოდა, ბევრი რამ ახსოვდა აქაური მეურნეობისა და საჭმელ-სასმელის შესახებ. მან, ისევე, როგორც სხვებმა, აქაური მარცვლეული კულტურები დამისახელა. ჩამოთვალა მარცვლეულისაგან მიღებული ლუხუმი და ჭირიხტა, ბიში, ხორცის და ყველის ხინკალი, თათარბერაგი, ერიშტა, ფუშრუკი, რომელიც პურეულისაგან მზადდება. პურის ნაწილი იფქვებოდა, ნაწილი კი სანაყში ინაყებოდა. განსაკუთრებით კარგად ამზადებდა ამ ცომეულს ჩვენი მასწავლებელი მარო ბერიძე, კარგი ახალგაზრდა ქალი. მახსოვს მისი ყურადღება და ზრუნვა. მარო ძალიან გვშველოდა. ხშირად, როგორც ადრეც აღვნიშნე, თითქოს ხვდებოდა, საჭმელი რომ არა გვქონდა, მოვიდოდა და მაშინვე რამეს გაგვიკეთებდა. ზოგჯერ მშივრებიც გაკვეთილს მაინც ყოჩაღად ვატარებდით.

## 18 ნოემბერი

ზამთრის პირი მოახლოვდა. საჭიროა მარაგის გაკეთება. ვიყიდეთ ერთი ჭედილა. ჩვენმა სახლის პატრონმა დაგვიკლა, მან და მისმა ცოლმა გაგვიკეთეს ყაურმა და ჩადეს ერთ დიდ თიხის ქოთანში. ყაურმას ამოვიღებდი, ცოტა ადუღებულ წყალს დავასხამდი, გავაცხელებდი, კარტოფილს ვუზამდი და, ჩემი ჭკუით, გემრიელ სოუსს ვაკეთებდი. მე და ავთანდილი ძალიან კმაყოფილები ვიყავით. ყაურმამ დიდხანს გაგვიტანა.

## 3 დეკემბერი

თბილისში, თურმე, როგორც წერილშიც გვწერდნენ, ყველა წუხდა ჩვენზე. ავთანდილის დედა – თამარ მიქაძე – რას არ აკეთებდა იმისათვის, რომ ჩვენ თბილისში სამუშაოდ გადავეყვანეთ. ეს უბრალო კაპრიზი არ იყო, ჩვენი იქ დიდი ხნის დარჩენა შეუძლებელი იყო.[1]

სკოლის დატოვება ძალიან გვენანება. რამდენიმე თვეში ისე შევეჩვიეთ ხალხს, რომ მე თვითონ მიკვირდა ჩვენი ურთიერთობა და სიახლოვე.

როგორ მოწესრიგდა სკოლა, დირექცია, სასწავლო ოთახები. თვითონ მასწავლებლებიც გახარებული იყვნენ. ამბობდნენ, ასეთი წესრიგი არასოდეს გვინახავსო. მთავარი კი ის იყო, რომ ავთანდილი თითქმის მთელი დღე სკოლაში იყო. დღის ბოლოს ამეცადინებდა ბავშვებს, თქვენ წარმოდგინეთ, რუსულშიც. გვენანება ჩვენი შრომა და ამაგი. ვინ იცის, რა მოელით მერე, ავთანდილი ყველას სთხოვს, რომ მუშაობა ასევე გააგრძელონ, მაგრამ ვინ შეცვლის მას?! ამ დროს ყველა თავის თავზე ფიქრობდა, რა აელო ცხოვრებისაგან, რომ ეს გაუსაძლისი ომიანობის ხანა გადაეტანა. ახალგაზრდობა და, ალბათ, კიდევ სხვა რაღაც გვშველოდა ისევ ასეთი კეთილშობილური ფიქრებით რომ ვსულდგმულობდით.

## 22-27 დეკემბერი

დეკემბრის ბოლო მოახლოვდა. გავიგეთ, ბრძანება მოსულა თბილისიდან ჩვენი გათავისუფლების შესახებ. მალე წავალთ. შეწუხებულია ყველა. არ უნდათ ჩვენი გაშვება, მაგრამ დარჩენაც რომ არ შეგვიძლია, ყველას კარგად ესმის. დეკემბერში დიდი თოვლი მოვიდა. ვფიქრობთ, რომ წავალთ, როგორ ჩავალთ ასპინძამდე. გზა ზაფხულშიც ხომ ძნელია. ერთმანეთზე შეზრდილი სიპი ქვის დაკლაკნილი ბორცვები უნდა გავიაროთ, ისიც თოვლში, როდესაც ვერ გრძნობ, ფეხს რაზე ადგამ. გასწორებულია მთელი გზა, ასე გგონია, სწორ დაღმართზე ეშვები, თუმცა ესეც საშიშია.

მიდის დატვირთული ცხენი ჩალვადრით, მიჰყვება ავთანდილი, რომელიც ცდილობს, არ წაიქცეს, მე კი, როგორც ყოველთვის, მივდივარ მარტო. გამიცურდება ფეხი, დავიკივლებ და ძირსა ვარ დანარცხებული, ავდგები ხან მე თვითონ, ხან ავთანდილი ამაყენებს და ისევ ვვარდები, ისევ ვკივი, ისევ ფეხზე ვარ, ისეც ვეცემი და ასე კივილ-კივილით, შიშით, კანკალით, ჩავდივარ ასპინძაში, საიდანაც ავტობუსით ვაპირებთ მგზავრობას, წარმოუდგენელი დღე გვქონდა და რა გველოდა მერე, ამის გაფიქრებაც კი არ მინდა. საგზალი ცოტა გვაქვს, მაგრამ ეს არაფერია. მთავარია, რომ თავი გავინთავისუფლეთ და ასეთ გზებზე, ალბათ, ზამთარში მაინც არასოდეს მოვხვდებით. თან გზაში, ხშირად მატარებელშიც კი ვიგონებთ სკოლას, საცოდავ ბავშვებს, მასწავლებლებს, ყველას, ვინც იქ დარჩა, რომლებიც ლამის სულს ლაფავენ და ძლივს გააქვთ თავი ამ საშინელი ომის დროს.

ამით ვამთავრებ ამ ჩანაწერს. რა ადვილად დავამთავრე ხუთი თვის გაუსაძლისი პირობების შესახებ წერა. ის გაჭირვება ახალგაზრდობამ და იმ სიყვარულმა გადაგვატანინა, რომლითაც ვიყავით გარემოცული. ასეთ პირობებში ცხოვრება ადამიანს ბევრ რამეს ასწავლის და სითბოს უნერგავს გარე სამყაროსადმი.

[1] 1943 წლის 2 აპრილს ჯულიეტას და ავთანდილს გოგონა შეეძინათ (რედ. შენიშვნა)

## მეორედ ერკოტაში

1956 წლის აგვისტოში მივლინება მაქვს ასპინძისა და ახალქალაქის რაიონებში. ვღელავ, პირველ რიგში ასპინძის ნახვა მინდა – ერკოტის. თბილისში გავიგე, იქ აღარავინ ცხოვრობსო. ასპინძაში რაიკომის მდივანს მივაკითხე და სასტუმროში მოვეწყვე. მითხრეს, ერკოტაში თქვენი წასვლა საჭირო არ არის, სოფელი დიდი ხანია დაცლილია, იქ მხოლოდ ფერმებია და მწყემსები ცხოვრობენო.

ვინც ჩემი ხასიათი და შემართება იცის, არ გაუკვირდება, რომ მე არავის დავუჯერე და ერთი პატარა ჩანთითა და საგზლით აღმართს შევუყევი. სოფელში რომ შევედი, შევწუხდი. ის მართლა დაცარიელებული იყო, სახლების უმრავლესობა – დაშლილი, დანგრეული, ქვაღორღი წაღებული. ერთ-ერთი მწყემსი იყო, დანარჩენებს საქონელი გაერეკათ საძოვრებზე, ხალხი მოვიკითხე, მითხრეს, ვინც გადასახლებას გადაურჩა, წავიდ-წამოვიდაო.

ერთი მწყემსი სასაფლაოზე წამყვა. ის უფრო დაზიანებული, ჩაქცეული დამხვდა. ეკლესიაც ვნახე. 1942 წელთან შედარებით უარესად გამოიყურებოდა. დამენანა მიტოვებული სოფელი, ჩაშავებული ნასახლარები, ნარ-ეკალმოდებული კარ-მიდამოები და ნაფუძრები. ისევ იდგა სანახევროდ დანგრეული სკოლის შენობის ნაწილი. უცებ გამიელვა გულში სურვილმა, იქნებ კვლავ ახმაურდეს სკოლის ზარი, ბავშვები ხმაურით გააცოცხლებენ სკოლას და სოფელს, ზოგჯერ მკვდრეთით აღმდგარა სოფელი. ახლა ისეთი რა გასაჭირია, რომ ნასოფლარი დარჩეს?

გადასახლებულმა სოფელმა, როგორც ამბობენ, ახალი ცხოვრება დაიწყო. ვინ სად დასახლდა და ვინ სად. ზოგმა ახლოს, ერკოტის ბაღებში მოიწყო კარ-მიდამო. მე ერკოტის ინტერესი მქონდა, მეგონა 1942 წლის ერკოტის ნაკლულ ჩანაწერებს ახლა შევავსებდი, ისტორიის მძიმე ნაკვალევის შესწავლა ახლაც შეიძლებოდა, მაგრამ იქ სულ სხვადასხვა სოფლის ხალხი იყო მწყემსებად.

საღამო ხანს სასტუმროში დავბრუნდი, ძალიან სევდიანი, შეწუხებული იავარქმნილი სოფლის გამო. თითქოს თითოეული ჩვენგანის, ჩემი ცხოვრების ნაკვალევს ვეძებდი და მერე როგორ!

## ბოლოთქმა:

დასასრულს მინდა, დიდი მადლიერების გრძნობით გავიხსენო აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია, რომელმაც დიდი ამაგი დამდო სტუდენტობის დროს. ჩემი ჯგუფიდან ვაჟები ჯარში იყვნენ წასული და ბატონი გიორგი მხოლოდ მე – ერთ სტუდენტს საგულდაგულოდ მიკითხავდა ლექციებს. სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დღესაც იმ ცოდნის საგანძურს მივადგები ხოლმე, რომელთანაც მრავალი წლის წინ მარტოდმარტო მიმიყვანა იმ სულგანათლებულმა ადამიანმა.

როდესაც მასწავლებლობა დავიწყე და სოფელს დავუკავშირდი, გავიხარე, ეთნოგრაფიის საწყისების ცოდნა ასე თუ ისე გამოვიყენე, მაგრამ ეს ძალიან ცოტას ნიშნავს. მაშინ, ალბათ, ბევრი რამ იყო ჩასაწერ-შესასწავლი. ამის შესაძლებლობა იმ პირობებში თითქმის არა მქონდა და, ალბათ, ვერც ისე ვაცნობიერებდი ყველაფერს, როგორც საჭირო იყო. ველზე მუშაობას სათანადო ცოდნა და მომზადება სჭირდება. ეს არის 59 წლის წინანდელი ახალკურსდამთავრებული ისტორიკოს-ეთნოგრაფის მასალა და შთაბეჭდილებები. ამ ჩანაწერების გამოყენებაზე და, მით უფრო, გამოქვეყნებაზე არასოდეს მიფიქრია, მისი არსებობა აღარც კი მახსოვდა. ახლა, როდესაც ჩემი არქივის უკვე გაცრეცილ ფურცლებს ძლივს ვკითხულობდი. ყურადღება ბევრმა საკითხმა მიიქცია, მათ შორის იმანაც, თუ როგორ ცხოვრობდა ხალხი ომის დროს. ვიფიქრე, ამ მასალაში არის ზოგი რამ უცნობი და საყურადღებო- მეთქი და გადავწყვიტე თსუის ახალციხის ფილიალის სამეცნიერო კონფერენციაზე წამეკითხა მოხსენება აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. მისი გამოქვეყნება, როგორც იავარქმნილი სოფლის მასალისა, საჭიროდ ჩათვალეს, რის გამოც მადლობელი ვარ უნივერსიტეტის დირექტორის ბატონი მერაბ ბერიძისა და ჩემი კოლეგის – თინა იველაშვილისა.

P.S. ეთნოგრაფიული მასალა საკმაოდ არის. ყველა ჩანაწერის ამ წერილში მოთავსება საჭიროდ არ მივიჩნიე, მხოლოდ ზოგიერთი მასალაა დედნიდან გადმოწერილი, შესწორების გარეშე.

# მილოცვა

ახლახან ილია ჭავჭავაძის ფონდისა და შპს „ლილო მოლის“ მიერ დაწესებული საგურამოს პრემია ნომინაციაში – „ჰუმანიტარული მეცნიერება,“ მიენიჭა ჩვენი გაზეთის დიდ მეგობარსა და გულშემატკივარს, ფართო დიაპაზონის ცნობილ ქართველ მეცნიერსა და მკვლევარს, ოცამდე წიგნის ავტორსა და თანაავტორს, მრავალი სატელევიზიო საავტორო გადაცემის წამყვანს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვახტანგ გურულს.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია ულოცავს ღვაწლმოსილ მეცნიერს ამ დიდ აღიარებასა და გვჯერა, ქართული ისტორიოგრაფია მისი კიდევ ბევრი, მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომით გამდიდრდება.

ჩვენის მხრივ გვეამაყება, რომ ბატონი ვახტანგის წერილები, ისტორიულ თემატიკაზე შექმნილი მისი პუბლიკაციები, ხშირად იბეჭდება „ლიტერატურული მესხეთის“ ფურცლებზე და მკითხველთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

ბატონო ვახტანგ, გვჯერა ჩვენი თანამშრომლობა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება და თქვენი ერთგული მკითხველი კვლავაც იხილავს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე თქვენს შესანიშნავ წერილებსა და პუბლიკაციებს.

ვსარგებლობთ რა შემთხვევით, სულითა და გულით მოგილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. გისურვებთ ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნას.

ღმერთმა ჰქნას უფრო მეტად დაფასებულიყოს თქვენი უანგარო სამსახური და ღვაწლი სამშობლოს წინაშე.




*ბატონ ავთანდილ ბერიძეს,*
*„ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორს*

ძალიან კარგი ამბის მომსწრე ვარ: თქვენმა გაზეთმა დაიწყო ბეჭდვა ,,ვისრამიანის“ პოეტური ვერსიისა *(მთარგმნელი ანზორ სიფრაშვილი)*. უკვე ეს ფაქტი ღირსშესანიშნავია. ჩვენ უნდა გვქონდეს ამ გენიალური ქმნილების თანამედროვე ლექსითი ვარიანტიც.

ვჩქარობ, შეგატყობინოთ – განსაკუთრებით მომეწონა თარგმანის ორი შემდეგი სტროფი:

ოდეს მიწაზე მზეს ვპოვებ – აღარ დაველევ მე ცადა,
ჟამთა უწინაც მინდოდა იღბალი ჩემი მეცადა;
შენი გვარისგან ძის ყოლა ალვიარებ რომ მეწადა,
წაღმართად წავა ჩემი სვე. ვერვინ ჩაიგდებს წეწადა.

გარნა ის ბედი ვინ მომცა – დამეთმო შენთვის ასული,
მყოლოდა, არ მომეხსენა – მე ვიქნებოდი ავსული;
ჯერ ქალი არ მიშობია, ამად ვარ მე დანავსული,
მეყოლოს, ვფიცავ, მოგართმევ, ა ჩემი თავი, ა სული!

მურმან თავდიშვილი,
*რუსთველოლოგი*

# გვეამაყებით და გვეიმედებით!




ჩვენო ძვირფასო კოლეგებო და თანამოქალაქენო, 2024 წელი იწურება. ისტორიის ურთულეს ეპოქაში გვიხდება დღეს ცხოვრება, ურთულესი ყველა გაგებით, რამდენადაც არა და არ დამშვიდდა მშფოთვარე მსოფლიო. სისხლისა და დენთის სუნი კვლავ ტრიალებს ჩვენს ირგვლივ. მაგრამ ქართველ კაცს მაინც ყოველთვის იმედით უცხოვრია და უკეთესი მომავლის იმედით, ხმალიც არასოდეს ჩაუგია ქარქაშში, თავის გადარჩენასთან ერთად საკუთარი კულტურის გადარჩენისთვისაც ძალა და ენერგია არ დაუზოგავს.

ქართველი კაცისათვის კულტურაში უპირველესად ასოცირდება ჩვენი თვითმყოფადი 15 საუკუნოვანიეროვნული მწერლობა, რომელიც გვაიმედებს, რომ რუსთაველის, გურამიშვილის, ვაჟას, აკაკის, ილიას, გალაკტიონის და სხვათა მრავალთა შემქმნელი ერი არასოდეს გადაშენდება. დღეს, როდესაც ბევრი თავის გადარჩენისათვის იბრძვის, გადასარჩენი გვაქვს თვით ქართული ეროვნული მწერლობაც, რომელშიც თვითგადარჩენის ინსტინქტი უფრო მეტია, ვიდრე მის მიმართ ნამდვილი სახელმწიფოებრივი მიდგომა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც, ქართული მწერლობა ქართველი ერის სამსახურშია, რამეთუ „სულის ინჟინრებს“ ძალუძთ ადამიანების სულიერი სამყაროს გარდაქმნა, ბიძგი მისცენ – ურწმუნოთ დაანახონ, რომ თეთრი თეთრია და შავი – შავი. „ღია თვალებით ბრმებს“ აჩვენონ ჭეშმარიტების გზით მავალთა სიდიადე.

სწორედ ასეთ გზა-შარას ადგას ახლა უკვე ჭაბუკურ ასაკში შესული ჩვენი სულის მარადიული თანამგზავრი, ქართული მწერლების ერთგული მსახური და სალიტერატურო ჟურნალებში ერთ-ერთი გამორჩეული, ჩვენი საყვარელი ჟურნალი „ოლე,“ რომელსაც 20 წელი შეუსრულდა და ქართველ მკითხველთა უდიდესი სიყვარული მოიხვეჭა.

ურთულესი გზა განვლო ჟურნალმა „ოლემ“, ადვილი არაა დღეს, „თანამედროვე აზროვნების“ ადამიანებში, გააღვივო ის ჩამქრალი ნაღვერდალი, რომელიც თითქოს შთანთქა კომპიუტერულმა ეპოქამ და მკითხველ საზოგადოებას ისევ იმ დოზით მიაწოდო ქართული სიტყვის მადლი და ძალა, რომელიც დღემდე მოჰყვება და დიდი ძალისხმევით შემოაბრუნო მკითხველი გაზეთის, ჟურნალისა თუ წიგნის სიყვარულისკენ და შენი სიტყვის მარგალიტებით დაუბრუნო ის, რაც თითქოს დაიკარგა, მაგრამ არ გამქრალა.

ამ დიდ საშვილიშვილო საქმის სამსახურშია ჩვენი საყვარელი ჟურნალი „ოლე“, რომელიც ტრადიციულად, ქართული სიტყვის ოსტატთა ნაღდი შემოქმედებით – პოეზიით, პროზით, პუბლიცისტიკით, იზიდავს ფართო მკითხველს და უანგაროდ დგას ქართველი ერის სამსახურში. ძნელია ჩამოთვალო ყველა ის მწერალი თუ პოეტი, რომელთა შ ემოქმედება ამაღლებს ამ ჟურნალის ავტორიტეტს. ისინი კი დიდი ძალისხმევით ერთიანობაში მოჰყავს ჟურნალის სარედაქციო საბჭოს, რომელსაც ერთგულად უძღვებიან ჩვენი საიმედო თანამოკალმეები – შესანიშნავი პროზაიკოსი აკაკი დაუშვილი, პოეტი ნუნუ ძამუკაშვილი, მხატვრული რედაქტორი სოფო ჭელიძე და უბერებელი ფარნა რაინა, ნაღდი პოეტი, თელავის საპატიო მოქალაქე, მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატი.

ჟურნალი „ოლე“ ერთი რიგითი, ჩვეულებრივი ჟურნალი რომ არაა, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსებში ექვსჯერ გახდა ლაურეატი, რაც დასტურია იმისა, რომ იგი ნამდვილი ფლაგმანია ქართულ სალიტერატურო ჟურნალებს შორის.

გვეამაყებით, ჩვენო „ოლელებო“, გვეამაყებით იმიტომ, რომ ჭეშმარიტ გზას ადგახართ, ქართული მწერლობის სიყვარულში იწვით და როგორც ფოლადი იწრთობა ცეცხლში, ასე შემოქმედებით წვაში ხართ და იმედია „სანთელ-საკმეველი“ თავის გზას არ დაკარგავს. თქვენთვის ოცი წელი რაა, კიდევ ბევრი 20-20 წელი მოგმატებოდეთ და მარადჟამს გეზიდოთ ეგ მძიმე, მაგრამ საპატიო ტვირთი, რომელსაც ქართველი სიტყვის სამსახური ჰქვია.

ავთანდილ ბერიძე,
გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორი

# მონადირე

## გია ტუღუში

სიცივისგან გაძვალტყავებულ ხევში, ამღვრეული და ფერდაკარგული რიონის სანაპიროს, ორმოცდაათ წლამდე, მხარზე ორტუჩამოგდებული, მიწისკენ მზერამიპყრობილი მონადირე, მიუყვებოდა. სუსხისგან აწითლებულს თავი ბალოტისფერი ბუშლატის საყელოებს შორის ბეღურასავით ჩაერგო და მხრებში მოკუნტულიყო. ირგვლივ სულიერის ჭაჭანება არ ისმოდა, თითქოს ბუნების ადგილობრივ მობინადრე პირმშოთა სულები რიონის მოკრძალებულ ხმაურს მოენუსხა და ისინიც სიზმარში შეშინებული კაცივით გატრუნულიყვნენ.

ანაზდად მონადირემ მდინარის დინებაზე მოფართხალე მოზარდი დალანდა, რომელიც ხელებს მთიულურის მოცეკვავესავით იქნევდა. სავარაუდოდ, ყმაწვილი კიოდა, მაგრამ რიონის ხრიალში მის ხმას ხარბად შთანთქავდა.

ხანში შესული მამაკაცი ჯერ შესდგა, ამ სცენას თვალი კიდევ ერთხელ შეავლო და მერე მდინარის ნაპირს მიუახლოვდა, რათა არსებულ მდგომარეობაში უკეთ გარკვეულიყო. თავგადაპარსული მოზარდი ბუნების გაყინულ სტიქიასთან ბრძოლას მთელი შემართებით აგრძელებდა და განწირული შველას ითხოვდა. პირველი, რაც მონადირეს გაუელვა თავში, ის იყო, რომ – საშველად აქ რომ გადავხტე, ვერც მას გადავარჩენ და მეც დავიღუპები, ხოლო ასეთ უაზრო დაღუპვას მიჯობს, მშვიდად განვერიდო აქაურობას და ცოლ-შვილს საღსალამათი დავუბრუნდეო. თანაც, ამ გალიგვულ სიყრუეთში გმირულადაც რომ მოვკვდე, მაინც ვერავინ დაინახავს და დახრჩობის შემდეგ ოჯახი ულუკმაპუროდ დამრჩებაო. ჩემი ძეგლი კი ვერ დაამშვენებს ჩემს შემოდგომისფერ და მყუდრო უბანსო. ყმაწვილი კი გაშმაგებულ მდინარესთან ბრძოლას განაგრძობდა, როგორც ოდესღაც განიმედი ზევსთან.

შინაგანი სიმშვიდის ნიღბით შენიღბული, თუმცა სინამდვილეში საკმაოდ აფორიაქებული კაცი, ხევს აუყვა და შინისაკენ დააპირა წასვლა, მაგრამ, უცებ, გააცნობიერა, რომ ამ შემაძრწუნებელი ამბის გარდა ვერავისზე და ვეღარაფერზე ფიქრობდა. ახლა ისევ ის ეჩიჩინებოდა, ვინც რამდენიმე წუთის წინ ცივსისხლიანი გადაწყვეტილება მიაღებინა, შესჩენოდა და დაჟინებით ქირქილებდა, რომ ის ამ წამიდან ადამიანი აღარ იყო, ის უფრო ზნედაცემულ არსებას წარმოადგენდა, რადგან ასეთ მდგომარეობაში, ასეთ განსაცდელში, შვილისტოლა არსებას ცხოველიც არ მიატოვებდა.

გულაჩქარებული მონადირე მაშინვე იმ ადგილს დაუბრუნდა, სადაც რამდენიმე წუთის წინ სასოწარკვეთილებაში მყოფი მოზარდის ეპიზოდს შეესწრო და როდესაც გაისიგრძეგანა, რომ მისი კვალი დაკარგა, თვალებში სინანულის ცრემლები ჩაუდგა, გაორებული ადგილზევე გაშეშდა და აღარც კი იცოდა, საით წასულიყო, რა გზას დასდგომოდა. მის წინ ტალახისფერი რიონი ბობოქრობდა, ხოლო მის უკან თბილი ოჯახი დაფუსფუსებდა, რომელიც თავის საყვარელ ადამიანს მოუთმენლად ელოდა, რათა ნანადირევით მისი მშვიდობიანად დაბრუნებით გახარებულიყო.

# ჰემატოგენი ჩემი არსობისა

გაგრძელება გვ. 12 ▶

შეგრილებულ ყავას ვწრუპავ და გულდასმით ვაკვირდები. თვითონაც ტელეფონს დაჩერებია, ამიტომ თამამად ვსწავლობ მის ბუნებას. მისი მთლიანობის აღქმა ჩემს გონებაში სიტყვებად გროვდება. ვცდილობ რამე ამოვარჩიო და ლექსი დავწერო მასზე, როგორც მშრომელი ქალის ხატზე, თუმცა არაფერი გამომდის, ისევ კურიერმა მაჯობა გვარებზე, მახსენდება და საკუთარ თავზე ბრაზი მომდის.

ტელეფონს ეშვება და დახვავებულ ქაღალდებს მიღმა რაღაცას ქექავს. ეხლაღა ვამჩნევ პრიალა შეფუთვას. სადილის შემდეგ დესერტი უნებებია. შოკოლადის ფილას ტეხს და მიირთმევს, თან ისევ ტელეფონს დასცქერის. რას დამხატავდა, ეხლა, ერთი ნატეხი შოკოლადი ყავაზე მისაყოლებლად. იქნებ, შიმშილის გრძნობაც მოეკლა? ვფიქრობ და ნერწყვი მადგება. არადა, როგორ მიყვარს შოკოლადი! ყოველ საღამოს მუზების შესაქცევად მთელ შეკვრას მივირთმევ. ლექსი არ გამომდის, მაგრამ ხომ ვტკბები ამ მწარე ცხოვრებაში, ეგ მაინც მაქვს საბედნიეროდ. ნეტავ, თუ იცის, მშიერი რომ ვარ? არა, თხოვნას ვერ გავბედავ, ამისთვის ზედმეტად ამაყი ვარ... თან როგორ მინდა... თუნდაც ერთი ფილა ენაზე რომ დამადნება, გემოს რეცეპტორებს ჯერ ოდნავ შეუღიტინებს და შემდეგ ქარიშხალივით თავს დაეცემა. მთელ პირის ღრუს მოივლის მდნარი სიტკბო, თუნდაც მომწარო, იყოს შავი შოკოლადი, თანახმა ვარ... შოკოლადი ჩემი არსობისა...

ფეხზე დგება. წინ დახვავებულ ნაგავს ერთ მუჭში აქცევს და ურნაში ყრის. პრიალა შეფუთვა ისევ მაგიდაზეა, ეტყობა, შიგ კიდევ არის რაღაც. ჯერ ტელეფონს იღებს, შემდეგ – შოკოლადს. მიახლოვდება. სახეზე ღიმილი ეწელება და გარკვევით ვხედავ, როგორ შლის უკან თეთრი ბუმბულით შემოსილ ანგელოზის ფრთებს. სამზარეულო მისი შარავანდედით ნათდება, სიკაშკაშე თვალს მიბნელებს და მხოლოდ შოკოლადის პრიალა შეფუთვას ვხედავ...

„პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა“ და სიტყვით იხსნება ზეცა და ჩამესმის ჰაეროვან ბგერათა დასი:

– მიირთვი, გთხოვ! ცოტას მაინც მოგიკლავს შიმშილს, თან ყავასაც მოუხდება, – მეუბნება და პრიალა შეფუთვას ჩემს წინ მაგიდაზე დებს.

მადლობის თქმასაც ვერ ვასწრებ. ჩემი ლუღლუღი გასასვლელში ეწევა, მე კი ნერწყვი მახრჩობს და შეფუთვას ვხსნი. შიგნით სამი სანუკვარი ფილა მხვდება. ერთს ვტეხ და პირში მივაქანებ. ყველაფერი ბნელდება, ზეციური სინათლე ელვასავით ქრება. მახსენდება, რომ სამუშაო მაქვს, კარგად ავუღე ალღო ახალ საქმეს და ბონუსიც დავიმსახურე, ნამდვილად კარგი სამსახურია. დიდხანს მომიწევს გაჩერება...

შოკოლადს უცხო, მაგრამ სასიამოვნო გემო აქვს. მეორე ფილას ვტეხ და შეფუთვას ვაკვირდები. ჰემატოგენი ყოფილა... გემრიელი... მგონი, აქამდე არც გამისინჯავს... ღმერთების საჭმელი... გადამრჩენელი... ჰემატოგენი ჩემი არსობისა!

# სამცხე-საათაბაგოს ნაოხრები

## (მგზავრის შენიშვნები)

### მეორე ნაწილი

სამცხე თრიალეთსა და წალკას აკრავს დასავლეთით უშველებელი ტბა და აქედან გამომდინარე ჯავახეთის მტკვარია მათ შუა მიჯნათ. თრიალეთიდან ზედ ამ მიჯნაზედ ადენილა სავაჭრო გზა, რომელიც, ამბობენ, ინდოეთიდან იყო წამოღებულიო, მიდიოდა ფარავნის ტბისპირს, მერე ჯავახეთ-კარწახს გადადიოდა და ჩადიოდა ტრაპეზონს, შავი ზღვის პირასაო.

ნიშნები ამ გზისა დღესაც სჩანს ქარვასლების ნანგრევებით, რომლებიც ყოფილან გზის-პირად გამწკრივებულნი. ერთი ქარვასლა კარგად შენახული თვით თრიალეთზეა, მეორე თრიალეთის მაღლა მთებში, რომელსაც საიდანღაც „ეშაქ ქარვასლას“ ეძახიან, და მესამე ვეება ალაყაფის კარებით და გალავნის ნანგრევებით ზედ ტბის პირას არის.

ფარვანის, ანუ თოფორავანის ტბა 25 ვერსზეა აქ გაჭიმული აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ნაპირები უწინდელ ქართველ სოფლების ნანგრევებით და საყდრებით არის მოფენილი. ნანგრევებზედ ამ სამოც წლებში დასახლებულან დუხაბორთ სოფლები ჩაშკა, ტამბოვკა და კრუა, სომეხთ სოფლები ფოკა და განძა. ზედ მისავალში ტბასთან მშვენიერ ვაკეზედ უშველებელი (3 საჟენი) ქვის ჯვარია დასობილი.

თოფორავანის ტბიდან გამოსული ჯავახეთის მტკვარი ს. განძას რომ გასცდება, იქვე ღრმა და მშვენიერ ტბაში შედის, რომლის ნაპირზედ გაჭიმულია სოფელი საღამო, ოთხი მშვენივრად შენახული თლილი ქვის ეკლესიით, ზედ ქართულის წარწერებით. აქედან სამხრეთით გადაჭიმულია კარწახამდე და არტაანამდე მშვენიერი გრძელი მთა-ვაკე თავისის ტბებით, ქართველთ სოფლების ნაოხრებით და ბევრგან შერჩენილ საყდრებით. აქვეა ის „შაურძის“ ტაძარიც, ბ. როსტომაშვილმა თავის ჟურნალ „მოგზაურის“ N3 რომ აღწერა.

სოფელ განძის ხიდს რომ გახვალთ, აუვლით განძის სვეტს[1] და დაადგებით ახალქალაქის გზას აბულების ძირში – ეს არე-მარეც სავსეა ქართულ სოფლების ნანგრევებით, დაცულ თლილი-ქვის ეკლესიებით, აგრეთვე მათი ნანგრევებით, მშვენიერად შენახულ ქვითკირ-ჩადუღაბებულ წყაროებით. თვით გზის პირს მისდევს უშველებელი თლილი ქვის სვეტები. ნაოხრებზედ მოთავსებულან დუხაბურების სოფლები: ბუღდაშენი, ვარანცოვკა, ყოჯაბეგი, სომხების – ჯიგრაშენი და მრავალი ქურთის სოფლები ჩილდირის ტბამდე კარწახამდე, მხოლოდ აბულის ძირებზედ კათოლიკეთ სოფლები: ეშტია, უჯმანა, ჯანჯუღა, თორია, კარტიკამი, ბავრა.

როცა ამ მიდამოებს ათვალიერებ, გაკვირვებს სიუხვე აქაურის შავის მიწისა: ქერისა და დიკის თავთავი სიმძიმისაგან მიწას გაჰკვრია, ბალახის სიკეთე, სავსე აუარებელი ტურფა და უცხო ყვავილებით, გულში სიამეს გგვრის. თივას აქაური დუხაბორები „ჩაის“ ეძახიან. აქაური თაფლი ადგილობრივ 10 მანეთად გადის ფუთი. ტბების პირს მყოფ სოფლების წყლები იხვ-ბატით სავსეა. საქონელი მსუქანი და მშვენიერი, კალმახი და სხვა თევზები მრავალი და მეტად გემრიელი. ცივი წყაროები და ჰავა ხომ სანატრელი.

მიტომაც არ გიკვირთ, როცა ჰხედავთ, რომ ამ 50 წლებში დასახლებულ ბედნიერ მოსაქმე კრუა-სომხებს ს. განძაში, რიცხვით 160 კომლს, ახლა 18.000 ცხვარი ჰყავთ, 10.000 მეტი რქიანი საქონელი; ბევრი გლეხი საზამთროთ ას ურემ ძვირფას თივას ინახავს; სასოფლო თლილი ქვის ეკლესია აუშენებიათ და 60.000 მან. დასჯდომიათ!!.. ასევე გამდიდრებულან ბეთხეირი კრუა-სომხები ფოკას და ჯიგრაშენს... კათოლიკეთ სოფელს ეშტიაში ეკლესიას აშენებენ, რომელიც 18.000 მანათი უჯდებათ, თუმცა თლილი ქვა მასალას იქვე ქართველთ გაუქმებულ ეკლესიებს აცლიან.

ნაოხრებით აქ ყველგან ჰზღუდვენ სათივეებს, სათიბ-სახნავებს, განძაში უხსოვარ დროიდან მტკვარზედ დარჩენილა ქვითკირის ხიდი. აქვეა ორი მშვენიერი თლილი ქვის ეკლესიანი წარწერებით.2

სომხების, თათრების და ფრანგების სოფლებში ნაოხრები მეტად თვალ-საჩინონი არიან დღესაც, მხოლოდ სულ სხვას

სალამოს ეკლესია. ჯავახეთი



ჰხედავთ დუხაბურების სოფლებში: ამათ ძირიანათ მოუთხრიათ ყველაფერი და თავიანთი მშვენიერი სახლები დაუდგავთ კოპწიათ, მწკრივზედ.

კავკასიის დუხაბორთა საზოგადოებანი (общины) ამ მდიდარ მიდამოზედ აჰყვანდნენ. ცქიტი ამათი ერობულის და კომუნალურის ცხოვრებისა აქ იყო, ს. ბუღდაშენში ლუკერია კალმიკოვისა, ეს მეფა წინასწარმეტყველი დუხაბურებისა აქ მოსახლობდა. თუკი უქნარა კრუებმა მცირე ხანში მოახერხეს აქ გამდიდრება, დუხაბორებს ხომ სულ არ გაუჭირდებოდათ, – იმიტომ სიმდიდრემ და კომუნალურმა მუშაობამ ააღელვა დუხაბორები, კომუნა მიინგრ-მოინგრა და მის მაგივრად მრავალ თუმნიანი შეძლების დუხაბორები: ვერიგინი, პაპოვი, ზუბკოვი, ვერეშჩაგინი და სხვები მრავალნი დარჩნენ, რომელნიც მტაცებლობა-გაუტანლობაში რუსეთის „კულაკების“ ღვიძლი ძმები არიან დღეს. დუხაბორებმა მეტად მალე გაიხადა ეს კეთილ-სინდისიერების ქურქი – დღეს ესენი უბირი, თავისკენ მთლელი „მუჟიკები“ არიან და სხვა არაფერი.

ერთი რამ სიამოვნება გივლის გულში მხოლოდ მაშინ, როდესაც მშვენივრად მოხატულ ფურგუნებს და 6 საუკეთესო ცხენით შებმულს, რომელსაც თავს ძლივ იჭერს უშველებელი ტანის დუხაბორი, ან თეთრად ჩაცმული ტანოვანი დუხაბორის ქალი – უშიშრად აქროლებენ დუზ ვაკეზედ, მშვენიერ მოლზედ, ლურჯ ტბის პირზედ...

კათოლიკეთ სოფელ თორიაში ერთი მშვენიერი თლილი ქვის ეკლესია სდგას. გავლის დროს დავინახეთ, რომ ერთ მათგანს ანგრევდნენ: აცლიდნენ თლილ ქვებს და აჩენდნენ ქვიტკირის გულს. გული დამექეჯნა, როცა ვნახე იქიდან მოტანილი თლილი ქვები წარწერებით; დაყირავებულის ჯვრებით და ჩუქურთმებით უგზო უკვლოთ მიეტანათ და მეორე ეკლესიას ახმარდნენ მასალად. წარწერანი გადავიღე. იქ მყოფი ვართაპედი (პატრი) და ერი ვამხილე, ვარცხვინე...

მათ დიდად გაუკვირდათ, რომ „გურჯი-ქეშიში“ გავჩნდი მათში, როდესაც აქამომდე სულ „ჰაიოსთ-მოშიშები“ მოდიან აქ და არამც თუ გვიკრძალავენ ნაშთების ნგრევას, გვირჩევენ კიდეცო.„3 მე შევეკითხე – თქვენც „ჰაიოსები“ სომხები არა ხართ მეთქი? მაგრამ მათ ფრიად ეწყინათ. – „ჩვენ ფრანგი, ფრანგიო!“ იძახდნენ ისინი ამაყად და სომხობას შორს იჭერდნენ.

„თქვენ ყარსის საფაშალიკოდან გადმოგასახლეს ამ 60 წლებში, იქ ფრანგისტანი ხომ არაა, – იმიტომ თქვენ სომხები ხართ ტომით, რჯულით-კი ფრანგები მეთქი, ვეუბნებოდი მათ. მაგრამ ესენი მეტის წყენით ამბობდნენ: „ჩვენ სომხები არა ვართო“... ასეთსავე მოვლენას შევხვდი ეშტიაში, ჯანჯღაში, კარტიკამში და ბავრაში. აქ ყველგან სომხობის შესახებ შეურიგებლივ ლაპარაკობენ.

კარტიკამსა და ბავრაში ჯავან-ქართველნიც არიან გაფრანგებულნი და უმეცრებისა გამო ესენიც გზა-დაკარგულ გვარ-ტომობის კაცებს წარმოადგენენ. ესენიც მარტო ფრანგობით იბღინძებიან. კაპუცინის ბერები, რომელთაც ესენი „სკაპიცებს“ ეძახიან, მეტად დიდრამეთ მიაჩნიათ და დიდებით მალიმალ იხსენიებენ. საზოგადოთ აქ დასახლებული კათოლიკეები, თუმცა ყარსიდან გადმოსულან, მაგრამ, ვგონებ, ტომით სომეხნი არ უნდა იყვნენ, არამედ აისორები, ან სხვა რამ მცირე მოდგმა, კაპუცინების წყალობით გაფრანგებულნი.

როდესაც ამ მდიდარ მხარეში შევექცევოდით უგემრიელეს კალმახს, უმტვერო ქაღალდივით თეთრს დიკის ლავაშს, ერბოთ ქცეულს ყველს, სურნოვან ნაღებს, კარაქს და კახურის მაგიერ ცივ წყაროს წყალს ვაყოლებდით, უნებურად ქართლ-კახეთის სივიწროვე და გლეხთა გაჭირვება გვაგონდება. იქ გლეხმა თავის ღორი თოკით უნდა გამოიყვანოს, რომ სხვისა მამულში არ გადაუვიდეს, აქ კი ასი ურემი ძვირ ფასი თივა უნდა გათიბოს ზამთრისათვის. იქ თეფშის ტოლა ეზოში ეზოს ფული უნდა მისცეს ბატონს, კაბდოს ტოლა ვენახში – კულუხი, აქ კი უბრალო აჩეჩათი კრუა-სომეხმა, ველურმა თურქმა ბეღლები დაიმსოს ქერდიკით!..

## III
## სძინავს? – გააღვიძე.

სამცხეს ნაწილი, რომელიც მე ახლა მოვიარე, გავერანებული იყო იმ მიზეზით, რომ სამი საუკუნე სამცხე-საათაბაგოში ოსმალნი გამაგრდნენ და იქიდან ლეკებთან ერთად მუსრს ავლებდნენ ამ მხარეს. ხალხი ამოსწყდა, გაფრთხდა და მათ ცხოვრების მოწმათ დარჩენილან ეკლესიანი, ნასოფლარ-ნადაბარნი, ხიდთა, წყაროთა და ციხეთა ნაშთნნი...

როგორც ამ მხარეში, ისე თრიალეთზედ მდ. ალგეთის, ხრამის და მოშრევნის ხეობებში ნამეტანი ეკლესიანი ერთ გეგმაზედ არიან ნაშენნი: უგუმბათონი, ნავის-სახით, დიდ-შენნი მშვენიერ თლილის ქვით და ქართულ წარწერით ან სომხეთის კარებთან, ან აღმოსავლეთის მხრივ. ასეთი ეკლესიანი არა უგვიანეს მე XI საუკუნისანი არიან.

შესანიშნავი ისაა, რომ ამ ეკლესიათ სამხრეთით სიგრძეზედ აქვთ მიშენებული ფართო კარ-ბჭენი. ამით იმ დასკვნას ვადგივარ, რომ წირვა-ლოცვით უკან უწინ მოძღვარნი კარიბჭეებში სჯულში თუ ჰსწვრთნიდნენ მრევლს. ამას მე ისიც მიმტკიცებს, რომ ქართველ ძველ ლიტერატურაში მრავალი წიგნები გვხვდება კითხვა მიგებითნი სარწმუნოების შესახებ... სხვა დანიშნულებას ვერ მისცემს მკვლევველი ამ კარიბჭეთ აუცილებლობას ეკლესიებთან.

ამ სტილის ეკლესიათა გარდა ყველგან აქ და უფრო სამცხე-საათაბაგოში მრავალი ეკლესია გვხვდება უფრო დიდებულ სტილისანი და ძვირფასნი. მაგრამ ესენი უფრო შემდეგ საუკუნეებს ეკუთვნიან, არა უგვიანეს მე XV და XVI საუკუნისა – ასეთია ფიტარეთის ტაძარი ხრამში შეჩუქურთმებული და ჰაეროვან სტილისა სამცხეს გავეთის მშვენიერი ფერადის ქვით ნაშენი ეკლესია, „ყაურმის“ ტაძარი აღწერილ მიდამოში, წუნდის ეკლესია მეტის გემოთი შეჩუქურთმებულ ზედა სარტყელით, ქარზამეთის მშვენიერი ეკლესია და სხვა... ესეც ჯავახეთის ახალქალაქი ყაზარმებით გამსილი და გარს-მორტყმული.

სახელოვან ძველ ციხეს ჯავახეთის მტკვრის კიდეზედ ძლივს ვპოულობ. პასკევიჩმა ერთ დღეს აიღო ეს ოდესმე ქართველთ მიერ ნაშენი სიმაგრე და ეხლა-კი იანიჩართ იქ ყოფნას გაუფანტია ძველი ახალქალაქის მკვიდრნი, – ეხლა სულ არზრუმ-ყარაბაღიდან სომხობა და ბერძნობა ჩასახლებულა. ერთი ძველი მესხიც შერჩენია ამ ქალაქს, გვარად ჯავახიშვილი, რომელსაც მამაპაპით ძველი წისქვილი დარჩენია აქ და მცირე რამ სასახლე, მაგრამ სიბერისაგან ძველი აღარა ახსოვს-რა...

ახალქალაქიდან უშველებელი მთავაკე გეჭიმებათ თვალწინ, მოფენილი სოფლებით: ბარალეთით, კოთელიათი, საროთი, ქილდითი, ხიზაბავრათი – არიან შიგ-და-შიგ წვნიკი ქურთებ-ოსმალოთ სოფლებიც, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებში სულ ჯავახ-მესხნი მკვიდრობენ, რომელთაც დაუცვიათ სჯულიც და ენაც... მეურნული კულტურაც აქ ქართულია – ხნავენ გუთნით 10 და 9 უღელით და არა კრუებსავით აჩეჩათი. ამ ვაკეზედ მაინც ამათ ჰბაძამენ მოსული სომეხნიც და ოსმალ-თურქნიც; კულტურა ამათია, როგორც მარჯვე და პროგრესიული.

დიდი ხნის მუშაობის გამო აქაურ შავ ნიადაგსაც ძალა წასვლია და რადგან უტყეობის გამო საქონლის პატივს წივათ აკეთებენ, ამიტომ თავისებურ მიწის შეპატივებისავით მიუყვიათ ხელი: ანეულს რომ მოჰხნავენ, მერე ახლო-მახლო ჰკვალავენ, რომ ზამთრის თოვლმა მაინც შეაპატივოს და გაზაფხულის თესლი ამოაღორძინოს...

როგორც ჯავახეთის მტკვარს, ისე არტაანიდან წამოსულს ეს მთა-ვაკე ღრმათ გაუჭრიათ და უშველებელი ხრამ-ხევნი გაუკეთებიათ. ქართველობას ამ ხრამებში ბაღები გაუშენებია. ძველ ქართველ სოფლებს საროს და ხიზაბავრას ვენახებიც კი ჰქონიათ და ღვინო უყენებიათ. ამათ ქართველობა და მესხური დარბაისლობა ისე ჰქონიათ გამჯდარი ძვალ-რბილში, რომ სამასი წლის ტყვეობის შემდეგ, დღესაც მღერიან მშვენიერ სუფრულს.

რას დასდევ ცუდსა პეპელსა,
ხორცი არ გარგებს ხორცათა,
ტყავიც არაფრად გარგია, –
აგრეთვე წუთი-სოფელი
გაგიფრინდება, წაგივა.

ასე ფილოსოფოსობს დღესაც საროელიც და ხიზაბავრელიც...

კარგია, რომ ამ ორ სოფელში სიმღერები ჩასწეროს ვინმემ, სანამ გაშპება – დაავიწყდებათ...

ხიზაბავრაში 160 კომლის სჯულით კათოლიკე, სულით ქართველნი, მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს უმეცრული გადაგვარება შეჰპარვიათ. მათი პატრი, ძველი მესხი გვარად ვარძელაშვილი სომხურად უწირავთ ხოლმე, თუმცა ხალხს „ინჩი“ არ ესმით სომხურის... ამ ქცევას ეს მამა ამართლებს იმითი, რომ „სომეხ-კათოლიკებისაგან მივიღე ხელდასმაო“...

ს.საროს ზემოთ კაპანზედ[4] სოფელი ყვარჩაა დასახლებული; ქართველთ მაგიერ ეხლა აქ 60 კომლი ოსმალოა დასახლებული. აქ არის მშვენიერი თლილი ქვის ეკლესია, თამარის დროს აშენებული. საროს ეკლესიაც ამ დროსაა აშენებული. ეკლესიას ოსმალნი პატივით ეპყრობიან, – კარი ამოუქოლიათ, რომ საქონელმა არ წაპილწოსო. ვიკითხეთ, იქნებ იმათში გათათრებული მესხებიც იყვნენო, მაგრამ არ აღმოჩნდნენ...

დიდის პატივით ამათ ციცაბოზედ ჩაკიდებულ გზით ხერთვისში ჩაგვიყვანეს...

მღვდელი ზაქარია გულისაშვილი
ივერია, 1901 წელი, N 180-181

---

[1] „მოგზაური“ N2

[2] წარწერებს თავის დროზედ გამოვაქვეყნებ. ავტორი

[3] ვარძიის ბერმა მამა მათემ იამბო, რომ თორიაში ეკლესია რომ დეენგრივნათ, ტრაპეზში თლილი ქვის ყუთი ყოფილიყო, რომელშიაც ქართული ხელთ-ნაწერი დებულიყო. თვით ყუთი ამ ბერ-მონაზონს ენახა, ხოლო გუჯრის შესახებ ეთქოთ, რომ ვის ხელშიაც არის, შინ არ არისო. მე სხვა გზით წამოველ და იმიტომ ვერ მოვიკითხე ეს დოკუმენტი. იქნება ვინმემ ხელში ჩაიგდოს და წერა-კითხვის საზოგადოებას, ან საეკლესიო მუზეუმს გადასცეს, –

[4] კაპანს ეტყვიან ფრიალო კლდეს, რომელიც დაჰყურებს ხრამ-ხევს.

# ვიქტორ ჰოვსეფიანისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ეშტიის პირველ საჯარო სკოლაში მასშტაბური ლიტერატურული ღონისძიება ჩატარდა, რომელიც მიეძღვნა ცნობილი სომეხი პოეტის, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, აწ გარდაცვლილი ვიქტოს ჰოვსეფიანის დაბადების დღეს.

„ვიქტორ ჰოვსეფიანის პოეზიის დღესასწაული", 27 წელია ყოველწლიურად აღნიშნულ სკოლაში ტრადიციულად განსხვავებული ფორმატით იმართება. წელს კი მასში ჩართული იყო ეშტიის თემი – ეშტის პირველი და მეორე, თორიის, ყაურმის, უჩმანის საჯარო სკოლები. მოწვეული გვყავდა



საპატიო სტუმრები – ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერი ანივარდ მოსოიანი, საკრებულოს თავმჯდომარე ვაან აროიანი, ნინოწმინდის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის თავმჯდომარე ლევონ ვარდანიანი, ნინოწმინდის რესურსცენტრის უფროსი დავით ზედგენიძე, ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ჯავახეთის სასწავლო ცენტრის კოორდინატორი ელმირა ქსპოიანი, მუსიკალური სკოლის დირექტორი ვარდიუ ფუთულიანი, სკოლების დირექტორები, მასწავლებლები, სოფლის მცხოვრებლები, ქველმოქმედი გარიკ ზობიანი და სხვები.

ღონისძიება ორი ნაწილისგან შედგებოდა: ლიტერატურული საღამო და ვიქტორინა. პირველ ნაწილში ბავშვებმა ქართულად და სომხურად წაიკითხეს ვიქტორ ჰოვსეფიანის ლექსები, შეასრულეს ქართველი და სომეხი კომპოზიტორების სიმღერები, ასევე მაყურებელთა წინაშე შესანიშნავი მუსიკალური ნომრით წარსდგა ამავე სკოლის მასწავლებელი არაქსია მკრტჩიანი,

ღონისძიების ვიქტორინის ნაწილი მწერლის საბავშვო ნაწარმოებებიდან იყო შერჩეული..

ღონისძიების დასასრულს მოსწავლეებს გადაეცათ სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები.

**ბერნიკ ჰოვსეფიან**
**ნინოწმინდის მუნიცპალიტეტის სოფელ ეშტიის N1 საჯარო სკოლის დირექტორი**

# ერთი პუბლიკაციის კვალდაკვალ

სულ მალე გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის" გამოცემის ოცდამეშვიდე წელი დაიწყებს ათვლას. მთელი ამ ხნის მანძილზე მის ფურცლებზე ბევრი, ძალიან ბევრი საინტერესო მასალა დაიბეჭდა, რომლებმაც მკითხველის დიდი ყურადღება მიიქცია. მას კითხულობს ყველა თაობის ადამიანი და ბევრისთვის საყვარელ გაზეთადაც იქცა. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ იგი საქართველოში ყველაზე მაღალტირაჟიანი სალიტერატურო გაზეთია და ქართველებთან ერთად მას ინტერესით ეცნობიან სხვადასხვა და, განსაკუთრებით, ჯავახეთში მცხოვრები სომეხი ეროვნების მკითხველები, მეტადრე, პედაგოგები და მოსწავლე - ახალგაზრდობა.



საქართველოს ისტორიის თემატიკისადმი მიძღვნილი პუბლიკაციებისადმი ინტერესი იმდენად დიდია ამ რეგიონში, რომ აქ, ზოგიერთ სკოლაში, განხილვის საგნადაც იქცევა ხოლმე გამოქვეყნებული პუბლიკაციები. ჩვენი ყურადღება კი ერთმა ასეთმა ფაქტმა მიიქცია, რომელიც ამის უტყუარი დასტურია.

ახლახან ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ეშტიის პირველ საჯარო სკოლაში (დირექტორი ბერნიკ ჰოვსეფიანი) განიხილეს ისტორიკოს ჯემალ კარალიძის პუბლიკაცია „მუჰაჯირობა აჭარაში," რომელიც გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის" 2024 წლის იანვარ-თებერვლის ნომრებში დაიბეჭდა. ხოლო მეცხრე კლასის მოსწავლეებმა ვიქტორია რაფაელიანმა და არმენიუ თამასიანმა (მასწავლებელი ანი პოღოსიანი) დამატებით მოიძიეს ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა წერილები და საკუთარი ხელით, ლამაზი კალიგრაფიით გაფორმებული ალბომი შექმნეს.

ყოველივე ეს იმის დასტურია, რომ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრი (უფროსი დავით ზედგინიძე) განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და კულტურისადმი სახელმწიფოებრივ მიდგომაზე, რაც ხელს უწყობს მომავალი თაობის კულტურულ ინტეგრაციას.

**ავთანდილ მესხი**

## წეს-ჩვეულებები

***

ახალწელწადს, მამლის ყივილისას ადგებოდნენ, წავიდოდნენ წყალზე. თან წაიღებდნენ მარცვალს. წყალს უკვლემდნენ (ქერს, დოლს, დიკას). აავსებდნენ წყალს, მოიტანდნენ სახლში.

იტყოდნენ – შვიდ წელიწადში ერთხელ წყალი იძინებსო. თუ შეხვდებოდნენ და აავსებდნენ, მაშინ და მოიტანდნენ, ამომდნენ – ეს უკვდავების წყალიაო.

ყველა ახალწელიწადს მოჰქონდათ წყალი. სახლში კარებიდან შეასხამდნენ წყალს – ეს წყალი წყალობააო. საქონელსაც მიასხამდნენ, ცხვარს, ფრინველებს. ოჯახის წევრებსაც მიასხამდნენ.

ქონდათ სახლში ტაბლა. ლექსიც იყო:

ცხელი პური ტაბლაზეა
თვალი მიჭირავს ყლაპაზეა.

ტაბლაზე პურიც იციან, ხილიც. ავიდოდა ბანზე, ერდოს შემოუვლიდა, მერე ჩააგდებდა ბანიდან. თუ პური ოჯახისკენ, სადაც ცეცხლი ანთია, იქით გაგორდებოდა, დააკვირდებოდა. ჩემი ოჯახი წინ წავაო. თუ უკან გაგორდებოდა, არაო, ჩემი ოჯახი უკან წამოვაო.

მერე შემოვიდოდა სახში:

შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი,
ჩემი ფეხი წმინდა ანგელოზი,
ხელში მიჭირამს ტაბაკი,
სანთლებით გაჩაღებული,
ზედვე აწყვია პური, ხორბალი,
გოზინაყი და ჩურჩხელა,
ერთიც პატარა ტყვიაო,
ეს მოხვდეს ჩვენსა მეშურნეს
და დაგვიმარცხდეს მტერიაო.

ოჯახი წევრებს მოგვილოცამს ახალ წელს. თაფლით დააბერამდა. საქონელს კაკლებ შეუგორემდა. ასე კირკიტათ და მაგრათ მოიარეთო.

მერე როცა გათენდებოდა, მოპატიჟება იცოდნენ. მოვიდოდნენ ბანზე, ქვას დააკაკუნებდნენ, ხმას არ ამოიღებდნენ. ოჯახის პატრონმა იცოდა, რო ეს კაცი მე მპატიჟომს. ეს სახლის პატრონი აიღემდა თავის პურ-წყალს. ზედ კაკალიც იყო, ვაშლიც. ტაბლით – სუფრით წავიდოდა ეს კაცი:

შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი
.....

შევიდოდა: მოგვილოცამს ახალი წელი, მლავარს დაესწარით.

სახლის პატრონი ეტყოდა: ჩვენი მეკვლე შენ ხარ, ნა დავცადოთ შენი ფეხი, როგორ მოივლის ჩვენი საქონელი. ახალწლის მეორე დღე ბედობა იყო.

მესამე დღე: დამწვრისა და დამხრჩვლისა. უქმეს დაიჭერდნენ, რო არც დამწვარი იყვნენ, არც დამხრჩვალი.

ამ სამ დღეს ლხინობდნენ, თამაშობდნენ, უკრემდნენ.

იანვრის ექვსში (ძვ. სტილით) ნათლისღება-წყალკურთხებაა. ვითომ იესო ქრისტემ ნათელიღო. წყალკურთხევას იცოდნენ კირკიტობა, ჩადგმულ კორკოტს უძახდნენ. წყალკურთხევის წინა საღამოს ჩადგემდნენ. ჩადგმი დროს კერაზე ერთ სანთელ აანთემდნენ, მეორე კერაზე მეორე სანთელ. ხარშამდნენ. იქ უჯდნენ კორკოტ და ხარშემდნენ. ლოგინში არ დაწვებოდნენ. იმ საღამოთი იცოდნენ, ღვდელი ეკლესიაში ლოცვით აკურთხემდა, ხალხ ეკლესიაში მიჰქონდათ ყველა მარცვალი (ქერი, დიკაც) ჩაყრიდნენ ჯამებში და წაიღემდნენ ეკლესიაში. ღვდელი აკურთხემდა, მოიტანდნენ და ამბარში ჩაყრიდნენ, კარქი მოსავალი მოვაო.

წყალკურთხევის დილით რაღა ეს ღვდელი წავიდოდა წყალზე, წყალ აკურთხემდა, ჩაასვენემდა მერე ჯვარს, ზოგი ტიტვლები იყვნენ ბიჭები. ერთი ორი რაღა, ვინც გაბედემდა, ჩაცვივოდნენ წყალში და ნათლი წყალში გაიბანებოდნენ. რაღა ყველას ჭურჭელი ქონდა, ჭურჭლებ ამსებდნენ, მიჰქონდათ ოჯახებში და ინახამდნენ.

ეს რო გათავდებოდა, ღვდელს ერთი კაცი გაიპატიჟებდა. იმ დროზე მოვიდოდნენ სახში, ახალწლი ტაბლა ისევე ხელუხლავი იყო. ამ დროს გაჭრიდნენ ბედის პურს. ვისაც ფული შეხვდებოდა, ის ბედნიერი იყო.

კორკოტობა წელიწადში სამჯერაა. დგამდნენ – წყალკურთხევას ერთი, ხორციელის შაფათ საღამოს ჩადგამდნენ (დაჟინებით იმეორებს და უდასტურებს მეზობელიც) და სულთა ჩადგემდნენ (სექტემბრის ნახევარში მოდიოდა, ენკენისთვის ნახევარში, ზუსტად 15-ში). თებერვალში რო გადვიდოდით, თებერვლის ორში მირქმა იყო უფლისა. იესო ქრისტე რო გახდა ორმოცი დღისა, ორმოც რო უკითხემდნენ, მშობლები ღარიბები იყვნენ, არაფერი არ ქონდათ. ღვდელთავარი იყო სიმონი, იმან წიგნებში წაიკითხა, რო იესო ქრისტე უფალი მოვაო. აიღო და ნა წაეშალა. რო მე ვერ მოვესწრებიო. ანგელოზმა ხელი დაუჭირა, რო არ წაშალოთ. შენ იქამდე იცოცხლამ, სანამ შენი თვალით არ იხილო, იესო ქრისტეო. მართლაც ორმოცი დღისა რო გახდა, მიუსევინეს ქრისტეს თავისი თვალიო. იხილა, გამიემშვიდობა, რო ჩემი თვალით ვნახე ისეო ქრისტეო.

ამ დღეს უქმანდით, დღესასწაულამდის რო მირქმა უფლისა იყო.

შემდეგ მოდიოდა ხდრიელა, მერე ხორციელი, მერე ყველიერები, მარხვა შეიკრებოდა.

ხორციელის შაფათს კორკოტს ჩასდგამდნენ.

ყველიერი:

ყველიერის პირველ დღეს ჩიტიფაფობა იციან. ხუთშაბათი – შიობა იყო. ამ დღეს ახსნიდნენ რაც კარგი საჭმელი იყო.

კვირა დღეს:

კვირა საღამო აღებ ღამეს დარბაზებში შეიკრიბებოდნენ, აბამდნენ ორსართულიან ფერხულ, დააბემდნენ შვიდი ხნიერი კაცი და მღეროდნენ.

შევდგი ტაფა, ჩავდე დუმა,
დადნა ტაფა, არა დუმა,
მამლი მუხასაო.
დანარჩენი აღარ მახსოვს...

მთქმელი ილიკო ნიკოლოზის ძე გოროხოვი,
72 წლის. ჯავახეთი,
ჩაიწერა გიორგი ზედგინიძემ 1967 წელს

## „ლექსო, არ დაიკარგები!"

### ტკბილი სიტყვა

ტკბილი სიტყვა, უფასო,
ისიც არ გვემეტება,
ვეღარ ვუგებთ ერთმანეთს, –
არის გაუცხოება.

კაცის გულს ვერ გავუგე,
არც ქალები მწყალობენ,
ჩიტებს ვუსმენ, ისინიც
მგონი სხვისთვის გალობენ.

შენიშვნა, საყვედური,
მესმის თითქმის ყოველდღე,
გულმა დღემდე გაუძლო,
უძლებს, მაგრამ როდემდე?!

როგორც თავმოკვეთილ ხარს
ზოგჯერ თივას მიყრიან,
ხმალი გვერდზე გადადეს,
გულში სიტყვას მიყრიან.

სამწუხაროდ ასეა
თითქმის ყველა მხარეში,
გაბატონდა ამქვეყნად
უზნეობის თარეში.

### მიმართვა–თხოვნა

ალბათ დრო მოვიდა,
აქ ყოფნა მაწუხებს,
დაგროვილ კითხვებზე
ვერ ვაძლევ პასუხებს.

ჩემი გზა განვლილი
საშინლად მაწამებს,
დავხუჭავ თვალებს და
ძლივს ვახელ წამწამებს.

ცხადში თუ სიზმარში
ცოდვა ვერ დავძლიე,
არა სჭრის მუქარა,
ვერც ქრთამი ვაძლიე.

უხილავ მტერს ვებრძვი,
უხმლოდ და უფაროდ,
რა ვქნა, ვის მივმართო, –
ისევ შენ, უფალო!

### ვალი

მე ალბათ ისე დავხუჭავ
თვალებს,
ვერ გადავიხდი ამ ქვეყნის ვალებს,
ვალი მაქვს დებთან, ვალი მაქვს
ძმებთან,
მდინარეებთან და მაღალ მთებთან.

ის, რომ მდინარე უთევზოდ
დარჩა,
ტყეში ნადირი ველარ გადარჩა...
ცდილობენ, უშნო სპექტაკლი
დადგან,
ჩემისთანების ბრალია, რადგან...

კაცს სტუმრის მისვლა აღარ უხარის,
გაიშვიათდა კვამლი ბუხარის...
გლეხკაცი სოფლად აღარც კი
დარჩა,
ძირს გდია ჩოხა, ჭია ჭამს ფარდაგს.

თავი და თავი ყველაფერ ამის,
ულმერთობაა – გავგიჟდე
ლამის...
მხოლოდ რწმენით თუ
დავდგებით ფეხზე,
მივენდოთ უფალს,
ვილოცოთ ღმერთზე!

*ავტორ-მთქმელი*
*მალხაზ ბარბაქაძე, 72 წლის,*
*ბორჯომის მუნიციპალიტეტის*
*სოფელი ახალდაბა*

გაზეთის ელ.ვერსიების არქივი: ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი" (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა)

**დამფუძნებლები:** ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს.
სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „საარის" სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი,
თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit.meskheti@yahoo.com